



**პირის დაკავების სტანდარტებისა
და პრაქტიკის კვლევა საქართველოს
სისხლის სამართლის საპროცესო
კოდექსის მიხედვით**

**STUDY OF THE DETENTION
STANDARDS AND PRACTICE IN
ACCORDANCE WITH THE CRIMINAL
PROCEDURE CODE OF GEORGIA**

დავით სულაქველიძე
Davit Sulakvelidze

გირშელ ძებნიაური
Girshel Dzebniauri

ქეთევან ჩომახაშვილი
Ketevan Chomakhashvili

თამარ თომაშვილი
Tamar Tomashvili

თეონა მატარაძე
Teona Mataradze





პირის დაკავების სტანდარტებისა და პრაქტიკის კვლევა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით

STUDY OF THE DETENTION STANDARDS AND PRACTICE IN ACCORDANCE WITH THE CRIMINAL PROCEDURE CODE OF GEORGIA

დავით სულაქველიძე
Davit Sulakvelidze

ქეთევან ჩომახაშვილი
Ketevan Chomakhashvili

გირშელ ძებნიაური
Girshel Dzebniauri

თამარ თომაშვილი
Tamar Tomashvili

თეონა მატარაძე
Teona Mataradze

გამოცემულია ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ კვლევაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

Published with the financial support of the Open Society Georgia Foundation. The views, opinions and statements expressed by the authors do not necessarily reflect the position of the Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

საჩივნი/ TABLE OF CONTENTS

თავი I. შესავალი და მეთოდოლოგია	7
CHAPTER 1. INTRODUCTION AND METHODOLOGY	85
კვლევის მეთოდოლოგია სასამართლო პრაქტიკის შესწავლის კუთხით	8
Study Methodology for Analyzing the Case-Law	85
კვლევის მეთოდოლოგია თვისებრივი ანალიზის კუთხით	10
Study Methodology from the Point of Qualitative Analysis	87
თავი II. დაკავებასთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში მოქმედი ნორმების მიმოხილვა	12
CHAPTER II. OVERVIEW OF THE PROVISIONS RELATED TO DETENTION UNDER THE CRIMINAL PROCEDURE CODE OF GEORGIA	88
თავი III. საერთაშორისო სტანდარტები	17
CHAPTER III. OVERVIEW OF INTERNATIONAL STANDARDS APPLICABLE TO DETENTION	93
თავი IV. პირის დაკავებასთან დაკავშირებით საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა	26
CHAPTER IV: GEORGIAN CASE-LAW REGARDING DETENTION	101
სასამართლოს განჩინებით პირის ან ბრალდებულის დაკავების პრაქტიკის ზოგადი დახასიათება	26
General description of the practice of court ruling based detention of a person or accused	101
სასამართლოს განჩინებით პირის ან ბრალდებულის დაკავების პრაქტიკის კერძო საკითხები	32
Particular Issues of the Practice of Court Ruling Based Detention of a person or Accused	105
სასამართლოს განჩინების გარეშე ბრალდებულის დაკავებასთან დაკავშირებული საკითხების ზოგადი მიმოხილვა	40
General Overview of the Matters related to the Detention of the Accused without Court Ruling	110
სასამართლოს განჩინების გარეშე ბრალდებულის დაკავების კანონიერების სასამართლოში გადამოწმების პრაქტიკის ანალიზი	43
Analysis of the practice related to verification of the legality of the detention without court ruling	112

თავი V. საქართველოში პირის დაკავებისას ანსაბუღი სტანდარტებისა და პრაქტიკის კვლევა - თვისებრივი მონაცემების ანალიზი.....	50
CHAPTER V. RESEARCH ON THE STANDARDS AND PRACTICES EXISTING IN GEORGIA WITH REGARDS TO THE DETENTION (ARREST) - ANALYSIS OF QUALITATIVE DATA	117
დაკავება მოსამართლის განჩინებით	50
Detention with the Court Ruling.....	117
დაკავება მოსამართლის განჩინების გარეშე	54
Detention without the court ruling	120
დაკავების წესი	57
Procedure for Arrest	123
დაკავების ოქმი.....	65
Record of Arrest	129
დაკავებიდან გათავისუფლება	68
Release from Custody	131
დაკავების პროცესთან დაკავშირებული სისტემა	70
System related to the detention procedure.....	133
თავი VI. დასკვნა და რეკომენდაციები.....	75
CHAPTER VI. CONCLUSION AND RECOMMENDATIONS.....	137

თავი I. შესავალი და მეთოდოლოგია

შესავალი

1999 წელს მიღებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ისევე როგორც 2009 წლის ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ითვალისწინებს პირის სისხლისსამართლებრივი წესით დაკავების დროს და დაკავებიდან პირველი 48 საათის განმავლობაში მოქმედ სტანდარტებს. 2000-იან წლებში პირის დაკავების საკითხი არაერთხელ გამხდარა საქართველოში კრიტიკის საგანი, როგორც საერთაშორისო მექანიზმების (გაეროს და ევროპის საბჭოს სახელმწიფოებო და მონიტორინგის ორგანოების), ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან.

ამასთან, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძალაში შესვლასთან ერთად ძირითადი ყურადღება გადატანილ იქნა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების და დასაბუთების საკითხზე. შესაბამისად, პირის თავდაპირველი დაკავების საჭიროების, დასაბუთების და დაკავებისას პროცედურული გარანტიების დაცვის ვალდებულებას შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი ადამიანის უფლებათა მონიტორინგის მექანიზმების მიერ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კვლევის მიზანია, საერთო სასამართლოების პრაქტიკის კვლევის და თვისებრივი მონაცემების ანალიზის საფუძველზე დაგვანახვოს დღეისათვის არსებული მდგომარეობა პირის სასამართლო განჩინების საფუძველზე და განჩინების გარეშე დაკავებისას, აგრეთვე დაკავების წესთან დაკავშირებული პრაქტიკული გამოწვევები 2013 – 2014 წლის მდგომარეობით.

თავდაპირველად, კვლევაში ასახულია საქართველოსთვის სავალდებულო საერთაშორისო სტანდარტები პირის დაკავების საკითხთან მიმართებაში, შემდეგ ასახულია 8 შერჩეული ქალაქის საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი. მესამე ნაწილი კი ეთმობა თვისებრივი კვლევის - ე.წ. ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგებს. კვლევის ბოლოს წარმოდგენილია ზოგადი და კონკრეტული ხასიათის რეკომენდაციები.

კვლევის მეთოდოლოგია სასამართლო პრაქტიკის შესწავლის კუთხით

თავიდანვე უნდა აღნიშნოს, რომ დაკავების პრაქტიკის კანონიერებისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლა მიმდინარე კვლევისას წარმართა ორი მთავარი მიმართულებით - პირის ან ბრალდებულის დაკავება სასამართლო წესით, ესე იგი სასამართლოს განჩინებით პროკურორის მიერ შეტანილი შუამდგომლობის საფუძველზე და სასამართლო განჩინების გარეშე დაკავების პრაქტიკა, ე.წ. დაკავება გადაუდებელი აუცილებლობის ფარგლებში.

ამ მიზნით კვლევის განხორციელებისას შესწავლილ იქნა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედი სასამართლოების მიერ 2013 - 2014 წლებში პირის დაკავების საკითხთან დაკავშირებით გამოტანილი განჩინებები. კერძოდ, ყურადღება გამახვილდა სამ - სხვადასხვა ნიშნით განსხვავებულ რეგიონზე, ესენია: თბილისი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა; სამეგრელო - ზემო სვანეთი და მესხეთ-ჯავახეთი. თითოეულს ამ რეგიონთაგან ახასიათებს გარკვეული თავისებურებანი, რის გამოც კვლევისათვის სწორედ ისინი იქნენ შერჩეული. თბილისი როგორც დედაქალაქი, სადაც საქმეთა ყველაზე მეტი რაოდენობაა საგამოძიებო ორგანოებსა და, შესაბამისად, სასამართლოს წარმოებაშიც; აჭარის რეგიონი, როგორც ავტონომიური რესპუბლიკა; სამეგრელო - ზემო სვანეთი, როგორც მოსახლეობით ყველაზე მრავალრიცხოვანი რეგიონი; მესხეთ-ჯავახეთი როგორც მრავალეროვნული რეგიონი. ამისდა კვალად შესწავლილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, ახალციხისა და ახალქალაქის რაიონულ სასამართლოებში პირის დაკავებასთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკა. კვლევისათვის სასამართლოების შერჩევისადმი ასეთი მიდგომა გვეხმარება, რომ განვსაზღვროთ საერთო ტენდენციები და გამოვავლინოთ პრობლემები.

კვლევის მიზნებისთვის აღნიშნული 8 რეგიონის სასამართლოდან მოთხოვნილი იქნა შემდეგი ტიპის ინფორმაციები:

- პირის დაკავების შესახებ განჩინების ასლები;
- პირის დაკავებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების ასლები;
- აღკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ იმ განჩინებების ასლები, რომელთა საფუძველზეც სასამართლომ დაკავებისგან გაათავისუფლა ბრალდებული;
- გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული პირადი ჩხრეკის უკანონოდ ცნობისა და მიღებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ განჩინების ასლები;
- წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების ასლები, რომლის საფუძველზეც სასამართლომ დაუშვებელ მტკიცებულებად ცნო პირის დაკავების ოქმები ან/და განჩინებები პირის დაკავების თაობაზე.

კვლევის ფარგლებში რვავე სასამართლო გამოგვეხმაურა და ნაწილობრივ მოგვაწოდა მოთხოვნილი დოკუმენტაცია:

კერძოდ, პირის დაკავებასთან დაკავშირებული განჩინებები მიღებულ იქნა თელავის, გორის, ქუთაისის, ზუგდიდის, ბათუმის, ახალციხის და ახალქალაქის საქალაქო სასამართლოებიდან. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მოხდა მხოლოდ გარკვეული ნაწილის მოწოდება. ჯამში, აღნიშნული განჩინებების ასლის რაოდენობამ შეადგინა 523. ვითვალისწინებთ რა, რომ პირის დაკავების განჩინებების მოწოდება არ მომხდარა სრულყოფილი ფორმით, მართებული არ იქნება მოცემული რაოდენობა 2013 – 2014 წლებში ჩაითვალოს აღნიშნულ რეგიონებში განჩინებით დაკავების სრული რაოდენობის მაჩვენებელ ციფრად. ამასთანავე, სასამართლო პრაქტიკის თანმიმდევრული შესწავლის მიზნით, ზემოთ დასახელებული სასამართლოებიდან გამოთხოვნილი განჩინებები შესწავლილ იქნა 2013-2014 წლების ყოველი თვის 1-დან 15 რიცხვამდე პერიოდში შეტანილი შუამდგომლობების მიხედვით.

ამასთანავე, საქალაქო სასამართლოების მიერ მხოლოდ ნაწილობრივ იქნა მოწოდებული დარჩენილი ინფორმაცია, რაც ასევე გათვალისწინებულ იქნა სასამართლო პრაქტიკის ანალიზის ფარგლებში: 52 განჩინების ასლი პირის დაკავებაზე უარის თქმის შესახებ, 2 განჩინების ასლი დაკავების და ჩხრეკის შესახებ და 9 განჩინება გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული პირადი ჩხრეკის უკანონოდ ცნობის შესახებ.

არც ერთი სასამართლოს მიერ არ იქნა წარმოდგენილი განჩინების ასლი, რომლის მიხედვით, წინასასამართლო სხდომაზე სასამართლომ დაუშვებელ მტკიცებულებად ცნო პირის დაკავების ოქმი ან/და განჩინება პირის დაკავების თაობაზე.

დამატებით, თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებიდან გამოთხოვნილ იქნა ინფორმაცია საგამოძიებო კოლეგიების მიერ აღკვეთი ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინებების ასლები, რომლებიც ორივე სასამართლოს მიერ იქნა მოწოდებული: ჯამში 187 განჩინების ასლი.

კვლევის მსვლელობისას განჩინების ასლებში პირად მონაცემთა დაცვა უზრუნველყოფილ იქნა სასამართლოების მხრიდან სახელების და გვარების დაშტრიხვით. ამასთან, ანალიზის ფარგლებში ასახული მაგალითების წარმოდგენისას კვლევის ავტორებმა თავი შეიკავეს კონკრეტული სასამართლოს, მოსამართლის ან პროკურორის დასახელებისგან პირთა მონაცემების დაცვის და საქმის ფაქტობრივი გარემოებების განმარტების თავიდან აცილების მიზნით.

ზოგადი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების მიზნით, საჯარო ინფორმაცია გამოთხოვილ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს მთავარი პროკურატურის ანალიტიკური სამსახურებიდან და ხუთი სამინისტროს საგამოძიებო ორგანოებიდან (იუსტიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, სასაგარეო ურთიერთობებისა და პრობაციის სამინისტრო). სამწუხარად, უმრავლეს შემთხვევაში, ჩვენი მიმართვა პასუხგაუცემელი

დარჩა, ხოლო რამდენიმე უწყების მხრიდან მიღებული წერილის თანახმად (სასამართლო, საქართველოს მთავარი პროკურატურა), დაკავებასთან დაკავშირებული სტატისტიკის შეგროვება არ ხდება (განჩინების საფუძველზე და განჩინების გარეშე დაკავებული პირების გამიჯვნა და ა.შ.).

კვლევის მეთოდოლოგია თვისებრივი ანალიზის კუთხით

წარმოდგენლი კვლევის ძირითადი კითხვაა როგორი სტანდარტები და პრაქტიკა არის დამკვიდრებული საქართველოში პირის დაკავებისას? აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩატარდა თვისებრივი კვლევა ჩაღრმავებული ინტერვიუს და ჯგუფური ინტერვიუს მეთოდების გამოყენებით. კვლევის ობიექტს წარმოადგენდნენ საქართველოს მასშტაბით დაკავების პროცესში ჩართული აქტორები, კერძოდ ადვოკატები,¹ მოსამართლეები და პროკურორები. სამწუხაროდ, ინტერვიუების ჩამორთმევა ვერ მოხერხდა გამომძიებლებისათვის. დოკუმენტების ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა კვლევის ინსტრუმენტი - სამი განსხვავებული სახელმძღვანელო სამიზნე ჯგუფებისათვის. საკითხის ფართო მასშტაბით შესწავლის მიზნით გამოიყო რვა ქალაქი/რეგიონული ცენტრი: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი, გორი, თელავი, ახალციხე/ახალქალაქი. ქალაქის/რეგიონული ცენტრის სამართლებრივ პროცესებში ჩართული პირების რაოდენობიდან გამომდინარე, რესპონდენტების შერჩევა განხორციელდა ან შემთხვევითი პრინციპის დაცვით², ან მიზანმიმართულად (როდესაც თითოეულ სეგმენტში ჩართული აქტორების რაოდენობა ძალზე მცირე იყო)³.

კვლევის ფარგლებში სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარება გაგრძელდა მანამ, სანამ გამოკითხვის პროცესში მიღებულ ინფორმაციებს შორის სხვაობა მხოლოდ პერიფერიული და უმნიშვნელო ხასიათს მიიღებდა. კვლევის ფარგლებში სულ გამოკითხულ იქნა 56 რესპონდენტი, რომლებთან ჩატარებული ინტერვიუების ხანგრძლივობა მერყეობდა 40 წუთიდან 90 წუთამდე. #1 ცხრილზე ასახულია კვლევის ფარგლებში გამოკითხულ მოსამართლეთა, პროკურორთა და ადვოკატთა რაოდენობა მათი სამუშაო ადგილის მიხედვით.

1 ადვოკატთა ასოციაცია, სიფა და საქართველოს უფასო იურიდიული სამსახურის ადვოკატები.

2 ამ პრინციპით შეირჩნენ ადვოკატები.

3 აღნიშნული პრინციპით შეირჩნენ მოსამართლეები და პროკურორები.

თავი II.

დაკავებასთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში მოქმედი ნორმების მიმოხილვა

თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის პროცესში მოქმედ საპროცესო იძულების ღონისძიებათა შორის დაკავება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გამოყენებულ და, ამასთან ერთად, ძალზე სენსიტიურ ინსტიტუტს, მისი ბუნებიდან გამომდინარე. ამიტომ, შემთხვევითი არ არის არა მარტო იურისტების, არამედ საზოგადოების უმეტესი ნაწილის მომეტებული ყურადღება აღნიშნული ინსტიტუტის მიმართ. იმისდა კვალად, თუ როგორია დაკავების როგორც საპროცესო იძულების ღონისძიების ნორმატიული რეგლამენტაციები, ერთი მხრივ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში დაკავების გამოყენებისას რამდენადაა დაცული ხსენებული საპროცესო-ნორმატიული რეგლამენტაციებითა და შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით დადგენილი იმპერატიული მოთხოვნები, მეორე მხრივ, შეგვიძლია ობიექტური წარმოდგენა ვიქონიოთ მოცემულ ქვეყანაში არა მარტო რეალური მართლმსაჯულების არსებობა-არარსებობაზე, არამედ, ასევე, მთლიანად არსებული პოლიტიკური სისტემის დემოკრატიულობის ხარისხზეც.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამოსარკვევად, თავდაპირველად, წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი იქნება ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში არსებული იმ ნორმატიული რეგლამენტაციების მოკლე მიმოხილვა, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს ბრალდებულებისა და სხვა პირთა მიმართ დაკავების გამოყენება და რა დროსაც ზედმიწევნით ზუსტად უნდა იქნეს დაცული მათი უფლებები.

დაკავების ნორმატიული რეგლამენტაციები მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 170-ე-178-ე მუხლებში, მაგრამ წინამდებარე გამოკვლევის მიზნების შესაბამისად, აქ ძირითადად განხილული იქნება მხოლოდ დაკავების ის საპროცესო რეგლამენტაციები, რომლებიც გათვალისწინებულია აღნიშნული კოდექსის 171-ე და 174-ე მუხლებით, რა-

დგან სწორედ ამ მუხლებშია გაწერილი ის სავალდებულო პროცედურები, რომლებიც აუცილებლად და განუხრელად უნდა იქნეს დაცული ბრალდებულის დაკავებისას. გარდა ამისა, ნაწილობრივ განხილული იქნება ასევე საპროცესო კოდექსის 175-ე და 176-ე მუხლების ზოგიერთი ნაწილით გათვალისწინებული გარემოება, რომელიც ეხება დაკავებიდან პირის გათავისუფლების საფუძველს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს სასამართლო წესით პირის დაკავების საფუძველებს. საკითხი ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც დასაკავებელი პირი შეიძლება პროცესში ჯერ კიდევ არც ფიგურირებდეს როგორც ბრალდებული, თუმცა ამ კანონით ისიც შესაძლებელია, რომ პირის მიმართ პროკურორის მიერ უკვე გამოტანილი იყოს დადგენილება ბრალდების წარდგენის შესახებ. აღნიშნული შემთხვევისათვის ხსენებული საპროცესო ნორმა ადგენს სასამართლო წესით პირის დაკავებისათვის საჭირო სავალდებულო საფუძველებს, რომელთა არსებობის გარეშე პირის დაკავება დაუშვებელია. ამ ნაწილში წინამდებარე კვლევის მიზნებისათვის, რაც გულისხმობს იმის გარკვევას, თუ რამდენადაა სასამართლოს მიერ კანონიერება და პირის უფლებები დაცული მისი დაკავების თაობაზე პროკურორების მიერ შეტანილი შუამდგომლობების განხილვა-გადაწყვეტისას, ყველაზე არსებითი და მნიშვნელოვანია სწორედ დაკავების საფუძველების არსებობა-არარსებობა და არა ის პროცედურები, რომელთა დაცვით უნდა მიმართოს პროკურორმა სასამართლოს შუამდგომლობით პირის ან ბრალდებულის დაკავების საკითხზე და რა წესით უნდა განიხილოს სასამართლომ მისი შუამდგომლობა.

საქართველოს სსკ-ის 171-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს პირის დაკავებისათვის საჭირო სავალდებულო საფუძველებს. პირველ რიგში, ეს არის დასაბუთებული ვარაუდის არსებობა იმის თაობაზე, რომ მან ჩაიდინა ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსით სასჯელად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, რაც აუცილებელი წინამძღვარია, თუმცა კი არასაკმარისი, პირის დაკავებისათვის, რადგან საამისოდ აუცილებელია, მითითებულ წინამძღვართან ერთად, სხვა დამატებით პირობათაგან ერთ-ერთის არსებობაც, რომელიც იმავე საპროცესო ნორმაშია მითითებული. მაგრამ, ვიდრე ეს უკანასკნელები იქნება განხილული, მანამდე გარკვეულ უნდა იქნეს ზემოაღნიშნული წინამძღვრის (წინაპირობის) არსიც. თუ დავაკვირდებით, მასში მოცემულია ორი კრიტერიუმი: ერთი, დასაბუთებული ვარაუდის არსებობა იმის თაობაზე, რომ პირის მიერ ჩადენილია დანაშაული და მეორე, ჩადენილი დანაშაულისათვის კანონი სასჯელად უნდა ითვალისწინებდეს თავისუფლების აღკვეთას. დასაბუთებული ვარაუდის კრიტერიუმი ძალზე მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს უსაფუძვლოდ თავისუფლების შეზღუდვისაგან პირის დაცვის თვალსაზრისით, რომელიც თავის თავში გულისმობს იმას, რომ რეალურად უნდა არსებობდეს გარკვეული ფაქტობრივი მონაცემები, რომლებიც ასაბუთებენ ვერსიას პირის მიერ დანაშაულის ჩადენის თაობაზე. რაც შეეხება ზემოხსენებულ მეორე კრიტერიუმს, როგორცაა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის არსებობა, თავისთავად, გასაგებია მისი სავალდებულობა, რადგან სრულიად გაუმართლებელი იქნებოდა, თუნდაც საგამოძიებო და საქმის სასამართლო განხილვის უზრუნველყოფის ინტერესებით პირის დაკავება და ამ გზით მისი თავისუფლების შეზღუდვა მაშინ, როდესაც, საბოლოოდ, მას ჩადენილის გამო კანონი არ სჯის მისი თავისუფლების შეზღუდვით.

ამავე დროს, როგორც აღინიშნა, განხილულ წინამძღვართან ერთად აუცილებელია ასევე საქართველოს სსსკ-ის 171-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ერთ-ერთი შემდეგი პირობის არსებობაც - დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ პირი:

1. მიიმალება;
2. არ გამოცხადდება სასამართლოში;
3. გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას;
4. ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

ამ პირობათაგან თითოეული მათგანის არსებობა უნდა საბუთდებოდეს შესაბამისი ფაქტობრივი მონაცემებით და მათზე კონკრეტულად უნდა იყოს მითითებული როგორც პროკურორის მიერ შეტანილ შუამდგომლობაში, ასევე სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირის დაკავება იქნება უკანონო.

ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასამართლოს არ აქვს უფლება, თავის განჩინებაში პირის დაკავების ისეთ საფუძველზე მიუთითოს, რაზედაც პროკურორს არ აქვს მითითებული თავის შუამდგომლობაში. თუმცა სასამართლოს იმის უფლება აქვს, რომ, თუკი პროკურორის შუამდგომლობაში დაკავების ძირითად საფუძველთან ერთად ალტერნატიულად დაკავების ორ ან მეტ დამატებით საფუძველზეა მითითებული, ამ უკანასკნელთაგან მხოლოდ ერთი მათგანის თაობაზე დასაბუთებული ვარაუდის არსებობა ცნოს საკმარისად და მასზე დაყრდნობით გამოიტანოს განჩინება პირის დაკავების შესახებ. ამგვარადაა წარმოდგენილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის პირველ ნაწილში პირის სასამართლო წესით დაკავების ინსტიტუტი.

გარდა აღნიშნულისა, საპროცესო კოდექსის იმავე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებში წარმოდგენილია სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავების საფუძველები. მეორე ნაწილში მოცემულია ჩამონათვალი იმ ექვსი კონკრეტული გარემოებისა, რომელთაგან ერთ-ერთის არსებობაც საკმარისია პირის დასაბუთებლად სასამართლოს განჩინების გარეშე. ეს გარემოებებია შემდეგი:

1. პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან დანაშაულის ჩადენისთანავე;
2. პირი დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას და მის მიმართ დაუყოვნებლივ ხორციელდება სისხლისსასამართლებრივი დევნა მისი დაკავების მიზნით;
3. პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი;
4. პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიიმალა, მაგრამ შემდგომ იგი თვითმხილველმა ამოიცნო;
5. პირი შესაძლოა მიიმალოს;
6. პირი ძებნილია.

საპროცესო კანონი საკმარისად არ მიიჩნევს აქ დასახელებული ექვსი გარემოებიდან რომელიმე მათგანის არსებობას, ამის შესახებ საქართველოს სსსკ-

ამ ფორმალობას ის მნიშვნელობა აქვს, რომ მისი შეუსრულებლობა წარმოადგენს საპროცესო კანონის არსებით დარღვევას, ხოლო ეს უკანასკნელი კი, საქართველოს სსსკ-ის 176-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკავებული ბრალდებულის უპირობო გათავისუფლების საფუძველია. ასევე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 175-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დაკავებულის გათავისუფლების უპირობო საფუძველს წარმოადგენს დაკავებულისათვის დაკავების ოქმის გადაუცემლობა ან დაკავების ოქმის ისეთი არსებითი დარღვევით შედგენა, რომელიც აუარესებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას.

გარდა ამისა მნიშვნელოვანია იმ უფლებამოსილ პირთა წრის განსაზღვრა, ვისაც ევალება, შეამოწმოს პირის დაკავების კანონიერება და საჭიროების შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება პირის დაკავებიდან გათავისუფლების თაობაზე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, 176-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, დაკავებული თავისუფლდება დროებითი მოთავსების იზოლაციის უფროსის დადგენილებით, თუ გავიდა დაკავების ვადა, რაც გულისხმობს იმას, რომ დაკავებულისთვის კანონით დადგენილ 48 საათში ბრალდების შესახებ დადგენილების გადაცემის კონტროლი სწორედ დროებითი მოთავსების იზოლაციის ხელმძღვანელის ფუნქციებში შედის. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დაკავებული თავისუფლდება პროკურორის ან მოსამართლის გადაწყვეტილებით, თუ:

1. არ დადასტურდა ეჭვი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული;
2. არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე;
3. გავიდა დაკავების ამ კოდექსით დადგენილი ვადა;
4. არ იქნა მიღებული უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის თანხმობა დაკავებაზე ან
5. არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონი.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამ ნორმათა ანალიზით მივდივართ დასკვნამდე, რომ სასამართლოს ეკისრება ვალდებულება, აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას შეამოწმოს პირის დაკავებისას არსებითად დაირღვა თუ არა კანონი ან ხომ არ ჰქონია ადგილი დაკავების ოქმის გადაუცემლობას/არსებითი დარღვევით შედგენის ფაქტს და დადებით შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება პირის დაკავებიდან გათავისუფლების სახით.

წინამდებარე კვლევის მიზანს სწორედ პროკურორისა და სასამართლოს მხრიდან საპროცესო კოდექსის ზემოთ ხსენებული ნორმების დაცვის შესწავლა წარმოადგენს და სასამართლო პრაქტიკის შესწავლის გზით შევეცდებით შეძლებისდაგვარად დეტალურად განვიხილოთ თითოეული შემთხვევა.

თავი III.

პირის დაკავებასთან დაკავშირებით საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა

ყოველ პირს აქვს უფლება, ისარგებლოს თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებით, რომელიც საერთაშორისო დონეზე საქართველოსთან მიმართებაში გარანტირებულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (შემდგომში საერთაშორისო პაქტი) მე-9 მუხლით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში ევროპული კონვენცია) მე-5 მუხლით.

საერთაშორისო პაქტი კრძალავს თვითნებურ და უკანონო დაკავებას, ამასთან, მე-9 მუხლი განსაზღვრავს პროცედურულ გარანტიებს, რომლებიც უზრუნველყოფს არსებითი უფლების დაცვას. ევროპული კონვენციის მე-5(1) მუხლი კონკრეტულად განსაზღვრავს დაკავების საფუძვლებს. აღნიშნული ჩამონათვალი ამომწურავია და განმარტების მკაცრ წესს ექვემდებარება. საერთაშორისო პაქტის მსგავსად, ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი ასევე ითვალისწინებს უფლების უზრუნველყოფის პროცედურულ სტანდარტებს.

პირის თავისუფლება გულისხმობს თავისუფლებას სხეულის ფიზიკური შეზღუდვისგან⁴. პირადი თავისუფლების შეზღუდვა გულისხმობს ნებაყოფლობითი თანხმობის არარსებობას: თუ ინდივიდი საკუთარი ნებით მიდის პოლიციის განყოფილებაში გამოძიებაში მონაწილეობის მისაღებად და თუ მან იცის, რომ თავისუფალია და ნებისმიერ დროს შეუძლია წავიდეს, მას თავისუფლება შეზღუდული არ აქვს⁵. მეორე მხრივ, თავისუფლების შეზღუდვის მრავალი ფორმა არსებობს და არ შემოიფარგლება მხოლოდ იძულებითი ხასიათის შეზღუდვით: მაგალითად, შესაძლოა პირს თავისუფლება შეეზღუდოს ძალის გამოყენების გარეშე, როდესაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი განუმარტავს მას, რომ არ შეუძლია პოლიციის დაწესებულების დატოვება ან/და გარკვეული პერიოდის განმავლობაში შენობაში უნდა დარჩეს⁶.

4 854/1999, ვაკენჰაიმი საფრანგეთის წინააღმდეგ (Wackenheim v. France), პუნქტი 6.3.

5 1758/2008, ჯესოპი ახალი ზელანდიის წინააღმდეგ, პუნქტი 7.9-7.10.

6 ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, დე ვილდე, ომსი და ვერსიპი ბელგიის წინააღმდეგ, 1971 წლის 18 ივნისი.

რადგან პირადი თავისუფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის, მისი შეზღუდვა გამართლებულია, მაგალითად, სისხლის სამართლის კანონმდებლობის აღსრულებისას.

საერთაშორისო პაქტი, ისევე როგორც ევროპული კონვენცია, კრძალავს თვითნებურ და უკანონო დაკავებას:

- თვითნებურია დაკავება თუ ის უსამართლოა, არ ექვემდებარება განჭვრეტადობის, გონივრულობის, პროპორციულობის და აუცილებლობის პრინციპებს⁷.
- უკანონოა დაკავება თუ ის ხორციელდება კანონით გათვალისწინებული საფუძვლებისა და პროცედურების გარეშე. დაკავებაში იგულისხმება პირის შეპყრობა ნებისმიერი ფორმით, რითაც იწყება პირის თავისუფლების შეზღუდვა⁸.

დაკავება შეიძლება არღვევდეს შესაბამის კანონმდებლობას (მაგ., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს), მაგრამ არ იყოს თვითნებური და პირიქით - დაკავება შეიძლება იყოს კანონით დაშვებული, მაგრამ თავისი არსით იყოს თვითნებური. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ დაკავება, რომელიც ხორციელდება ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, თვითნებურია⁹. შესაძლებელია დაკავება იყოს როგორც უკანონო, ისე თვითნებური¹⁰.

ევროპული კონვენციის თანახმად, თავისუფლების შეზღუდვა უნდა იყოს კანონიერი და კანონით დადგენილი პროცედურების შესაბამისი, რაც გულისხმობს იმას, რომ ეროვნული კანონმდებლობის მატერიალურ და პროცესუალურ ნორმებთან ერთად დაკავება უნდა შეესაბამებოდეს კონვენციის მე-5 მუხლის მიზნებს და არ იყოს თვითნებური. კერძოდ, ყველა კანონი დაწერილი თუ დაუწერილი, საკმარისად ზუსტი უნდა იყოს, რათა ყველა მოქალაქეს საჭიროებისამებრ მიეცეს შესაძლებლობა - შესაბამისი რჩევის საფუძველზე განჭვრეტოს იმ ხარისხით, რომელიც ყველა შემთხვევაში გონივრულია, ის შედეგები, რომელიც მოცემულ ქმედებას შეიძლება მოჰყვეს¹¹.

გონივრული ეჭვის ცნება

პირის დაკავების ლეგიტიმურ საფუძველს წარმოადგენს გონივრული ეჭვის არსებობა, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული.

⁷ 1134/2002, გორჯი-დინკა კამერუნის წინააღმდეგ (Gorji-Dinka v. Cameroon), პუნქტი 5.1 305/1988.

⁸ 631/1995, სპაკმო ნორვეგიის წინააღმდეგ (Spakmo v. Norway), პუნქტი 6.3.

⁹ 414/1990, მიკა მიჰა ეკვატორული გვინეის წინააღმდეგ (Mika Miha v. Equatorial Guinea), პუნქტი 6.5.

¹⁰ ზოგადი კომენტარი №35, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი ხელმისაწვდომია <http://www.ohchr.org/EN/HRBodies/CCPR/Pages/GC35-Article9LibertyandSecurityofperson.aspx>.

¹¹ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, თილი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1998 წლის 23 სექტემბერი.

ამგვარი ეჭვის არსებობა არ ამართლებს განუსაზღვრელ დაკავებას. პირველ რიგში, გონივრული ეჭვის არსებობა გულისხმობს ისეთი ინფორმაციის ან ფაქტების არსებობას, რაც დაარწმუნებდა ობიექტურ დამკვირვებელს, რომ შესაბამის პირს შესაძლოა ჩაედინა დანაშაული¹². გონივრული ეჭვის სტანდარტი არ გულისხმობს იმას, რომ პირის ბრალეულობა ამ ეტაპზე უნდა დამტკიცდეს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე¹³.

დაკავების ეტაპზე, უნდა არსებობდეს ქმედების დამამტკიცებელი გარემოებები, დოკუმენტაცია ან/და რაიმე ტიპის საექსპერტო დასკვნა, რომელიც უშუალოდ შესაბამის პირს ამხელს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში¹⁴. შესაბამისად, პირსა და ქმედებას შორის კავშირის გარდა აუცილებელია, რომ აღნიშნული ქმედება შეიცავდეს დანაშაულის ნიშნებს.

მაგალითად, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ადრეული ნასამართლობა მსგავსი ტიპის დანაშაულთან (ტერორისტული აქტების ჩადენა) მიმართებაში არ აკმაყოფილებს გონივრული ეჭვის სტანდარტს. შესაბამისად, მხოლოდ ნასამართლობის ცნობა საკმარისი არ არის გონივრული ეჭვის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად, თუმცა აღნიშნულმა ფაქტმა, სხვა მონაცემებთან ერთად, შესაძლოა განამტკიცოს ეს ეჭვი.

ამავე სასამართლოს პრაქტიკაში გონივრული ეჭვის სტანდარტი პირის დასაკავებლად დაკმაყოფილდა თაღლითობისთვის ერთხელ ნასამართლევი პირის მიერ ბინის ქირავნობისას გადასახადის გადახდის მიზნით, მცდარი მისამართის მითითებით, რაც დადასტურდა მოკვლევის ეტაპზე¹⁵ დაკავებული პირის მიერ ვინაობის და პირადობის მოწმობის გაყალბებით დანაშაულებრივი ქმედების ჩადენამდე (საქონლის/პროდუქციის მისთვის გადაცემასა და გაქრობამდე) ერთი დღით ადრე და ა.შ.¹⁶

საქმეში პიჩუგინი რუსეთის წინააღმდეგ განმცხადებელი დაობდა იმას, რომ მისი დაკავება მკვლელობის საქმეზე მოხდა მოწმეთა ჩვენებებისა და „საქმეში არსებულ სხვა მასალებზე“ დაყრდნობით, რომელიც არსებითად პირველი ინსტანციის ეროვნული სასამართლოს მიერ არ იქნა შეფასებული ბრალდების მხარის მიერ ჩვენებების და მასალების წარმოუდგენლობის გამო. ევროპული სასამართლო დაეთანხმა განმცხადებელს, რომ ეჭვის გონივრულობა აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებით არ დგინდებოდა. თუმცა აღნიშნულმა პირმა თვითნებური დაკავება გაასაჩივრა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში (მოსკოვის საქალაქო სასამართლო), სადაც ბრალდებამ წარმოადგინა საქმეში არსებული მასალები (დანაშაულის ადგილის დათვალიერების ოქმი, ექსპერტის დასკვნა და 7 მოწმის ჩვენება). ამასთანავე, დაცვის მხარეს საშუა-

¹² ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, ფოქსი, კემბელი და ჰართლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1990 წლის 30 აგვისტო, პარ. 32.
¹³ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, ურტანისი ლატვიის წინააღმდეგ, 2014 წლის 28 ნოემბერი, პარ. 33 – 36.
¹⁴ ლ.ჭელიძე და ნ.მჭედლიძე, პირის თავისუფლება და უსაფრთხოების უფლება - გზამკვლევი, ხელმისაწვდომია <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168008ebf4>.
¹⁵ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, კ.ფ. გერმანიის წინააღმდეგ, 1997 წლის 7 ნოემბერი.
¹⁶ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, ბანდური უნგრეთის წინააღმდეგ, 2016 წლის 5 ივლისი.

ლება მიეცა, გაცნობოდა აღნიშნულ მასალებს და წარმოედგინა თავისი პოზიცია. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ თვითნებური დაკავებისგან ბ-ნი პირუგინი დაცულ იქნა აპელაციის ეტაპზე უზურნველყოფილი პროცედურული გარანტიებით¹⁷.

შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო გონივრული ეჭვის სტანდარტის მეშვეობით ამოწმებს, თუ რამდენად ჰქონდა დგილი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან საქმის ფაქტობრივი გარემოებების კეთილსინდისიერ შესწავლას პირის მიმართ ეჭვის დამაჯერებლობის შესაფასებლად¹⁸.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ევროპული სასამართლო გონივრული ეჭვის სტანდარტის მოთხოვნას ასევე ითვალისწინებს პირის დაპატიმრების (ე.წ. წინასწარი პატიმრობის) ეტაპზეც: თავად მე-5 მუხლის პირველი პარაგრაფის „გ“ ქვეპუნქტში მოცემულია „პირის დაკავება ან დაპატიმრება“.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, წინასწარი პატიმრობის ეტაპზე სახეზე უნდა იყოს:

- (1) დაკავებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის გონივრული ეჭვი და
- (2) მნიშვნელოვანი მკტიცებულებები, რომლებიც ამყარებს ვარაუდს, რომ პირი
 - (2.1.) მიიმალება;
 - (2.2.) ჩაიდენს სერიოზულ დანაშაულს;
 - (2.3.) ჩაერევა მართლმსაჯულების განხორციელებაში ან/და
 - (2.4.) სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ ინტერესს.

აღნიშნული გარემოებებიდან, მიმალვის, დანაშაულის ჩადენის და მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის საფრთხე იდენტურია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლში მოცემული გარემოებებისა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პირი დაკავების მომენტიდან სარგებლობს ბრალდებულის სტატუსით, შესაბამისად, ლოგიკური იქნება, რომ აღნიშნული გარემოებების დასაბუთებისას სამართალწარმოების პროცესის მონაწილეებმა იხელმძღვანელონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი მონაცემების შესახებ დამკვიდრებული სტანდარტით.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელებასთან ერთად, სასამართლო უფრო მკაცრად აფასებს აღნიშნულ გარემოებებს, რაც მოცემული კვლევის მიზნებისთვის არ საჭიროებს დეტალურ განხილვას.

¹⁷ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, პირუგინი რუსეთის წინააღმდეგ, 2012 წლის 23 ნოემბერი.

¹⁸ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, სტეპულეაკისი მოლდოვის წინააღმდეგ, 2007 წლის 7 ნოემერი.

ამ შემთხვევაშიც, ფასდება საფრთხის შემცველი გარემოებები, მაგალითად, დანაშაულის ჩადენა რომ გარკვეულ უპირატესობას მიანიჭებს პირს კონკრეტულ საქმეში ან შეუქმნის კვალის დაფარვის შესაძლებლობას, რაზეც მიუთითებენ მოწმეები.

ინფორმირება დაკავების მიზეზების და ბრალდების შესახებ

დაკავებულ პირს დაკავებისთანავე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დაკავების მიზეზი და ბრალდების არსი²⁸. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს დაკავებული პირისთვის საშუალების მიცემას, გაასაჩივროს თავისი დაკავება, თუ მიიჩნევს, რომ დასახელებული მიზეზები უკანონო ან დაუსაბუთებელია²⁹. დაკავების მიზეზები უნდა მოიცავდეს როგორც დაკავების ზოგად სამართლებრივ საფუძველს, ასევე საკმარის ფაქტობრივ გარემოებებს, რაც ასახავს დარღვევის არსს. მაგალითად, დანაშაულებრივი ქმედების შინაარსს და სავარაუდო დაზარალებულის ვინაობას³⁰.

დაკავების საფუძვლების წერილობითი ან სხვა სპეციალური ფორმით გაცნობის მკაცრი კრიტერიუმი არ არსებობს³¹. მთავარია, რომ საფუძვლების შესახებ ინფორმაცია პირს უნდა მიეწოდოს მისთვის გასაგებ ენაზე³². ეს ინფორმაცია პირს უნდა მიეწოდოს დაუყოვნებლივ, დაკავებისთანავე³³. რაც შეეხება თავად ინფორმაციის შინაარსს, დამკავებელი ვალდებული არ არის პირს მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია დაკავების მომენტში. რიგ შემთხვევებში ეს შეუძლებელიც კი არის. მსგავს შემთხვევებში დაკავებასა და ადეკვატური განმარტების მიცემას შორის დასაშვები პერიოდი დამოკიდებული იქნება ყოველ კონკრეტულ საქმეზე, გარემოებებსა და დანაშაულის შინაარსზე. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, დაკავებულ პირს პირველივე დაკითხვის დროს ბრალეულობის განმსაზღვრელი ნორმის გარდა უნდა განემარტოს მიზეზები, რამაც გამოიწვია ეჭვი (ვარაუდი) პირის დანაშაულებრივ ქმედებაში მონაწილეობის შესახებ³⁴.

გამონაკლის შემთხვევაში ამგვარი მყისიერი კომუნიკაცია შეიძლება არ იყოს შესაძლებელი პრაქტიკული წინააღმდეგობების გამო, მაგალითად, დაყოვნება შეიძლება გაგრძელდეს თარჯიმნის მოსვლამდე. ამასთანავე, ნებისმიერი და-

28 მუხლი 5(2), ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 9(2), სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი.

29 248/1987, ქემბელი იამაიკის წინააღმდეგ (Campbell v. Jamaica), პუნქტი 6.3. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, ფოქსი, კემბელი და ჰარტლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.

30 1177/2003, ვენგა და შანდვე კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ (Wenga and Shandwe v. Democratic Republic of the Congo), პუნქტი 6.2.

31 ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, კეინი კვიპროსის წინააღმდეგ, 2011 წლის 13 სექტემბერი.

32 868/1999, ვილსონი ფილიპინების წინააღმდეგ (Wilson v. The Philippines), პუნქტები: 3.3, 7.5.

33 ფოქსი, კემბელი და ჰარტლი, პარ. 40.

34 ფოქსი, კემბელი და ჰარტლი, პარ. 40.

ყოფნება უნდა იყოს მინიმალური და აბსოლუტურად აუცილებელი³⁵. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაყოვნების შეფასება ხდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში³⁶. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, აღნიშნული დაყოვნება არ უნდა გასცდეს რამდენიმე საათს.

თუ კონკრეტული ბრალდება უკვე ჩამოყალიბებულია, დაკავებისას უფლებამოსილმა პირმა შეიძლება აუწყოს პირს როგორც დაკავების მიზეზების, ისე ბრალდების შესახებ³⁷.

სასამართლო კონტროლი და დაკავების კანონიერების გასაჩივრება

პირის დაკავებაზე სასამართლო კონტროლი მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, რომ ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძველზე დაკავებული დაუყოვნებლივ წარედგინოს მოსამართლეს: აღნიშნული უფლება ავტომატურ რეჟიმში უნდა ხორციელდებოდეს³⁸. ეს მოთხოვნა ვრცელდება ყველა შემთხვევაზე, გამონაკლისის გარეშე. შესაბამისად, აღნიშნული უფლება არ არის დამოკიდებული დაკავებული პირის უნარზე ან არჩევანზე (განსხვავებით დაკავების კანონიერების გასაჩივრების უფლებისა)³⁹.

მართალია, ტერმინისა „დაუყოვნებლივ“ მნიშვნელობა შეიძლება იცვლებოდეს ობიექტური გარემოებების მიხედვით⁴⁰, მაგრამ დაყოვნება არ უნდა გადასცდეს რამდენიმე დღეს დაკავების მომენტიდან⁴¹. ადამიანის უფლებათა კომიტეტი მიიჩნევს, რომ 48 საათი, ჩვეულებრივ, საკმარისია დაკავების მომენტიდან პირის სასამართლოს წინაშე წარსადგენად⁴². შესაბამისად, დაყოვნება, რომელიც სცდება 48 საათს, აბსოლუტურ გამონაკლისს უნდა წარმოადგენდეს და არსებულ პირობებში გამართლებული იყოს⁴³. უფრო ხანგრძლივად სამართალდამცავი ორგანოების დაქვემდებარებაში ყოფნა, რაზეც არ ხორციელდება სასამართლო კონტროლი, ზრდის არასათანადო მოპყრობის რისკს⁴⁴.

35 526/1993, ჰილი და ჰილი ესპანეთის წინააღმდეგ (Hill & Hill v. Spain), პუნქტი 12.2.

36 ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, მიურეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1996 წლის 8 თებერვალი.

37 493/1992, გრიფინი ესპანეთის წინააღმდეგ (Griffin v. Spain), პუნქტი 9.2.

38 ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, დე იონგი, ბალუეტი დავან დერ ბრინკი ნიდერლანდების წინაარმდეგ, 1984 წლის 22 მაისი.

39 1787/2008, კოვში ბელარუსის წინააღმდეგ (Kovsh v. Belarus), პუნქტები 7.3-7.5.

40 702/1996, მაკლორენსი იამაიკის წინააღმდეგ (McLawrence v. Jamaica), პუნქტი 5.6, 21.

41 1128/2002, მარკის დე მორაისი ანგოლის წინააღმდეგ (Marques de Morais v. Angola), პუნქტი 6.3.

42 1787/2008, კოვში ბელარუსის წინააღმდეგ (Kovsh v. Belarus), პუნქტები 7.3-7.5.

43 336/1988, ფილასტრე ბოლივიის წინააღმდეგ (Fillastre v. Bolivia), პუნქტი 6.4 (შებლდული ბიუჯეტი არ ამართლებს ათდღიან დაყოვნებას).

44 ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, მაქკეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 2006 წლის დიდი პალატის გადაწყვეტილება, პარ. 34.

კომპენსაციის მიღების უფლება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5(5) მუხლი და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-9(5) მუხლი უზრუნველყოფს, რომ ყველას, ვინც უკანონო დაკავების მსხვერპლი გახდა, უნდა ჰქონდეს კომპენსაციის მიღების სასამართლოს მიერ აღსრულებადი უფლება.

კომპენსაციის მიღების უფლება არ ავალდებულებს, სახელმწიფოს საკუთარი ინიციატივით (*სუა სპონტე*) აუნაზღაუროს მსხვერპლს ზიანი, არამედ მსხვერპლს აძლევს შესაძლებლობას, დაიწყოს სამართალწარმოება კომპენსაციის მიღების მიზნით⁵². შესაბამისად, აღნიშნული უფლება დამოკიდებულია უკანონო დაკავების მსხვერპლის მიერ შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების გამოყენებაზე.

დაკავების „არაკანონიერი“ ხასიათი შეიძლება გამომდინარეობდეს როგორც შიდა სამართლის, ისე თავად აღნიშნული ორი საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისი დებულების დარღვევიდან, როგორცაა არსებითად თვითნებური დაკავება, რაც არღვევს პროცესუალურ მოთხოვნებს⁵³. თუმცა ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის დამნაშავე საბოლოოდ გამართლდა პირველი ინსტანციის ან სააპელაციო სასამართლოში, თავისთავად, არ აქცევს წინასწარ პატიმრობას „უკანონოდ“⁵⁴. ასევე, აღნიშნული უფლების განხორციელება არ უნდა იყოს დამოკიდებული პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის ან პირის მიმართ საქმისწარმოების შეწყვეტის ფაქტზე⁵⁵. ამასთან, მაგალითად, ქვეყნის შიდა კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფს კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას პირის უკანონო დაკავების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე, აკმაყოფილებს აღნიშნული პრინციპის მოთხოვნას⁵⁶.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული უფლება არ ადგენს თავად კომპენსაციის ოდენობას (უშუალოდ კონკრეტული თანხის ოდენობა არ არის დადგენილი)⁵⁷, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, შიდა სასამართლოს მიერ დადგენილი თანხა არ უნდა იყოს ტრივიალური⁵⁸ ან იმაზე ნაკლები, რაც იდენტურ საქმეზე მანამდე გაიცა⁵⁹.

⁵² 414/1990, მიკა მიჰა ეკვატორული გვინეის წინააღმდეგ (*Mika Miha v. Equatorial Guinea*), პარ. 6.5.

⁵³ 1128/2002, მარკის დე მორაისი ანგოლას წინააღმდეგ (*Marques de Morais v. Angola*), პარ. 6.6.

⁵⁴ 432/1990, ვ.ბ.ე. ნიდერლანდების წინააღმდეგ (*W.B.E. v. Netherlands*), პარ. 6.5. 963/2001.

⁵⁵ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, კორნეკოვა უკრაინის წინააღმდეგ, 2012 წლის 19 იანვარი.

⁵⁶ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, „ნ.ს.“ იტალიის წინააღმდეგ, 2002 წლის 18 დეკემბერი

⁵⁷ შაბასი, გვ. 258.

⁵⁸ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, ატარდი მალტის წინააღმდეგ, 2000 წლის 28 სექტემბერი.

⁵⁹ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, ბოიჩენკო მოლდავეთის წინააღმდეგ, 2006 წლის 11 ივლისი.

თავი IV. პირის დაკავებასთან დაკავშირებით საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა

სასამართლოს განჩინებით პირის ან ბრალდებულის დაკავების პრაქტიკის ზოგადი დახასიათება

ამჯერად განხილული იქნება სასამართლოს განჩინებით პირის დაკავების პრაქტიკაში არსებული ვითარება მისი კანონიერების, პირის კონსტიტუციური უფლებების დაცვისა და მასთან დაკავშირებული სხვა პრობლემების თვალსაზრისით.

დაკავებებთან დაკავშირებით, რომლებიც ხორციელდება სასამართლოების განჩინებებით, პრაქტიკაში არსებული ვითარებისა და ტენდენციების ადეკვატური ასახვისათვის კვლევისას, ყურადღება გამახვილებულ იქნა მთელ რიგ ისეთ მომენტებზე, რომელთა დადგენა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის საქმის არსზე, ცალკეული პროკურატურისა თუ სასამართლოს მოქმედების სტილზე, კანონიერებასა და დასაბუთებულობაზე პირის დაკავების საკითხის დაყენებისა და გადაწყვეტისას. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ შესასწავლად ალებულ იქნა 2013-2014 წლების პერიოდი, რადგან ამ პერიოდში უფრო აქტუალურია მიმდინარე პრაქტიკაში არსებული პრობლემური საკითხების გამოკვეთა და შემდგომში რეაგირებისათვის მათზე კომპეტენტური უწყებების ყურადღების მიქცევა.

კვლევისას უწინარესად შესწავლილ იქნა შემდეგი საკითხი: პირის დაკავების მოთხოვნით პროკურორების მიერ აღძრულ შუამდგომლობებში, შესაბამისად, სასამართლოების მიერ მიღებულ განჩინებებში, რომლებითაც დაკმაყოფილდა აღნიშნული შუამდგომლობები, რამდენად საფუძვლიანად იყო დასაბუთებული პირის დაკავების აუცილებლობა კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე და შესაბამის მტკიცებულებებზე მითითებებით. მაგრამ მანამდე უნდა შევეხოთ საკითხს - აღნიშნულ საპროცესო დოკუმენტებში როგორ არის ასახული საქართველოს სსსკ-ის 171-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული პირის დაკავების პირველადი საფუძველი - დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ მან ჩაიდინა ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც სასჯელად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა.

შეიძლება ითქვას, რომ უმრავლეს შემთხვევაში მასზე მითითება ზემოაღნიშნულ საპროცესო დოკუმენტებში, პროკურორის შუამდგომლობასა და მოსამართლის განჩინებაში უბრალო ფორმლობის ხასიათს ატარებს, რადგან, როგორც წესი, პროკურორის შუამდგომლობას თან ახლავს საქმის მასალებიც გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებების სახით, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მიუთითებენ პირის მონაწილეობაზე ჩადენილ დანაშაულში. ასეთი ფორმლობა ადვილი გასაგებია იქიდან გამომდინარე, რომ მოსამართლეს არ აქვს უფლება, მოცემულ ეტაპზე არსებითად იმსჯელოს საქმეში არსებული მტკიცებულებების თაობაზე. ამიტომ, როგორც პროკურორის შუამდგომლობაში, ისე სასამართლოს განჩინებაში, პირის დაკავების ამ პირველად საფუძველთან დაკავშირებით, გვხვდება თითქმის ერთგვაროვანი ფორმულირებები, რომელთა მიხედვით, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსსკ-ის მუხლით(ს) ნაწილით, რომლისთვისაც სასჯელად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთადან წლამდე. თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, ამგვარი ფორმულირებები ორივე დასახელებულ საპროცესო დოკუმენტში მოკლებულია რაიმე ისეთ კონკრეტულს, რომელიც შეგვიქმნიდა თუნდაც გარკვეულ წარმოდგენას იმ ვარაუდის საფუძველიანობასა თუ უსაფუძველობაზე, რომ პირმა შესაძლოა მართლაც ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა. მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში გვხვდება დასაბუთება, მცირეოდენი მსჯელობის სახით, იმის თაობაზე, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, მოწმეების ჩვენებებით, დაზარალებულ ჩვენებით, ნივთმტკიცებებით და სხვა, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ა.გ-მ ჩაიდინა (დანაშაულის დასახელება), რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით (ტიპიური დასაბუთება პროკურორის ერთ-ერთი შუამდგომლობიდან).

რაც შეეხება სასამართლოების განჩინებებს, შეიძლება მოტანილ იქნეს რამდენიმე, მეტ-ნაკლებად განსხვავებული ნიმუში აღნიშნული დასაბუთებისა:

- ამონარიდი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის ერთ-ერთი განჩინებიდან: „დაკავების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ წარმოდგენილი მასალების მიხედვით პროკურორის შუამდგომლობაში დასაბუთებულია ვარაუდი იმისა, რომ ა.კ.-ს შესაძლოა ჩადენილი ჰქონდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით რვიდან თორმეტ წლამდე“.
- ამონარიდი ახალციხის რაიონული სასამართლოს ერთ-ერთი განჩინებიდან: „არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც კანონით სასჯელად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, რაც გამომდინარეობს საქმეში არსებული შემდეგი მტკიცებულებების ერთობლიობიდან: პოლიციის ოფიცრის პატაკი, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, მოწმეთა დაკითხვის ოქმები, ნივთიერი მტკიცებულებების გახსნისა და დათვალიერების ოქმი და სხვა“.

- ამონარიდი ახალქალაქის რაიონული სასამართლოს განჩინებიდან: „განინილა რა პროკურორის შუამდგომლობაში წარმოდგენილი ფაქტები და მტკიცებულებების ერთობლიობა, სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული იძლევა საფუძველს დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული რომლისთვისაც კანონით სასჯელად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა“.

განხილული მაგალითები ეხებოდა ისეთ შემთხვევებს, როდესაც სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა პირის დაკავების თაობაზე. მართალია, ძალზე იშვიათად, მაგრამ პრაქტიკაში მაინც გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და გამოიტანა განჩინება პირის დაკავებაზე უარის თქმის შესახებ სწორედ იმ მოტივით, რომ საქმეში არსებული მასალები, რომლებიც პროკურორის შუამდგომლობაშია მითითებული, არ იძლევა საფუძველს დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ პირს ჩადენილი აქვს ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც კანონით სასჯელად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა. მაგალითად: ბათუმის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთი განჩინებით, არ დაკამყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა პირის დაკავების თაობაზე. აღნიშნული მოთხოვნა პროკურორის მიერ დასაბუთებული იყო პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ პოლიციის თანამშრომლის მიერ ოპერატიული ინფორმაციის მიღებაზე და ამ თანამშრომლის დაკითხვის ოქმზე მითითებით.

სასამართლომ, თავისი განჩინებით, პროკურორის შუამდგომლობაში მითითებული და საქმეში არსებული ფაქტობრივი მასალა არასაკმარის საფუძველად ჩათვალა დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ პირს ჩადენილი აქვს დანაშაული, რადგან საერთოდ არ არსებობდა დანაშაულთან მისი კავშირის დამადასტურებელი რაიმე ხელშეხებები მტკიცებულება; ასევე, ახალციხის რაიონული სასამართლოს განჩინებით არ დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა პირის დაკავების თაობაზე, რადგან ამ შუამდგომლობაში არ იყო მოცემული ჯეროვანი და საფუძველიანი დასაბუთება იმ ვარაუდისა, რომ პირს ჩადენილი აქვს დანაშაული. სასამართლომ თავის განჩინებაში აღნიშნა, რომ, არც პროკურორის შუამდგომლობაში და არც საქმის მასალებში არ მოიპოვება საფუძველი დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, კერძოდ: საქმის მასალებში არ არსებობს შეტყობინება ან პატაკი დანაშაულის ჩადენის შესახებ; არ არის შევსებული და საქმეში არ დევს ბარათი გამოძიების დაწყების შესახებ; არ არსებობს რაიმე მტკიცებულება იმისა, რომ სწორედ ბრალდებულმა ჩაიდინა კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედება. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საერთოდ შეუძლებელია მსჯელობა იმაზეც, რომ ბრალდებული მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს მტკიცებულებებს ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

მაგრამ, სამწუხაროდ, უმრავლეს შემთხვევაში, სასამართლო, პირის დაკავებაზე პროკურორის შუამდგომლობის განხილვისა და მისი დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, საერთოდ არ აქცევს ყურადღებას - დასაბუთებულია თუ არა რაიმეთი პროკურორის მიერ გამოთქმული ვარაუდი იმის შესახებ, რომ პირს ჩადენილი აქვს დანაშაული, რომლისთვისაც კანონით, სასჯელად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა.

ცალკეული შემთხვევისათვის, არამედ ან აბსოლუტურად უმრავლესი, ანდა საკმაოდ მრავალი შემთხვევისათვის პირის დაკავება-არდაკავების საკითხის გადაწყვეტისას.

პირველ რიგში განხილული იქნება დაკავებასთან დაკავშირებით მარლმსაჯულების განხორციელებისას უაღრესად ფართოდ გავრცელებული ისეთი ნეგატიური მოვლენა, როგორცაა პირის დაკავების თაობაზე პროკურორის მიერ სასამართლოში შეტანილი შუამდგომლობისა და მასთან დაკავშირებით მოსამართლის მიერ გამოტანილი განჩინების დაუსაბუთებლობა (ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არ აქვს იმას - მოსამართლემ დააკმაყოფილა თუ არ დააკმაყოფილა პროკურორის მოთხოვნა).

როგორც ცნობილია, სასამართლო გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობა სისხლის სამართალწარმოებაში მართლმსაჯულების განხორციელებისას, სამწუხაროდ, თანამედროვე ქართული სასამართლოების საქმიანობის აქტიურობის ქუსლს წარმოადგენს და ის არ ეხება მხოლოდ პირის დაკავების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილი ერთმნიშვნელოვნად ადგენს: „სასამართლო გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს“. სწორედ სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებაში ჩანს, რამდენად სწორად განხორციელდა მართლმსაჯულება კონკრეტულ შემთხვევაში, იყო თუ არა ის ობიექტური, მიუკერძოებელი და სამართლიანი, საფუძვლიანად თუ ზერელედ არის გადაწყვეტილი ძირითადი და მთავარი საკითხი, შემოწმდა თუ არა მხარის ყველა პრეტენზია და გაეცა თუ არა მათ ჯეროვანი პასუხი, რაც სასამართლოს ერთ-ერთ ძირითად მოვალეობას წარმოადგენს. ყველაფერი ეს, ერთად აღებული, განაპირობებს და განსაზღვრავს სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების მიმართ ნდობის არსებობასა თუ არარსებობას.

პირის დაკავების საკითხის თაობაზე სასამართლოში პროკურორების მიერ შეტანილი შუამდგომლობებისა და ამ შუამდგომლობებთან დაკავშირებით მოსამართლეების მიერ გამოტანილი განჩინებების დაუსაბუთებლობა კირეალურად მდგომარეობს იმაში, რომ მათში არ მოიპოვება კონკრეტული, არგუმენტირებული და შესაბამის ფაქტობრივ მასალებზე მითითებით გამყარებული მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რატომ არის აუცილებელი პირის დაკავება და რა ანგარიშგასაწევი გარემოებები არსებობს საამისოდ ანდა პირიქით - რატომ არ უნდა იქნეს პირი დაკავებული მოცემულ შემთხვევაში. აქ არ იქნება მოტანილი კონკრეტული მაგალითი რომელიმე პროკურორის შუამდგომლობის ან მოსამართლის გადაწყვეტილების (განჩინების) სახით, რადგან აღნიშნული ხარვეზი დამახასიათებელია არა მხოლოდ ერთეული პროკურორებისა თუ მოსამართლეების საქმიანობისათვის, არამედ სხვა მრავალი დანარჩენებისთვისაც.

შემდეგ პრობლემურ საკითხს დაკავებების თაობაზე განხორციელებულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით წარმოადგენს არა მარტო ცალკეული სასამართლოების მიერ, არამედ ერთი და იგივე სასამართლოს მოსამართლეების მიერ დაკავებებზე განხორციელებული სასამართლო პრაქტიკის არაერთგვაროვნება. აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც თანაბარი პირობების არსებობისას მკვეთრად განსხვავებული სასამართლო გადაწყვეტილებების მიღება ხდება, რაც ყოველად გაუმართლებელია, ვინაიდან ასეთი მიდ-

როდესაც პირის დაკავების აუცილებლობა და საამისოდ საჭირო, საპროცესო კანონით გათვალისწინებული საფუძვლები სინამდვილეში რეალურად არსებობს.

დაბოლოს, ერთი საკმაოდ გავრცელებული ხარვეზის შესახებაც უნდა აღინიშნოს. საკითხი მდგომარეობს შემდეგში: პროკურორები თავიანთ შუამდგომლობებში, ასევე მოსამართლეებიც თავიანთ განჩინებებში დაკავების საფუძვლების მითითებისას სცდებიან საქართველოს სსსკ-ის 171-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ფარგლებს და მსჯელობენ დაკავების ისეთი საფუძვლის არსებობა-არარსებობაზე, რომელიც ამ საპროცესო ნორმით არ არის გათვალისწინებული. სახელდობრ, მათ მიერ მსჯელობა მიმდინარეობს იმაზე, რომ არსებობს (ან პირიქით, არ არსებობს) დასაბუთებული ვარაუდი, რომლის მიხედვით, პირმა შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს მოწმეებზე ან დაზარალებულზე, ანდა შესაძლოა მან ხელი შეუშალოს მტკიცებულებების მოპოვებას, რაც ყოველად გაუმართლებელია, მიუხედავად იმისა, რომ მათ მსჯელობაში ეს უკანასკნელები თან ახლავს ხოლმე ზემოხსენებული საპროცესო ნორმით გათვალისწინებულ დაკავების საფუძვლებს. ნათელია, რომ ბრალდებულის მიერ მოწმეებზე ან დაზარალებულზე შესაძლო ზეგავლენის მოხდენა შინაარსობრივად დაახლოებით იგივეს გულისხმობს, რასაც იმაზე მითითება, რომ ბრალდებულმა შესაძლოა ხელი შეუშალოს მტკიცებულებების მოპოვებას. ამ უკანასკნელს კი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს როგორც ბრალდებულის მიმართ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის გამოყენების საფუძველს. სრულიად უდავოა, რომ ყოველად დაუშვებელია პირის დაკავების საფუძვლად გამოყენებულ იქნეს კანონის მიერ დაპატიმრების გამოყენებისათვის გათვალისწინებული საფუძველი. ასეთი დარღვევა განსაკუთრებით მიუტევებელია სასამართლოსათვის, რომელიც კანონიერების უზრუნველყოფის საიმედო გარანტი უნდა იყოს. უკეთეს შემთხვევაში მოსამართლე თავის განჩინებაში საერთოდ არ ახსენებს პროკურორის მიერ შუამდგომლობაში მითითებულ, მაგრამ საპროცესო კანონით გაუთვალისწინებელ დაკავების საფუძველს და არც მსჯელობს მის შესახებ, თუმცა მოსამართლის მხრივ ესეც არასწორ ქმედებას წარმოადგენს, რადგან იგი მოვალეა სათანადო რეაგირება მოახდინოს მსგავს დარღვევებზე, სამომავლოდ მათი თავიდან აცილების მიზნით.

სასამართლოს განჩინებით პირის ან ბრალდებულის დაკავების პრაქტიკის კერძო საკითხები

სასამართლოს განჩინებით პირის ან ბრალდებულის დაკავების პრაქტიკის ზოგადმა მიმოხილვამ გვაჩვენა, რომ ეს უკანასკნელი არ არის დაზღვეული ხარვეზებისგან, რასაც საბოლოოდ, მივყავართ აღნიშნული პირისა თუ ბრალდებულის უფლებების დარღვევამდე. ამჯერად კი განხილვის საგანი იქნება ის კონკრეტული ხარვეზები, რაც ახლავს პირის ან ბრალდებულის სასამართლო წესით დაკავების თაობაზე სასამართლოებში პროკურორების მიერ შეტანილ შუამდგომლობებსა და მათ თაობაზე გამოტანილ სასამართლო განჩინებებს. ამ მიმართებით სასამართლო პრაქტიკის შესწავლის პროცესში მოხდა პირთა დაკავების თაობაზე პროკურორების მიერ შეტანილ შუამდგომლობათა სასამართლოში განხილვის შემთხვევების დაჯგუფება იმის მიხედვით, თუ რა

ზომითა და რა სახით იყო წარმოდგენილი აღნიშნულ შუამდგომლობებსა და მათთან დაკავშირებით მიღებულ სასამართლო განჩინებებში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაკავების საფუძვლები და მათი დასაბუთებები.

პირველ რიგში, გამოკვლეულ იქნა ის შემთხვევები, როდესაც პროკურორები თავიანთ შუამდგომლობებში ითხოვდნენ რა პირისა თუ ბრალდებულის დაკავებას, საამისოდ უთითებდნენ აღნიშნული საპროცესო ნორმით გათვალისწინებულ ყველა დამატებით საფუძველზე, კერძოდ, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ პირი: მიიმალება და არ გამოცხადდება სასამართლოში; გაანადგურებს საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას; ჩაიდენს ახალ დანაშაულს. ამასთან, უმრავლეს შემთხვევებში, შუამდგომლობაში საერთოდ არ იყო ნახსენები იმავე საპროცესო ნორმით გათვალისწინებული დაკავების ძირითადი და მთავარი საფუძველი - არსებობდა თუ არა დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ პირს ჩადენილი ჰქონდა ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც კანონით სასჯელად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა. მხოლოდ იშვიათად, გამონაკლის შემთხვევებში გვხვდება მითითება ამ უკანასკნელის არსებობაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. გარდა ამისა, აღნიშნული შემთხვევები შეიძლება დავყოთ ორ ქვეჯგუფად: როდესაც პროკურორის შუამდგომლობა სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა და როდესაც არ დაკმაყოფილდა.

განსახილველ შემთხვევათა გამოკვლევით ირკვევა, რომ პროკურორები თავიანთ შუამდგომლობებში მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდით უთითებენ პირის დაკავებისათვის საჭირო ზემოხსენებული სამი საფუძვლის არსებობაზე, თუმცა ამას ასაბუთებენ ამა თუ იმ გარემოებაზე მხოლოდ ზოგადი მითითებით, რაიმე კონკრეტული მტკიცებულებებით დადასტურებული ფაქტების გარეშე.

საილუსტრაციოდ აქ შეიძლება მოტანილ იქნეს შემდეგი მაგალითები: პროკურორმა შუამდგომლობით მიმართა რა პირის დაკავების მოთხოვნით რაიონულ სასამართლოს, მასში მიუთითა, რომ დასაკავებელი პირი მიიმალება და არ გამოცხადდება სასამართლოში, რადგან სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეა და ვერ დგინდება მისი მუდმივი ადგილსამყოფელი; ის შეეცდება გაანადგუროს საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ვინაიდან მისთვის ცნობილია მტკიცებულებების ადგილსამყოფელი; მან შეიძლება ჩაიდინოს ახალი დანაშაული, რადგან წარსულში იგი მრავალჯერ არის ნასამართლევი, ხოლო დაკავებისას ყოველთვის უწყევდა წინააღმდეგობას პოლიციის თანამშრომლებს. მიუხედავად ასეთ გარემოებებზე მითითებისა, პროკურორს მათი დადასტურებისათვის შუამდგომლობაში არ მიუთითებია კონკრეტულ ფაქტობრივ მასალებზე (მტკიცებულებებზე) და არც სასამართლოში წარდგენილ საქმეში მოიპოვებოდა ასეთი მასალა.

სხვა საქმეზე პროკურორმა, თავისი შუამდგომლობით, რაიონულ სასამართლოში პირის დაკავების თაობაზე წარდგენილი მოთხოვნის საფუძველად მიუთითა რა იმ ვარაუდის არსებობა, რომ ეს პირი მიიმალებოდა და არ გამოცხადდებოდა სასამართლოში, გაანადგურებდა საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას და ჩაიდენდა ახალ დანაშაულს, ის ყველა ამ ვარაუდს ასაბუთებდა მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ პირმა სავარაუდოდ დანაშაული ჩაიდინა მის მიმართ გამოყენებული პირობითი მსჯავრის მოქმედების

პერიოდში. თუმცა პროკურორს არ დაუდასტურებია, რომ დასაკავებელი პირი შეეცადა მიმალვას ანდა მტკიცებულებების განადგურებას, ან კიდევ რაიმე ახალი დანაშაულის ჩადენას, გარდა იმისა, რაც უკვე ჩაიდინა.

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პროკურორი პირის დაკავების საფუძველად თავის შუამდგომლობაში უთითებს საპროცესო კანონით გათვალისწინებულ სამივე დამატებით გარემოებაზე, მაგრამ მხოლოდ მათი დასახელებით შემოიფარგლება, რასაც არავითარი არგუმენტაცია და დასაბუთება არ ახლავს.

გარდა აღნიშნულისა, ისეთი შემთხვევებიც არსებობს, როდესაც პროკურორი თავის შუამდგომლობაში პირის დაკავების მოთხოვნით უთითებს სამივე ზემოხსენებული დამატებითი საფუძველის არსებობაზე, რასაც მხოლოდ იმის აღნიშვნით ასაბუთებს, რომ დასაკავებელი პირი ასეთ ქმედებებს ჩაიდენს მოსალოდნელი სასჯელის შიშითა და პასუხისმგებლობისგან თავის არიდების მიზნით. მოსალოდნელი სასჯელის შიშით მიმალვის ან პასუხისმგებლობისგან თავის ასარიდებლად საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების ვარაუდი შესაძლოა გასაგები იყოს, მაგრამ მოსალოდნელი სასჯელის შიშით ახალი დანაშაულის ჩადენა ფრიად არალოგიკურად გამოიყურება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ყოველივე ამის დასადასტურებლად არავითარი მტკიცებულება არ არის წარდგენილი.

ცალკეულ შემთხვევაში პროკურორი თავის შუამდგომლობაში უთითებს საპროცესო კანონით გათვალისწინებულ სამივე დამატებით საფუძველს პირის დასაკავებლად, რომელთა არსებობის ვარაუდის დასაბუთებისათვის ასახელებს, მართალია, საკმაოდ ანგარიშგასაწევ არგუმენტს, მაგრამ შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულებების გარეშე. მაგალითად: ერთ-ერთმა პროკურორმა თავის შუამდგომლობაში მოთხოვნის დასაბუთებისათვის იმ გარემოებაზე მიუთითა, რომ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ბრალდებული მიიძალა; მეორე პროკურორმა არგუმენტად მიუთითა, რომ ბრალდებულმა დანაშაულის ჩადენის შემდეგ სცადა მიმალვა, მტკიცებულებების გადაძალვა და გამოძიებისათვის ხელის შეშლა; სხვა პროკურორმა იმის დასაბუთებისათვის, რომ ბრალდებული ჩაიდენს ახალ დანაშაულს, თავის შუამდგომლობაში შემდეგ გარემოებაზე მიუთითა: ის წინათ უკვე იყო გასამართლებული არაერთგზისი დანაშაულისათვის და ამის შემდეგ უკვე მესამედ ჩაიდინა დანაშაული.

აქვე აღსანიშნავია ნიმუში კიდევ ერთი შუამდგომლობისა, რომელშიც პროკურორი დაკავების ორი დამატებითი საფუძველის არსებობის დასაბუთებისათვის, კერძოდ, რომ პირი მიიძალა და თავს აარიდებს სასამართლოში გამოცხადებას, ასევე ის გაანადგურებს მტკიცებულებებს, უთითებს იმაზე, რომ იგი ამას ჩაიდენს მოსალოდნელი სასჯელის შიშით. რაც შეეხება მესამე დამატებით საფუძველს - პირის მხრივ ახალი დანაშაულის შესაძლო ჩადენას, ამ უკანასკნელს იმ არგუმენტზე მითითებით ასაბუთებს, რომ ის ახლაც აგრძელებს დანაშაულებრივ საქმიანობას, რაც ერთობ გაუგებარია. საქმე ისაა, რომ, თუკი პირი არ მიმალულა, მაგრამ ის აგრძელებს დანაშაულებრივ საქმიანობას, მაშინ ისმება სრულიად ლოგიკური კითხვა: რატომ არ იქნა პირი დაკავებული სასამართლოს განჩინების გარეშე - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომელიც ასეთი დაკავების საფუძველად ადგენს იმ გარემოებას, რომ პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან მისი ჩადენისთანავე. ანდა

მსგავს შემთხვევაში რაღა საჭიროა იმაზე მითითება, რომ პირი შეიძლება მიიმალოს ან მან შეიძლება მტკიცებულებები გაანადგუროს?

წარმოდგენილ შემთხვევებში პროკურორების შუამდგომლობებს, მიუხედავად მათ შორის არსებული გარკვეული განსხვავებებისა და მათ შესახებ ყოველივე ზემოთ თქმულისა, საერთო ის აქვთ, რომ სასამართლოებმა თავიანთი განჩინებებით ისინი დააკმაყოფილეს. ამ თვალსაზრისით ბუნებრივ ინტერესს იწვევს აღნიშნულ სასამართლო განჩინებებში პროკურორის შუამდგომლობის დაკმაყოფილებისა და პირის დაკავების თაობაზე არსებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის საკითხი. ამ მიმართებით უნდა ითქვას, რომ განხილულთაგან უმრავლეს შემთხვევაში მოსამართლე მცირეოდენი არაარსებითი განსხვავებებით, თითქმის იმეორებს იმას, რაც პროკურორის შუამდგომლობაში იყო წარმოდგენილი დასაბუთების ნაწილში დაკავების საფუძვლებთან დაკავშირებით. მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში მოსამართლე, პროკურორისგან განსხვავებით, თავის განჩინებაში მსჯელობს, მაგრამ ძალიან მოკლედ კონკრეტული ფაქტების მიუთითებლად ან შემოიფარგლება მხოლოდ საქმეში არსებული მტკიცებულებების დასახელებით, საპროცესო კანონით გათვალისწინებულ დაკავების ძირითად საფუძველზე - დასაბუთებულ ვარაუდზე იმის შესახებ, რომ პირს ჩადენილი აქვს ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც კანონით სასჯელად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, ესა თუ ის მოსამართლე, აღნიშნული საფუძვლის არსებობა-არარსებობაზე მსჯელობის ნაცვლად, ზოგადად უთითებს: საქმეში არსებული მტკიცებულებების სახით მოიპოვება საფუძველი საიმისოდ, რომ პირი დაკავებულ იქნესო. აღმოჩნდა ისეთი შემთხვევაც, როდესაც მოსამართლე ბრალდებულის შესაძლო მიმალვის თაობაზე დასაბუთებული ვარაუდის არსებობის დასადასტურებლად ისეთ გარემოებაზე მიუთითებს, რომელიც პროკურორს თავის შუამდგომლობაში არ აღუნიშნავს. მაგალითად, ბრალდებულის მხრივ მიმალვის შესაძლებლობას პროკურორი შუამდგომლობაში იმით ასაბუთებდა, რომ ის უცხო სახელმწიფოს მოქალაქეა და მისი მუდმივი ადგილსამყოფელი ვერ დგინდება. ამ არგუმენტს მოსამართლე განჩინებაში ასეთ არგუმენტს უმატებს - ბრალდებული ფლობს დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ სახსრებს, რაც მას მიმალვის შესაძლებლობას აძლევსო.

წინამდებარე კვლევამ გამოამჟღავნა სხვაგვარი შემთხვევებიც, როდესაც პროკურორი თავის შუამდგომლობაში პირის დაკავების მოთხოვნისას, ან მოსამართლე თავის განჩინებაში პირის დაკავების მოთხოვნის დაკმაყოფილებისას, საერთოდ არავითარ დასაბუთებას არ აკეთებს, თუნდაც რაიმე ზოგადი მითითების სახითაც კი. მაგალითად, ერთ-ერთი პროკურორი თავის შუამდგომლობაში ითხოვდა რა პირის დაკავებას, შემოიფარგლა მხოლოდ საპროცესო კანონით გათვალისწინებული დაკავების სამი დამატებითი საფუძვლის დასახელებით ყოველგვარი დასაბუთებისა და არგუმენტის გარეშე. მოსამართლემ კი ეს შუამდგომლობა მაინც დააკმაყოფილა, განჩინებაში იგივე საფუძვლები მიუთითა პირის დასაკავებლად, მაგრამ მხოლოდ ერთადერთი არგუმენტით - ვინაიდან მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული, სასჯელის შიშით და პასუხისმგებლობისგან თავის არიდების მიზნით, ის მიიმალება და არ გამოცხადდება სასამართლოშიო, ამასთან, საამისოდ არავითარ ფაქტზე ან მტკიცებულებაზე არ იყო მითითებული. ამასთან დაკავშირებით ზოგადად

უნდა ითქვას, რომ, სამწუხაროდ, არც ისეთი იშვიათია შემთხვევა, როდესაც პროკურორიც თავის შუამდგომლობაში და მოსამართლეს თავის განჩინებაში პირის დაკავებისას, უთითებენ რა დაკავების საფუძვლების არსებობაზე, მისი დასაბუთებისას შემოიფარგლებიან მხოლოდ ერთადერთი არგუმენტით - ვინაიდან მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის კანონით თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული, სასჯელის შიშით ის მიიძალება და არ გამოცხადდება. არადა საპროცესო კანონით (მხედველობაშია საქართველოს სსსკ-ის 171-ე მუხლის პირველი ნაწილი) პირის დაკავება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუკი მის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელად თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული. ასეთი, ყოვლად გაუმართლებელი მიდგომით, სურვილის შემთხვევაში, ნებისმიერ საქმეზე ნებისმიერი ბრალდებული შეიძლება იქნეს დაკავებული სრულიად დამოუკიდებლად იმისგან - არსებობს თუ არა ბრალდებულის დაკავების საჭიროება ან აუცილებლობა ანდა, თუნდაც მინიმალური სტანდარტული საფუძველი მისი დაკავებისათვის.

აღმოჩნდა ისეთი შემთხვევაც, როდესაც პროკურორმა თავის შუამდგომლობაში, აღნიშნავდა რა დაკავების საფუძვლების არსებობაზე, პირის დაკავების მოთხოვნის დასაბუთებისას მიუთითა ზოგადად მხოლოდ ერთ არგუმენტზე - პირმა დანაშაული მის მიმართ უკვე გამოყენებული პირობითი მსჯავრის მოხდის პერიოდში ჩაიდინაო, ხოლო მოსამართლემ ისე დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა, რომ საერთოდ არავითარი დასაბუთებისა და არგუმენტისათვის არ მიუმართავს თავის განჩინებაში, მხოლოდ საპროცესო კანონში მითითებული დაკავების საფუძვლების დასახელებით შემოიფარგლა.

სასამართლოების პრაქტიკაში გვხვდება ზემოთ განხილულთაგან განსხვავებული სხვაგვარი შემთხვევები პროკურორის შუამდგომლობისა და მოსამართლის განჩინების საფუძვლიანობისა და დასაბუთებულობის თვალსაზრისით:

პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც პროკურორები თავიანთ შუამდგომლობებში პირის დაკავების მოთხოვნას აყენებენ საქართველოს სსსკ-ის 171-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ დაკავების სამ დამატებით საფუძველზე, კერძოდ, იმაზე მითითებით, რომ პირი მიიძალება და არ გამოცხადდება სასამართლოში; გაანადგურებს საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას; ჩაიდენს ახალ დანაშაულს, ხოლო ამათგან მოსამართლე იზიარებს და ეთანხმება მხოლოდ ერთ ან ორ საფუძველს და აკმაყოფილებს შუამდგომლობას, მაგრამ არც პროკურორი და არც მოსამართლე საერთოდ არ ასაბუთებს თავის მოთხოვნასა თუ გადაწყვეტილებას. ასეთი შემთხვევები საკმაოადაა. თუმცა ისეთი შემთხვევებიც მოიპოვება, როდესაც მოსამართლე ასეთ დაუსაბუთებელ შუამდგომლობას არ აკმაყოფილებს და ცდილობს, დაასაბუთოს გარკვეული არგუმენტებით თავისი გადაწყვეტილება, მაგრამ პროკურორის მიერ მითითებული დაკავების საფუძვლებიდან ყველას არ განიხილავს და მხოლოდ ერთ ან ორ მათგანზე მსჯელობით კმაყოფილდება. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე შეტანილ შუამდგომლობაში პროკურორმა ბრალდებულის დაკავების საფუძვლად მიუთითა: არსებობს დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ ბრალდებული მიიძალება და არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას და ჩაიდენს ახალ დანაშაულს, რასაც დაუმატა ზემოაღნიშნული საპროცესო ნორმით გაუთვალისწინებელი საფუძველი - ზეგავლენას მოახდენს მოწმეებზეო,

რომლებიც პროკურორს არაფრით არ დაუსაბუთებია. ამ შემთხვევაში მოსამართლემ, მართალია, არ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა, მაგრამ თავის განჩინებაში იმსჯელა მხოლოდ საპროცესო კანონით გათვალისწინებული და პროკურორის მიერ მითითებული პირის დაკავების პირველი ორი დამატებითი საფუძვლის არარსებობაზე. ამასთან, მოსამართლემ გააკეთა თავისი პოზიციის მოკლე დასაბუთება, კერძოდ, აღნიშნა - მას შემდეგ, რაც ბრალდებულები პირველად დაიკითხნენ, არ არსებობს და არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება იმისა, რომ განვლილ პერიოდში ისინი ცდილობდნენ მიმალვასა და გამოძიებისგან თავის არიდებას, რომლებსაც აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ანდა რომ მათ გაანადგურეს საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან ისინი ცდილობდნენ ამის გაკეთებას. გარდა ამისა, მოსამართლემ იმსჯელა აგრეთვე შუამდგომლობაში პროკურორის მიერ მითითებულ საპროცესო კანონით გათვალისწინებულ შემდეგ საფუძველზედაც - ბრალდებულები ზეგავლენას მოახდენენ მოწმეებზე და აღნიშნა - არ არსებობს იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ ბრალდებულები შეეცადნენ მოწმეებზე ზეგავლენის მოხდენას. მაგრამ მან არ მიუთითა პროკურორს იმის თაობაზე, რომ საპროცესო კანონი არ იცნობს ბრალდებულის დაკავების ამგვარ საფუძველს.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროკურორები თავიანთ შუამდგომლობებში ითხოვენ რა ბრალდებულის დაკავებას, საპროცესო კანონით გათვალისწინებულ მხოლოდ ერთ ან ორ საფუძველზე მითითებით შემოიფარგლებიან, თუმცა არაფრით არ ასაბუთებენ ამგვარი საფუძველების არსებობას, ხოლო მოსამართლეები კი მაინც ეთანხმებიან მათ და აკმაყოფილებენ შუამდგომლობას, ამასთან, თვითონ მოსამართლეებსაც არავითარი დასაბუთება არ გააჩნიათ, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, მოსამართლეები დასაბუთებისას შემოიფარგლებიან უალრესად ზოგადი ფრაზეოლოგიით, რაიმე კონკრეტულ გარემოებებზე ან მტკიცებულებებზე მითითების გარეშე. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები პირთა დაკავების სასამართლო პრაქტიკაში საკმაოდ მრავლადაა.

იშვიათ შემთხვევაში მოსამართლეები არ იზიარებენ პროკურორების მიერ დასახელებულ პირის დაკავების საფუძველებს და არ აკმაყოფილებენ შუამდგომლობებს. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევებში თვითონ მოსამართლეებიც არ გამოირჩევიან თავიანთი პოზიციის დასაბუთებულობით, რადგან, როგორც წესი, ისინი შემოიფარგლებიან მხოლოდ მოკლე დასაბუთებით, კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითებლად. ამავე დროს, ისიც უნდა ითქვას, რომ არსებობს ისეთი იშვიათი შემთხვევებიც, როდესაც მოსამართლე, მართალია, მოკლე, ზოგადი დასაბუთებით შემოიფარგლება პროკურორის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისას, მაგრამ, ვითარებიდან გამომდინარე, არც არსებობს საჭიროება ფართო მსჯელობისა. მაგალითად, ერთ ასეთ შემთხვევაში მოსამართლემ თავის განჩინებაში მიუთითა, რომ საქმეში არსებული მასალების მიხედვით, არამც თუ დასაბუთებულ ვარაუდზე, არამედ, საერთოდ, რაიმე ვარაუდზეც კი შეუძლებელია მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ბრალდებული შეიძლება მიიმალოს და არ გამოცხადდეს, მან შეიძლება გაანადგუროს საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან ჩაიდინოს ახალი დანაშაული. სხვა მსგავს შემთხვევებში მოსამართლეები უთითებენ იმაზე, რომ არ არსებობს ფაქტობრივი საფუძველი პირის დაკავებისათვის, ანუ მტკიცებულებები, რომლებითაც დადასტურდებოდა საპროცესო კანონით განსაზღვრული პირის დაკავების საფუძველების არსებობა.

განხილულ შემთხვევებთან ერთად არსებობს ზოგჯერ ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პროკურორები თავიანთ შუამდგომლობებში პირის დაკავების მოთხოვნისას უთითებენ საამისოდ საპროცესო კანონით გათვალისწინებულ ორ ან სამ დამატებით საფუძველზე, ხოლო მოსამართლეები თავიანთ განჩინებებში ყველა მათგანზე არ მსჯელობენ და კმაყოფილდებიან მხოლოდ ერთი ან ორი საფუძვლის მოკლე განხილვით, არსებითი დასაბუთების გარეშე ან, უკეთეს შემთხვევაში, მოკლე და არაადეკვატური დასაბუთებით. ასეთი მიდგომა მოსამართლეების მხრივ, უდავოა, რომ გაუმართლებელია, რადგან იქმნება საკითხის არასრული განხილვისა და განჩინების არალეგიტიმურობის ეჭვის საფუძველი, მიუხედავად იმისა, მოსამართლემ დააკმაყოფილა, თუ არ დააკმაყოფილა პროკურორის მოთხოვნა პირის დაკავების თაობაზე.

აქ განხილული შემთხვევების მსგავსია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პროკურორი თავის შუამდგომლობაში უთითებს პირის დასაკავებლად საპროცესო კანონით გათვალისწინებული ყველა დამატებითი საფუძვლის არსებობაზე, ხოლო მოსამართლე კი ეხება მათგან მხოლოდ ერთ ან ორ საფუძველს, დანარჩენს კი ყურადღებას არ აქცევს. მაგალითად, ერთ-ერთ განჩინებაში მოსამართლემ პროკურორის მიერ დასახელებული სამი დამატებითი საფუძველიდან იმსჯელა და უარყო მხოლოდ ორი მათგანი, ხოლო ის საკითხი - პირის მხრივ მოსალოდნელია თუ არა ახალი დანაშაულის ჩადენა, განუხილველი და გაურკვეველი დარჩა.

შემდგომ აღნიშნულისა, შეიძლება მსჯელობა ისეთ განსხვავებულ შემთხვევებზეც, როდესაც მოსამართლე პროკურორის შუამდგომლობასთან დაკავშირებით თავის განჩინებაში მსჯელობს პირის დაკავების ისეთი საფუძვლის არსებობაზე, რომლის შესახებ პროკურორს შუამდგომლობაში არ მიუთითებია და არც უმსჯელია. მაგალითად: ერთ-ერთ რაიონულ სასამართლოში შეტანილ შუამდგომლობაში პროკურორი ბრალდებულის დაკავების საფუძვლად უთითებდა, რომ ის შეიძლება მიიმალოს და არ გამოცხადდეს სასამართლოში, მან ასევე შეიძლება გაანადგუროს საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ამასთან, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. მოსამართლემ კი არა მარტო გაიზიარა აღნიშნული საფუძვლების არსებობა და დააკმაყოფილა შუამდგომლობა, არამედ ამ საფუძვლებს დაუმატა ასევე ისეთი საფუძველიც პირის დაკავებისა, რომელიც არ იყო მითითებული პროკურორის შუამდგომლობაში - ის ჩაიდენს ახალ დანაშაულსო. მსგავსად პროკურორსა, მოსამართლესაც არავითარი დასაბუთება არ წარმოუდგენია თავის განჩინებაში. სხვა საქმეზე მოსამართლემ პირის დასაკავებლად პროკურორის მიერ შუამდგომლობაში მითითებულ, ერთადერთ და დაუსაბუთებელ საფუძველს - ბრალდებულს მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი და ამიტომ ის გაანადგურებდა მტკიცებულებებს მოსალოდნელი სასჯელის შიშით, თავისი ინიციატივით დაუმატა კიდევ ერთი - საპროცესო კანონით გათვალისწინებული საფუძველი - ბრალდებული ჩაიდენს ახალ დანაშაულსო და, ერთი, საპროცესო კანონით გათვალისწინებული საფუძველი, რომ ბრალდებული გავლენას მოახდენდა მოწმეებზე, თუმცა ამ შემთხვევაშიც მოსამართლეს თავისი გადაწყვეტილება არ დაუსაბუთებია. იყო მსგავსი კატეგორიის ისეთი შემთხვევაც, როდესაც მოსამართლე მოკლე, ზოგად დასაბუთებას უკეთებს თავისი ინიციატივით დამატებული დაკავების საფუძველს, რაც პროკურორის შუამდგომლობაში მითითებული არ ჰქონდა. მოსამართლის მხრიდან ამგვარი გადაჭარბება გვხვდება არა მხოლოდ იმ განჩინებაში, რომლითაც დაკ-

მაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა, არამედ მაშინაც, როდესაც მოსამართლემ პროკურორის მოთხოვნა პირის დაკავებაზე არ დააკმაყოფილა. მაგალითად, პროკურორის მიერ შუამდგომლობაში მითითებული დაკავების ერთადერთი საფუძველი - ბრალდებული მიიმალება და თავს აარიდებს სასამართლოში გამოცხადებას, მოსამართლემ, მართალია, არ გაიზიარა, მაგრამ ამ საფუძველს დაუმატა შემდეგი: არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ მტკიცებულებებს გაანადგურებსო, თუმცა პროკურორს ეს საკითხი არ დაუყენებია შუამდგომლობაში.

ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ შემთხვევებსაც, რომელთა დროს პროკურორი, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, შუამდგომლობაში უთითებს პირის დაკავებისათვის საპროცესო ნორმით (საქართველოს სსსკ-ის 171-ე მუხლის პირველი ნაწილი) გათვალისწინებული დაკავების სამ დამატებით საფუძველზე ისე, რომ საერთოდ არ მსჯელობს, არსებობს თუ არა იმავე ნორმით გათვალისწინებული, პირის დაკავების ძირითადი საფუძველი - დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ პირს ჩადენილი აქვს ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც სასჯელად თავისუფლების აღკვეთა არის გათვალისწინებული და მოსამართლემ აკმაყოფილებს რა პროკურორის თხოვნას, თითქმის უცვლელად გადააქვს პროკურორის მიერ შუამდგომლობაში დასაბუთების გარეშე გაკეთებული ჩამონათვალი პირის დაკავების საფუძველიანობისა, ამასთან, თვითონაც ამატებს ისე, რომ არაფერს ასაბუთებს. ასეთი შინაარსობრივი იდენტურობა პროკურორის შუამდგომლობისა და მოსამართლის განჩინებისა, სამწუხაროდ, არაერთია. უფრო მეტიც, გვხვდება რიგი საქმეებისა ამა თუ იმ სასამართლოში, რომლებთან დაკავშირებით ტექსტობრივად იდენტური და დაუსაბუთებელი შუამდგომლობები პირის დაკავების მოთხოვნით, შეტანილი აქვს ერთი და იგივე პროკურორს, რომლებიც ასევე განხილული და დაკმაყოფილებული აქვს ერთი და იგივე მოსამართლეს თავისი განჩინებით, რომლის სამოტივაციო ნაწილში თითქმის იდენტურად აქვს გადატანილი შუამდგომლობის ტექსტობრივი ამონარიდები მათი შეფასების გარეშე. ასეთი ფაქტები არცთუ უსაფუძვლო ეჭვს აჩენს იმის თაობაზე, რომ ზოგიერთ რაიონსა თუ ქალაქში მოქმედებს ერთმანეთთან შეწყობილი და შეთანხმებული პროკურორისა და მოსამართლის ტანდემი, რომლებიც ისე აკავებენ პირებს, თავსაც კი არ იწუხებენ საიმისოდ, რათა მათი შუამდგომლობა და განჩინება გარეგნული ფორმით მაინც აკმაყოფილებდეს სათანადო მოთხოვნებს.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, უნდა შევეხოთ კიდევ ერთ პრობლემურ საკითხს, რომელიც თავს იჩენს პირის ან ბრალდებულის დაკავებასთან დაკავშირებით არსებულ სასამართლო პრაქტიკაში. საქმე ისაა, რომ უმრავლეს შემთხვევაში არც პროკურორები და არც მოსამართლეები, რატომღაც, თავს ვალდებულად არ თვლიან, თავის შუამდგომლობასა თუ განჩინებაში იმსჯელონ იმის თაობაზე - არსებობს თუ არა პირის დასაკავებლად ზემოხსენებული საპროცესო ნორმით გათვალისწინებული ძირითადი, აუცილებელი საფუძველი, დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ პირს ჩადენილი აქვს ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კანონით, სასჯელად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა. ზოგიერთი მოსამართლე თავის განჩინებაში ამ საკითხის ნაცვლად მსჯელობს იმაზე, რომ საქმეში მოიპოვება ფორმალური და ფაქტობრივი საფუძველი, რომელიც საშუალებას იძლევა პირის დაკავებისათვის, რაც სრულიად არასაკმარისია, რადგან ასეთი ზოგადი ფრაზა ვერ შეცვლის საპროცესო კანონით გათვალისწინებულ სავალდებულო საფუძველს და

ლეგიტიმურ საფუძველს ვერ შექმნის პირის დაკავებისათვის. მხოლოდ ძალზე იშვიათ შემთხვევაში მსჯელობენ პროკურორები აღნიშნულ საფუძველზე თავიანთ შუამდგომლობებში, ასევე მოსამართლეები განჩინებებში. ცალკეულ შემთხვევაში, ესა თუ ის მოსამართლე უარს ამბობს რა პროკურორის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, თავდაპირველად მსჯელობს: რომ საქმეში არ მოიპოვება საფუძველი დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ პირმა შესაძლოა ჩაიდინა ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც სასჯელად თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული ან საერთოდ რაიმე დანაშაული, ხოლო ამის შემდეგ მსჯელობს შემდეგზე: არ არსებობს საფუძველი დასაბუთებული ვარაუდისთვის - პირი მიიძალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს, რაც სრულიად ზემდეტი და არასაჭიროა, რადგან, თუკი არ დასტურდება სავარაუდოდ მაინც პირის მიერ დანაშაულის ჩადენა, მაშინ დაკავების სხვა დამატებითი საფუძველების არსებობა-არარსებობაზე მსჯელობა მთლიანად აზრს კარგავს. მხოლოდ გამონაკლისის სახით გვხვდება ისეთი შემთხვევა, როდესაც მოსამართლე მას შემდეგ, რაც აღნიშნავს, რომ არ არსებობს პირის დაკავებისათვის ისეთი აუცილებელი საფუძველი, როგორცაა დასაბუთებული ვარაუდი პირის მიერ ისეთი დანაშაულის ჩადენის შესახებ, რომლისთვისაც კანონით სასჯელად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, განჩინებაში მიუთითებს პირის დაკავების სხვა საფუძველის თაობაზე მსჯელობის შუამდგომლობაზე, რაც სწორია. მაგალითად, ერთ-ერთ რაიონულ სასამართლოში პროკურორმა შეიტანა შუამდგომლობა, რომელშიც ის უთითებდა მხოლოდ პირის დაკავების შემდეგ სამ დამატებით საფუძველს - არსებობს დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ პირი მიიძალება და არ გამოცხადდება სასამართლოში; გაანადგურებს საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას; ჩაიდენს ახალ დანაშაულს. მოსამართლემ, არ დააკმაყოფილა რა პროკურორის მოთხოვნა, თავისი განჩინების სამოტივაციო ნაწილი ასე დაასაბუთა: არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ პირმა ჩაიდინა ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც კანონით სასჯელად თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული, რადგან საქმის მასალებში არ არსებობს შეტყობინება ან პატაკი დანაშაულის ჩადენის შესახებ; საქმეში არ დევს ბარათი გამოძიების დაწყების შესახებ; საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებენ პირის მიერ დანაშაულის ჩადენაზე. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საერთოდ შეუძლებელია მსჯელობა პროკურორის მიერ შუამდგომლობაში მითითებულ პირის დაკავების საფუძველებზე. მოსამართლის ასეთი დასკვნა, მოცემულ შემთხვევაში, ლოგიკური და კანონიერი, მაგრამ დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ ამგვარი სწორი პრაქტიკა სასამართლოების საქმიანობაში, რბილად რომ ვთქვათ, ერთობ მწირადაა წარმოდგენილი.

სასამართლოს განჩინების გარეშე ბრალდებულის დაკავებასთან დაკავშირებული საკითხების ზოგადი მიმოხილვა

სასამართლოს განჩინების გარეშე ბრალდებულის დაკავებასთან დაკავშირებული საკითხები წინამდებარე კვლევის ავტორების მიერ განხილულია თბილისის სააპელაციო სასამართლოსა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების საგამოძიებო კოლეგიების მოსამართლეთა მიერ, მეორე ინსტანცი-

ის წესით, სასამართლო განჩინების სახით მიღებული გადაწყვეტილებების შესწავლის საფუძველზე. ერთი მხრივ, ყურადღება გამახვილდა იმაზე, თუ რა სამართლებრივ საფუძვლებსა და სავალდებულო კრიტერიუმებს ადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სასამართლოს განჩინების გარეშე ბრალდებულის დაკავების კანონიერების თვალსაზრისით. მეორე მხრივ კი, კვლევისას ძირითადი აქცენტი გადატანილ იქნა შემდეგი საკითხების გამორკვევასა და დადგენაზე: პირველ ინსტანციასა და სააპელაციო ინსტანციაში ბრალდებულის მიმართ აღიკვეთოს ღონისძიების შერჩევისას და ამ უკანასკნელთან დაკავშირებით შეტანილი საჩივრების გადაწყვეტისას, მოსამართლეები რამდენად აქცევენ ყურადღებას და ამოწმებენ - უფლებამოსილი სამართალდამცავი ორგანოების მიერ ბრალდებულის სასამართლოს განჩინების გარეშე დაკავებისას სრულად იყო თუ არა დაცული საპროცესო კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ამრიგად, პირველ რიგში, განხილული უნდა იქნეს საპროცესო კანონით განსაზღვრული და დადგენილი ის საფუძვლები და პირობები, რომელთა არსებობა აუცილებელია სასამართლოს განჩინების გარეშე ბრალდებულის სახით პირის დასაკავებლად. ყოველივე ეს, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა (იხ. ამ ნაშრომის პირველი თავი), წარმოდგენილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებში. ამ მუხლის მეორე ნაწილი ადგენს ბრალდებულის დაკავების ალტერნატიულ საფუძვლებს, რომელთაგან ერთ-ერთი მათგანი მაინც უნდა არსებობდეს, რათა პირი დაკავებულ იქნეს.

დასახელებული საფუძვლებიდან, მათი გამოყენების დასაბუთების თვალსაზრისით, შედარებით პრობლემურია ის, რომელიც უთითებს იმაზე, რომ პირი შეიძლება მიიმალოს (იხ. საქართველოს სსსკ-ის 171-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი). განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც დევნის განმხორციელებელ ორგანოს საამისოდ არ გააჩნია საკმარისი და დამაჯერებელი მტკიცებულებები. მსგავს შემთხვევაში, აღნიშნული პრობლემისგან თავის დასაღწევად, მდევნელი ორგანოების წარმომადგენლები, როგორც წესი, ცდილობენ ბრალდებულის დაკავების აუცილებლობა დაასაბუთონ მოსალოდნელი სასჯელის შესაძლო შიშით, რის გამოც, ბრალდებულის შეიძლება მიიმალოს. თუმცა კი მრავალ შემთხვევაში ასეთი დასაბუთება ფრიად არარელევანტურია ხოლმე დასაკავებელი ბრალდებულის პიროვნებიდან და საქმეზე რეალურად არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე. ყველაზე ნაკლებად პრობლემურია დასაბუთებლად ბრალდებულის დაკავების აუცილებლობა მაშინ, როდესაც ის ძებნილია. მაგრამ ყველა ასეთ შემთხვევაში დაკავებული ბრალდებულის მიმართ შესაბამისი სასამართლოს მიერ, ჯერ კიდევ მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების სტადიაზე, გამოტანილია განჩინება აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე.

ამავე დროს, ბრალდებულის სახით, სასამართლოს განჩინების გარეშე, პირის დაკავებისათვის, მხოლოდ ზემოაღნიშნული რომელიმე საფუძვლის არსებობა საკმარისი არ არის, არამედ ასეთ საფუძველთან ერთად აუცილებელია, აგრეთვე საპროცესო კანონით გათვალისწინებული სხვა პირობებიც, რომლებიც წარმოდგენილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის მესამე ნაწილში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლისა და აღნიშნულ საკითხებზე მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების როლი ძალზე მნიშვნელოვანია. საქმე ის არის, რომ მოსამართლის მიერ თავისი ფუნქციის არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შესაძლოა ადამიანი საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, კერძოდ, საქმეზე წინასასამართლო სხდომის გამართვამდე, სადაც სხვა საკითხებთან ერთად განიხილება ასევე ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებების გაუქმების ან შეცვლის საკითხი, აღმოჩნდეს უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილი, რაც გამოწვეული იყო მისი დაკავებისას დაშვებული იმ დარღვევებით, რომლებიც პროკურორმა და პირველი ინსტანციის მოსამართლემ სათანადო რეაგირების გარეშე დატოვეს. წინამდებარე კვლევის ავტორმა სწორედ ამიტომ გადაიტანა ყურადღების აქცენტი სააპელაციო სასამართლოების საგამოძიებო კოლეგიების მოსამართლეთა მიერ აღკვეთის ღონისძიების საკითხზე შტანილი საჩივრების თაობაზე განჩინების სახით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზზე, რადგან ამ გადაწყვეტილებებში შჯამებული სახით წარმოგვიდგება ის სურათი, რომელიც რეალურად ასახავს სასამართლოს განჩინების გარეშე პირთა დაკავებასთან დაკავშირებით არსებულ მდგომარეობას კანონიერების დაცვისა და ბრალდებულთა უფლებების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

სასამართლოს განჩინების გარეშე ბრალდებულის დაკავების კანონიერების სასამართლოში გადამოწმების პრაქტიკის ანალიზი

სასამართლოს განჩინების გარეშე ბრალდებულის დაკავების კანონიერების სასამართლოში გადამოწმების თაობაზე არსებული პრაქტიკის გასაცნობად, წინამდებარე კვლევის განხორციელების პროცესში, შესწავლილ იქნა თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების საგამოძიებო კოლეგიების მოსამართლეთა მიერ, ბრალდებისა და დაცვის მხარეების წარმომადგენლებისაგან შეტანილი საჩივრების განხილვის საფუძველზე, განჩინების სახით მიღებული ათეულობით სასამართლო გადაწყვეტილება, რომლებიც ეხება ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეთა გადაწყვეტილებების კანონიერებასა და საფუძვლიანობას. ამთავითვე შეიძლება აღინიშნოს, რომ ამ მიმართებით კვლევის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი ტენდენციები:

- როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოების საგამოძიებო კოლეგიების მოსამართლეები ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხზე შეტანილი შუამდგომლობებისა და საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტისას, უმრავლეს შემთხვევებში, საერთოდ არ ეხებიან და თავიანთ განჩინებებში არ მსჯელობენ იმ საკითხზე, რომ იყო თუ არა დაცული კანონიერება ბრალდებულის დაკავების დროს. უფრო მეტიც, მათ შორის არსებობს ისეთი შემთხვევების დიდი ნაწილი, რომლის დროსაც მოსამართლე განჩინების აღწერილობით ნაწილში იმასაც კი არ აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის განხილვამდე იყო თუ არა იგი დაკავებული და როდის დააკავეს.

- არის გარკვეული ნაწილი შემთხვევებისა, როდესაც ხსენებული მოსამართლეები მათ მიერ აღკვეთის ღონისძიების საკითხზე გამოტანილ განჩინებებში მხოლოდ ზოგადად, თანაც მოკლე ჩანაწერით, ეხებიან რა ბრალდებულის დაკავების კანონიერების საკითხს, აღნიშნავენ, რომ მსგავსი დარღვევები არ ყოფილა დაშვებული. მოვიტანთ ერთ ტიპურ მაგალითს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის მიერ გამოტანილი ერთ-ერთი განჩინებიდან: „წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ გ.ბ-ს (ინიციალები პირობითია - ავტ.) დაკავების, მისთვის ბრალდების წარდგენის, აგრეთვე, მტკიცებულებათა მოპოვებისა და სხვა საპროცესო მოქმედებათა განხორციელების დროს არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევებს, რაც გამოიწვევდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმას, ადგილი არ ჰქონია.“
- მცირე რიცხვი ისეთი შემთხვევებისა, როდესაც მოსამართლე თავის განჩინებაში, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხთან ერთად, საკმაოდ ვრცლად და დასაბუთებლად მსჯელობს ასევე ბრალდებულის დაკავებისას შესაბამისი საპროცესო ნორმებით გათვალისწინებული წესებისა და მისი უფლებების დარღვევის თაობაზე.

ამ სამი ფრიად განსხვავებული ტენდენციის არსებობა აშკარად იმაზე მიუთითებს, რომ სასამართლოს განჩინების გარეშე ბრალდებულის დაკავების კანონიერების შემოწმების მიმართულებით საქართველოში დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა ერთობ არაერთგვაროვანია, რაც უეჭველია, ნეგატიურად აისახება სისხლის სამართლის პროცესში ადამიანის უფლებებისა თუ თავისუფლების დაცვის ერთ-ერთ, მაგრამ ამასთან ძალზე მნიშვნელოვან სეგმენტზე.

როდესაც ვსაუბრობთ იმის შესახებ, რომ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის თაობაზე გამოტანილ განჩინებებში მოსამართლეები, უმეტესად, საჭიროდ არ თვლიან, იმსჯელონ ბრალდებულის დაკავების კანონიერების საკითხის ირგვლივ, ბუნებრივად ჩნდება შემდეგი კითხვა: აღნიშნული საკითხისადმი მოსამართლეების ასეთი დამოკიდებულებით, ირღვევა თუ არა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები პირდაპირ ან არაპირდაპირ? ამ კითხვის პასუხი ასეთია: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ნორმებში, რომლებშიც განსაზღვრულია ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხზე პროკურორის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში შეტანილი შუამდგომლობის, ასევე, იმავე საკითხზე მხარის მიერ სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში შეტანილი საჩივრის განხილვის წესები და ამ საკითხზე მოსამართლის მიერ გამოტანილი განჩინების შინაარსის შემადგენელი ელემენტები, არ არსებობს პირდაპირი მითითება იმის თაობაზე, რომ მოსამართლემ აუცილებლად უნდა იმსჯელოს საკუთრივ ბრალდებულის დაკავების კანონიერებაზეც და ეს უკანასკნელი შესაბამისად უნდა აისახოს განჩინებაში სათანადო დასაბუთებით (მხედველობაშია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 197-ე, 206-ე და 207-ე მუხლებში მოცემული ნორმები). მიუხედავად ამისა, იმავე საპროცესო ნორმებში არსებობს ისეთი მითითებები, რომლებიც არაპირდაპირ, თუმცა აუცილებლობით გულისხმობს მოსამართლეთა ვალდებულებას პირველი ინსტანციის სასამართლოში ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე პროკურორის მიერ შეტანილი შუამდგომლობის განხილვისას, სხვა

საკითხებთან ერთად, გამოარკვიოს ისიც, ჰქონდა თუ არა ადგილი კანონიერების დარღვევას სასამართლოს განჩინების გარეშე ბრალდებულის დაკავებისას. ამაზე არაორაზროვნად მეტყველებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შინაარსი, რომლის მიხედვით, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე „ბრალდებულისგან არკვევს, აქვს თუ არა რაიმე საჩივარი ან შუამდგომლობა მისი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით“.

უდავოა, რომ მოსამართლე ამას აკეთებს თავისი ინიციატივით, დაცვის მხრიდან შესაბამისი მოთხოვნის არარსებობის დროსაც კი. ბრალდებულის უფლებების შესაძლო დარღვევებში უწინარესად სწორედ მისი დაკავებისას დაშვებული დარღვევები იგულისხმება როგორც ყველაზე მძიმე დარღვევა, რასაც კი შეიძლება ადგილი ჰქონდეს გამოძიების საწყის ეტაპზე. აქედან გამომდინარე, როდესაც სასამართლო სხდომაზე განხილულია ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი, ეს, თავისთავად, აუცილებლობით გულისხმობს იმას, რომ ამ განხილვის შედეგები ჯეროვანი დასაბუთებით უნდა აისახოს განჩინებაშიც. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა მოსამართლის მიერ დაშვებულ მნიშვნელოვან საპროცესო დარღვევად უნდა ჩაითვალოს. აღნიშნული მოთხოვნის შესრულების ვალდებულება თანაბრად აკისრია სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლესაც, რაც გამომდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან, რომლის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების თაობაზე მხარის მიერ შეტანილი საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას საგამოძიებო კოლეგიის მოსამართემ უნდა გაარკვიოს, პირველი ინსტანციის მოსამართლემ პროკურორის შუამდგომლობის განხილვისა და გადაწყვეტისას გამოიკვლია თუ არა ჯეროვნად ყველა ის გარემოება, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა პირისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე. გასაგებია, რომ ასევე საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლეს მოვალეა, საჩივრის არსებითი განხილვისას ყურადღება გაამახვილოს აღნიშნულ საკითხებზე, იმსჯელოს მათ შესახებ და შედეგები საბოლოოდ ასახოს კიდევ მის მიერ გამოტანილ განჩინებაში.

ამრიგად, მიგვაჩნია - ის გარემოება, რომ საპროცესო კოდექსის შესაბამის მუხლებში ჯერჯერობით არ მოიპოვება პირდაპირი მითითებები ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხთან დაკავშირებით გამოტანილ განჩინებებში (როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, ისე სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში) ბრალდებულის დაკავების კანონიერების თაობაზე მსჯელობის ვალდებულებაზე, არ ათავისუფლებს მოსამართლეს ასეთი მოვალეობისგან, რადგან აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს იმავე მუხლების ნორმატიული შინაარსიდან.

გარდა განხილული შემთხვევებისა, სასამართლოს განჩინების გარეშე ბრალდებულების დაკავებასთან დაკავშირებით არსებულ სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება სხვა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მოსამართლეები სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მხარის მიერ შეტანილი საჩივრის განხილვისას მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებაში (განჩინებაში), მართალია, მსჯელობენ ბრალდებულის დაკავების კანონიერების საკითხზე, მაგრამ ძალზე მოკლედ, მხოლოდ ერთი ფრაზით. ასეთ მოკლე ჩანაწერში მოცემულია მხოლოდ ზოგადი მითითება

კონსტიტუციური საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შინაარსი

განხილული. ამავე დროს თვალში საცემია ის გარემოებაც, რომ მსგავს შემთხვევებში დაცვის მხარის წარმომადგენლები თითქმის არ აყენებენ დაკავების კანონიერების საკითხს, გარდა ძალზე იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა.

აქ მოხსენიებულთაგან, პირველ რიგში, შევხებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლემ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე პროკურორის მიერ შეტანილი შუამდგომლობის განხილვისას თავისი ინიციატივით იმსჯელა, სასამართლოს განჩინების გარეშე ბრალდებულის დაკავების კანონიერებაზე, რის შემდეგაც იგი გაათავისუფლა დაკავებიდან იმ მოტივით, რომ, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, არ არსებობდა ბრალდებულის დაკავების აუცილებლობა. ამავე დროს, მოსამართლემ უარი თქვა აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენებაზე და ბრალდებულს ასეთ ღონისძიებად შეუფარდა გირაო. პროკურორმა გაასაჩივრა მოსამართლის ასეთი გადაწყვეტილება და საჩივრით მოითხოვა პატიმრობის გამოყენება, რაც სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლემ დააკმაყოფილა, თუმცა თავის განჩინებაში საერთოდ არ იმსჯელა პირველი ინსტანციის მოსამართლის მიერ ბრალდებულის დაკავებიდან გაათავისუფლების შესახებ და მისი დაკავების კანონიერების საკითხზე, რაც ამ სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელოვან ხარვეზად უნდა იქნეს მიჩნეული.

ამგვარი სასამართლო გადაწყვეტილებების გარდა არსებობს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლეთა ისეთი გადაწყვეტილებებიც, რომლებშიც ისინი საკმაოდ ვრცლად განიხილავენ ბრალდებულის დაკავების კანონიერების საკითხს. ამასთან, იმავე განჩინებაში ისინი მსჯელობენ პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის მიერ ბრალდებულის დაკავებიდან გაათავისუფლების საფუძვლიანობას და მხარს უჭერენ ასეთ გადაწყვეტილებას სათანადო დასაბუთებით. ასეთი პრაქტიკა პოზიტიურია, რადგან ამ სახით ჩამოყალიბებული განჩინება მის წამკითხველს ჯეროვან წარმოდგენას უქმნის იმის თაობაზე, როგორ მიმდინარეობდა განჩინების გარეშე ბრალდებულის დაკავების კანონიერების საკითხის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში და სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის მიერ. მაგრამ ყოველთვის ასე არ არის, რადგან გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე თავისი განჩინებით ფაქტობრივად არ პასუხობს მხარის საჩივარს, რომელიც ეხება ბრალდებულის დაკავების საკითხზე პირველი ინსტანციის მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას. მაგალითისთვის პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლემ ბრალდებული გაათავისუფლა დაკავებიდან, ამავე დროს მის მიმართ აღკვეთის არც ერთი ღონისძიება არ გამოიყენა. მოსამართლემ არ გაიზიარა ბრალდების მხარის მოტივები, რომლებიც საფუძვლად დაედო სასამართლოს განჩინების გარეშე ბრალდებულის დაკავებას, ხოლო შემდგომ კი პროკურორის შუამდგომლობას, რომლითაც ის სასამართლოს სთხოვდა აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენებას. საამისოდ პროკურორი აყენებდა ორ ძირითად არგუმენტს: ბრალდებული გავლენას მოახდენს მოწმეებზე და ის შეიძლება მიიძალოს სასჯელის შიშით. საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლემ თავის განჩინებაში, მართალია, ვრცლად და ამომწურავად იმსჯელა იმის თაობაზე, თუ რატომ არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა, მაგრამ, რაც შეეხება ბრალდებულის დაკავების ნაწილს, აქ იგი შემოიფარგლა მხოლოდ მოკლე მითითებით ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, რომ ამ საკითხში ეთანხმება პირველი ინსტანციის

სასამართლოს, რითაც უპასუხოდ დატოვა პროკურორის საჩივარი ამ მიმართებით. საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე დაკავების საკითხის ნაწილში დაკამათებულა მითითებით - ეხილათ სასამართლოს განჩინება, რაც საკმარისად ვერ იქნება მიჩნეული მომჩივანისთვის (ამ შემთხვევაში ბრალდების მხარის) და სავსებით სამართლიანად, რადგან მოსამართლე მოვალეა, დასაბუთებული პასუხი გასცეს საჩივარში დასმულ ყველა ძირითად საკითხს. იყო ისეთი შემთხვევაც, როდესაც მოსამართლე თავის განჩინებაში, მართალია, შეეხო ბრალდებულის დაკავების კანონიერების საკითხს, მაგრამ მხოლოდ მის ფორმალურ მხარეს, კერძოდ, აღინიშნა: ბრალდებულის დაკავების შემდეგ შედგენილ იქნა დაკავების ოქმი, რომლის ასლი ჩაბარდა დაკავებულს; მას დაკავების ოქმითვე განემარტა მისი საპროცესო უფლებები; დაკავება განახორციელა უფლებამოსილმა პირმა; დაკავებული კანონით დადგენილ ვადაში ცნობილ იქნა ბრალდებულად; ასევე, იგი კონსტიტუციითა და სარპოროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში წარედგინა უფლებამოსილ სასამართლოს. თითქოს ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ მოსამართლე არ მსჯელობს საქართველოს სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული რომელი კონკრეტული საფუძველი და აუცილებელი წინაპირობა არსებობდა მისი დაკავებისათვის, რის გარეშეც აღნიშნული სასამართლო დოკუმენტი არ შეიძლება მიჩნეული იქნეს დასაბუთებულად, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როდესაც მხარე პირდაპირ აყენებს საკითხს დაკავების კანონიერების შემოწმებაზე.

ცალკე უნდა აღინიშნოს შემთხვევა, რომელიც ეხება არასრულწლოვან ბრალდებულს (დაკავების დღეს შეუსრულდა 16 წელი, 10 თვე და 22 დღე). იგი დაკავებული იქნა სასამართლოს განჩინების გარეშე, რის შემდეგაც იგი წარედგინა სასამართლოს ბრალდებულის რანგში, რომელსაც ბრალად ედებოდა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება. პროკურორი შუამდგომლობით, აღკვეთის ღონისძიების სახით, ითხოვდა პატიმრობას. როგორც სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის მიერ გამოტანილი განჩინების შინაარსიდან ირკვევა, პირველი ინსტანციის სასამართლომ არასრულწლოვანი ბრალდებული გაათავისუფლა დაკავებიდან, ამასთან, მის მიმართ საერთოდ არ გამოიყენა აღკვეთის ღონისძიება. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ არ არსებობდა ბრალდებულის სასამართლოს განჩინების გარეშე დაკავების აუცილებლობა, რითაც დაირღვა დაკავების წესი, მაგრამ სასამართლოს არ მიუთითებია - კონკრეტულად რომელი წესი დაირღვა. როგორც ჩანს, მოსამართლე გამომდინარეობდა შემდეგი გარემოებებიდან: არასრულწლოვანმა ბრალდებულმა ქმედება ჩაიდინა 2014 წლის 17 აგვისტოს, ხოლო ის დააკავეს 10 დღის შემდეგ - 27 აგვისტოს. ამ დროის განმავლობაში მას არ უცდია მიმალვა, ამასთან, ის გამოძახებისთანავე გამოცხადდა საგამოძიებო ორგანოში და მისცა ჩვენება. მიუხედავად ამისა, პროკურორი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში შეტანილი საჩივრით მაინც ითხოვდა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენებას. საჩივრის ადრესატმა მოსამართლემ თავის განჩინებაში ვრცლად და დასაბუთებულად იმსჯელა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის თაობაზე, რა დროსაც მის მიერ მოხმობილი იყო როგორც ეროვნული კანონმდებლობის სპეციალური, ისე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, რომლებიც არასრულწლოვან ბრალდებულთან უფლებებისა და ინტერესების დაცვის სფეროში მოქმედებენ. ამ დასაბუთების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლემ მიიჩნია, რომ არსებობ-

და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის საჭირო მინიმალური სტანდარტი, კერძოდ, ბრალდებულის მშობლის მეთვალყურეობაში გადასაცემად, მაგრამ არა დაპატიმრებისათვის. მაგრამ არ შეიძლება ყურადღების გარეშე დარჩეს ის გარემოებები, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლემ თავის განჩინებაში საერთოდ არ იმსჯელა იმ საკითხზე, კანონიერი იყო თუ არა არასრულწლოვანი ბრალდებულის დაკავება იმ პირობებში, რაც რეალურად არსებობდა, ასევე, თვით ბრალდებულის პიროვნებიდან გამომდინარე. მოსამართლისგან ამ საკითხზე ჯეროვან რეაგირებას ითხოვდა ჩვენ მიერ ზემოთ მოხმობილ საპროცესო ნორმებში განსაზღვრული დებულებები, რაც არ იქნა შესრულებული.

ბოლოს უნდა შევეხოთ იმ შემთხვევებს, როდესაც სააპელაციო სასამართლოების საგამოძიებო კოლეგიების მოსამართლეები აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხზე შეტანილი საჩივრების განხილვისას საგანგებოდ, ვრცლად და დასაბუთებულად მსჯელობენ სასამართლოს განჩინების გარეშე ბრალდებულის დაკავების კანონიერების საკითხზე. თვალში გვხვდება ის გარემოება, რომ ასეთ ფართო და დასაბუთებულ მსჯელობებს მოსამართლეები მხოლოდ მაშინ მიმართავენ, როდესაც ისინი ხედავენ აშკარა დარღვევებს, რასაც ადგილი ჰქონდა ბრალდებულის დაკავებისას. სხვა შემთხვევებში კი იგივე მოსამართლეები ან საერთოდ არ იხსენებენ თავიანთ განჩინებაში ბრალდებულის დაკავების კანონიერების საკითხს ანდა მას იხსენებენ ძალზე მოკლედ - ერთ-ფრაზიანი დასკვნის სახით, რაიმე დასაბუთების გარეშე, რაც საპროცესო კანონმდებლობათა მოთხოვნის უგულვებელყოფად უნდა იქნეს მიჩნეული.

აღნიშნული შემთხვევებიდან შეიძლება განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი იმ თვალსაზრისით, თუ რა მხრივ მიიჩნევენ მოსამართლეები, რომ ბრალდებულის დაკავებისას დაირღვა კანონი, მაგალითად, ერთ შემთხვევაში მოსამართლე უთითებს წმინდა ფორმალურ დარღვევებზე, რაც დაშვებული იყო დაკავების ოქმის შედგენისას, დაკავებულისათვის უფლებების განმარტებისას და ა.შ. სხვა მოსამართლე საქმის არსებით მხარეს აქცევს ყურადღებას, კერძოდ, უთითებს იმაზე, რომ პირის დასაკავებლად არ არსებობდა საქართველოს სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით განსაზღვრული დაკავების საფუძველი და პირობა. ამავე დროს, ერთ შემთხვევაში საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლემ გააუქმა გირაოს უზრუნველსაყოფად გამოყენებული პატიმრობა, სხვა შემთხვევაში კი ბრალდებული გათავისუფლდა აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობიდან. შეიძლება აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამგვარი განსხვავებისა, ხსენებული სასამართლო გადაწყვეტილებები მთლიანად აკმაყოფილებენ სასამართლოს განჩინების გარეშე ბრალდებულის დაკავების კანონიერების შესამოწმებლად მოცემული საკითხის სასამართლო განხილვის იმ კრიტერიუმებს, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციისა და მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისი ნორმებით.

ასეთია მთლიანობაში ის სურათი, რომელიც წინამდებარე კვლევის შედეგად გამოიკვეთა სასამართლოს განჩინებებითა და ასეთი განჩინებების გარეშე ბრალდებულის დაკავების კანონიერების შესამოწმებლად საქართველოში დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

თავი V.

საქართველოში პირის დაკავებისას არსებული სტანდარტებისა და პრაქტიკის კვლევა - თვისაბრივი მონაცემების ანალიზი

წარმოდგენილი თვისებრივი კვლევის მიზანია საქართველოში პირის დაკავებისას არსებული სტანდარტებისა და პრაქტიკის შეფასება, საკანონმდებლო და/ან მის აღსრულებასთან დაკავშირებული ხარვეზების გამოვლენა და დაკავებისას არსებული სტანდარტებისა და პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება.

დაკავება მოსამართლის განჩინებით

მოსამართლეთა განჩინებით პირის დაკავებასთან მიმართებაში ძირითადად ორი პრობლემა იკვეთება. კანონში აღნიშნული დაკავების სამი საფუძვლის სუბიექტური ინტერპრეტაცია პროცესში მონაწილე სუბიექტების მიერ და პროკურორების შუამდგომლობაში ამ სამი საფუძვლის ფორმალური მითითება დასაბუთებული ვარაუდის გარეშე. ინტერვიუს ფარგლებში ერთ-ერთი პროკურორი დაკავების სხვადასხვა საფუძვლის შემდეგ ინტერპრეტაციას გვთავაზობს: პირის მიერ მოწმის სახით დაბარების შემთხვევაში არგამოცხადება შესაძლებელია ჩაითვალოს მიმალვის საფრთხედ; მოწმე(ებ)ზე ზეგავლენის მოხდენა/მათზე განხორციელებული ზეწოლის სხვადასხვა ფორმის განხორციელება შეიძლება ჩაითვალოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურებად; ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე ყველაზე ხშირად ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებულ დანაშაულებებთან ფიგურირებს დასაბუთებაში, როდესაც პირს პირობითი სასჯელის ვადა არ გასვლია და ფიქსირდება მის მიერ ხელმეორედ დანაშაულის ჩადენა. პროკურორები მიუთითებენ, რომ ყველაზე რთული დასაბუთებელი არის მიმალვის საფრთხე, რომელიც უნდა მტკიცდებოდეს შესყიდული ბილეთებით, ქვეყნის საზღვრის გადაკვეთის მცდელობით და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ პროკურორები ინტერვიუებში დაკავების საფუძვლების ინტერპრეტაციას კანონთან შესაბამისობაში ახორციელებენ, ადვოკატები მუდმივად უთითებენ, რომ დაკავების აუცილებლობის დასაბუთება ძალიან

იშვიათად ფიქსირდება პროკურორთა შუამდგომლობებში და ხშირად მხოლოდ საფრთხის ფორმალური მითითებით შემოიფარგლება. ადვოკატების ნაწილი კი მიიჩნევს, რომ თითქმის წარმოუდგენელია ამ სამი საფუძვლის დასაბუთება მანამ, სანამ პირი მათ არ განახორციელებს: თუ პირი არ მიიმალა, არ გადალახა საზღვარი, მიმალვის საფრთხის დასაბუთება შეუძლებელია, ან, თუ ხელმეორედ არ ჩაიდინა დანაშაული. ამიტომაც ადვოკატები, რომლებიც დაკავების საფუძვლების დასაბუთების შეუძლებლობაზე საუბრობენ, რა თქმა უნდა, პროკურორების შუამდგომლობებში ასახულ ინფორმაციას არასანდოს უწოდებენ.

მოსამართლეები და ადვოკატები მიუთითებენ, რომ პროკურორთა შუამდგომლობაში ხშირად არა ერთი საფუძველი, არამედ რამდენიმე საფუძველი ფიქსირდება. სხვადასხვა საფუძვლების კომბინირებულად მითითებით პროკურორები ცდილობენ დასაბუთებული ვარაუდის სისუსტე გადაფარონ და თავის შუამდგომლობა ასე გააძლიერონ. მოსამართლეებს ასევე მოჰყავთ მაგალითები, სადაც პროკურორთა შუამდგომლობები ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. მაგალითად, პროკურორი პირის დაკავებას ითხოვს მიმალვის საფრთხის გამო, მაშინ როდესაც ეს პირი რამდენიმეჯერ გამოცხადდა დაკითხვაზე ან თავად მივიდა საგამოძიებო სამსახურებში და აღიარა ბრალი; ან, მაგალითად, ითხოვენ პირის დაკავების განჩინებას განმეორებითი დანაშაულის ჩადენის საფრთხის საფუძველზე, მაშინ როდესაც სახეზეა გაუფრთხილებლობით ავტოავარიის ჩადენის შემთხვევა.

ადვოკატები მიუთითებენ, რომ პროკურორები თავის ვარაუდს ისეთ ასპექტზე ამყარებენ, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროცედურულ ნორმას კი არ წარმოადგენს, არამედ საქმის არსობრივ მხარეს უკავშირდება, რაც ხშირად კმაყოფილდება მოსამართლეების მხრიდან. ეს არის, ერთი მხრივ, პირის წარსული ცხოვრება (ნასამართლობა, მის წინააღმდეგ არსებული ადმინისტრაციული სასჯელები) და, მეორე მხრივ, დანაშაულის სიმძიმე, რომლითაც, როგორც წესი, მიმალვის საფრთხის „დასაბუთებას“ ცდილობენ. სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით, პირის ნასამართლობას გავლენა არ უნდა ჰქონდეს მის დაკავებაზე, ხოლო დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინება ასევე მცდარია, რადგან უდანაშაულობის პრეზუმციიდან გამომდინარე, პირს შეიძლება საერთოდ არ დაუმტკიცდეს ბრალი. ადვოკატები აღნიშნავენ, რომ, როდესაც ბრალდების მხარე ითხოვს პირის დაკავებას მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე, მოსამართლე უაპელაციოდ აკმაყოფილებს შუამდგომლობას, მიუხედავად იმისა, არის თუ არა დაკავების შუამდგომლობა დასაბუთებული. ზემოთ აღნიშნული დარღვევების გამო ადვოკატების ნაწილი მიუთითებს, რომ პირის დაკავების განჩინების საფუძვლები პრაქტიკის თვალსაზრისით ევროპული სასამართლოს სტანდარტებს ფაქტობრივად არასდროს შეესაბამება. თუმცა არის ადვოკატების მეორე ნაწილი, რომელიც აღნიშნავს, რომ სასამართლო ყურადღებით სწავლობს განჩინების საფუძვლებს, მათი არასაფუძვლიანობის შემთხვევაში არ აკმაყოფილებს პროკურორების შუამდგომლობას და მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე მოქმედებს.

მიმალვის საფრთხის დასაბუთებასთან დაკავშირებით სპეციფიკური გარემოება ფიქსირდება სამეგრელოს, აჭარისა და შიდა ქართლის რეგიონებში. ამ რეგიონებში მოქმედი მოსამართლეები და ადვოკატები აღნიშნავენ, რომ

ხშირად პროკურორები მიმალვის საფრთხეს სხვა ქვეყნის საზღვრის ან ოკუპირებული ტერიტორიის სიახლოვით ასაბუთებენ, განსაკუთრებით, თუ ამ პირისგან საზღვრის სისტემატური ან ხშირი გადაკვეთა ფიქსირდება, თუ პირს ოჯახი ან ოჯახის წევრები საქართველოს საზღვრის მიღმა ჰყავს ან საზღვარგარეთ ყოფნის გამო, მოწმის სტატუსით დაბარების შემთხვევაში არ გამოცხადდა სასამართლოში. თუმცა ერთ-ერთი მოსამართლე აღნიშნის, რომ ამ საფუძვლით მას განჩინება არ გაუცია, რადგან ამ ლოგიკით საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, ჩავიდეს ზუგდიდში ან ბათუმში და მიიმალოს. მაგალითად, სამეგრელოში მოქმედი მოსამართლე დაკავების განჩინების დაკმაყოფილებისას ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, პირი არის თუ არა აფხაზეთის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, ჰყავს თუ არა ოჯახი აფხაზეთის ტერიტორიაზე. თუ ეს დასტურდება, მაშინ ის უფრო საფუძვლიანად მიიჩნევა მიმალვის საფრთხეს.

განჩინებით დაკავების საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთი ადვოკატი აღნიშნავს, რომ სასამართლო პრაქტიკა მიდის იქით, რომ ისინი ეყრდნობიან თვითონ დაკავების ოქმში აღნიშნულ ინფორმაციას და არ ფიქრობენ მტკიცებულებათა შეფასებას, თუნდაც ბრალდების პირველი წარდგენის დროს, რაც არასწორია. ადვოკატის თქმით, საჭიროა მტკიცებულებათა სტანდარტი შემოწმდეს დასაბუთებული ვარაუდის დონეზე და შემდეგ გადამოწმდეს ეს მტკიცებულებები მოპოვებული და დამაგრებულია თუ არა კანონით დადგენილი წესით. ადვოკატის მითითებით, ამ პროცედურებს სასამართლო არ იცავს. ზოგჯერ მოსამართლეები ამბობენ, რომ ეს საკითხები არსებითი განხილვის დროს უნდა იქნეს გამოკვლეული, თუმცა არსებითი განხილვა ამასთან კავშირში არ არის, რადგან იქ ფასდება ფორმალური და ფაქტობრივი საფუძვლები, ისევე როგორც წინასასამართლო სხდომაზე. თუმცა თუ არ შეფასდა მტკიცებულებები, შეუძლებელია იმის შეფასება, უნდა შეწყდეს თუ არა სისხლის სამართლის საქმე. ამიტომ ეს ადვოკატი პრობლემას უფრო მასშტაბურად უყურებს და თვლის, რომ სასამართლო მტკიცებულებებს სათანადოდ არ აფასებს.

ადვოკატებთან ჩაწერილი ინტერვიუები მოწმობს, მიუხედავად იმისა, რომ პროკურორთა შუამდგომლობაში აღნიშნული საფუძვლები ნაკლებდასაბუთებელია, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო შუამდგომლობას აკმაყოფილებს, ადვოკატები განხილვისას ამ საკითხებზე ნაკლებად აპელირებენ და ნაკლებად აყენებენ შუამდგომლობას. ამის მიზეზი ლატენტურად გამოიკვეთა რამდენიმე ინტერვიუში, სადაც ადვოკატები მოსამართლეთა ბრალდების მხარის სასარგებლოდ მიკერძოებულობაზე საუბრობენ და ნიჰილისტურად უყურებენ საკითხის გასაჩივრების შემთხვევაში მის ობიექტურ გადაწყვეტას.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავება გამონაკლის, განსაკუთრებულ შემთხვევას უნდა წარმოადგენდეს, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე სამივე რგოლის (მოსამართლე, პროკურორი და ადვოკატები) წარმომადგენლები ძირითადად ადასტურებენ, რომ სასამართლოს განჩინებით პირების დაკავების რაოდენობა ბევრად ჩამოუვარდება განჩინების გარეშე დაკავებების რიცხვს. ერთადერთი გამონაკლისი ფიქსირდება შიდა ქართლში, სადაც ადვოკატები მიუთითებენ, რომ განჩინებით დაკავება უფრო მეტია, ვიდრე განჩინების გარეშე. გადაუდებელი აუცილებლობით განჩინების გარეშე დაკავებების სიმრავლეს რამდენიმე მი-

აუცილებლობის გარემოებით განჩინების გარეშე აკავებს პირს. არის შემთხვევები, როდესაც მოსამართლეები ამ პირებს ათავისუფლებენ, თუმცა, როგორც ჩანს, ასეთ შემთხვევაში დაკავების დაკანონება მაინც ხდება. ბუნდოვანება იკვეთება განჩინებით პირის დაკავების საკითხის განხილვის დროსთან დაკავშირებით. ძირითადად ეს საკითხი ბრალდების წაყენების ვადაში უნდა განიხილოს სასამართლომ, თუმცა როგორც ადვოკატები მიუთითებენ, პრაქტიკაში ეს არაერთმნიშვნელოვნად გვხვდება და შეიძლება წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე მოხდეს მისი განხილვა ან საერთოდ საკითხის განხილვას თავი აარიდოს მოსამართლემ.

დაკავება მოსამართლის განჩინების გარეშე

განჩინების გარეშე დაკავების საკითხზე 171 მუხლის ინტერპრეტაცია და ჩამოყალიბებული პრაქტიკის შეფასება განსხვავებულია იმის მიხედვით, პოზიციას გამოხატავენ ადვოკატები, პროკურორები თუ მოსამართლეები. ამ მხრივ ნეიტრალურ პოზიციას ავლენენ მოსამართლეები, ხოლო ადვოკატები და პროკურორები ორ საწინააღმდეგო პოზიციაზე დგანან.

გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განჩინების გარეშე პირების დაკავების დიდ რაოდენობას პროკურორები ხსნიან იმით, რომ, ძირითადად, დაკავება ხდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის მეორე პუნქტში ჩამოთვლილი გარემოებების საფუძველზე. მოსამართლეთა ნაწილი ამას იზიარებს და ამბობს, რომ ძირითადად პირების დაკავება ხდება დანაშაულზე წასწრების დროს ან როდესაც მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი. თუმცა ადვოკატებს მიაჩნიათ, რომ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაშიც ხშირად ბრალდების მხარეს საფუძვლად მიმალვის საფრთხე აქვს მითითებული, რომლის დასაბუთება, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სუსტი ან ფაქტობრივია. ადვოკატები სხვა საკითხზე აკეთებენ აქცენტს და ამბობენ, რომ პროკურორები ხშირად პირს აკავებენ მტკიცებულებების გარეშე სწორედ მტკიცებულებათა შესაკრებად, რაც ფაქტობრივად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დარღვევაა.

გადაუდებელი აუცილებლობით განჩინების გარეშე დაკავების საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია დროის საკითხი. პროკურორების ნაწილი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ საგამოძიებო მოქმედებები კვირაში შვიდი დღე, 24 საათის განმავლობაში მიმდინარეობს და ხშირად პირის მიმალვის თავიდან აცილების მიზნით, ისინი არასამუშაო საათებში აკავებენ პირებს, მაშინ როდესაც სასამართლო არ მუშაობს. დროის ფაქტორს განსხვავებულად განიხილავენ ადვოკატები, რომლებიც ამბობენ, რომ განჩინების გარეშე დაკავებები ყველაზე მეტი სწორედ არასამუშაო საათებშია, რადგან პროცესზე ბრალდების მხარემ იოლად „დაასაბუთოს“ განჩინების გარეშე დაკავების აუცილებლობა. ადვოკატები ასევე მიუთითებენ, რომ მოსამართლეებს ძალიან ბევრი საქმე აქვთ და დროის სიმცირის გამო ისინი ვერც განჩინების და ვერც ბრალის წაყენების დროს ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევენ პროცედურული ნორმების დაცვას.

უდანაშაულო ადამიანი იღებდა თავის თავზე დანაშაულს, რათა არ მოხვედრილიყო ციხეში და თავისუფალ პირობებში ემტკიცებინა თავის უდანაშაულობა. ადვოკატების ნაწილი პირის დაკავების სტანდარტებისა და პრაქტიკის მნიშვნელოვან გაუმჯობესებაზე საუბრობს ბოლო ორი წლის განმავლობაში. მათ მოჰყავთ მაგალითები, სადაც მოსამართლეები იზიარებენ ადვოკატების პოზიციას დაკავების კანონიერების დარღვევის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით. გამოკითხული ადვოკატების მცირე ნაწილი ხედავს უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ძველ პრაქტიკაზე დაბრუნების ნიშნებს, სადაც აღიარება თავისუფლების, ხოლო აღიარებაზე უარის თქმა ალკვეთის ღონისძიების შეფარდების წინაპირობაა. ადვოკატების მეორე ნაწილი აღნიშნავს, რომ მოსამართლეები გულისყურით უდგებიან დაკავების კანონიერების საკითხს და სასამართლოზე ბევრ შეკითხვას უსვამენ პროკურორებს, რომლებიც ხშირად ცუდ მდგომარეობაში ვარდებიან, რადგან საფუძველი არ არის სამართლებრივად დამაგრებული და ძირითადად აქცენტი კეთდება სასჯელის სიმძიმეზე, რომლის გამოც, ბრალდებული შეიძლება მიიმალოს. განჩინების გარეშე დაკავების უსაფუძვლობის გამო სასამართლოს მიერ პირის გათავისუფლების შემთხვევებს იხსენებენ ადვოკატები და აღნიშნავენ მოსამართლეებიც, თუმცა ასეთი შემთხვევები რაოდენობრივად ძალიან მცირეა. პროკურორების აღნიშვნით, მოსამართლეები განჩინების და, ზოგადად, ალკვეთის ღონისძიებების შეფარდებასთან დაკავშირებით კრიტიკულები და ობიექტურები არიან, რადგან ეს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვას ენება. თუმცა ეს მაღალი სტანდარტი პროკურატურას აიძულებს, მაღალპროფესიონალურად იმუშაოს, რაც, ზოგადად დაკავების გამართული პრაქტიკის დანერგვას უწყობს ხელს.

მოსამართლეების ნაწილი გადაუდებელი აუცილებლობით პირის დაკავების საფუძველს კანონიერად მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევენ, თუკი პირი დანაშაულის ჩადენისას იქნა აყვანილი. მოწმის სახით დაბარებული პირების, რომელთა საქმის გამოძება რამდენიმე დღის განმავლობაში ან უფრო ხანგრძლივად მიმდინარეობს, ეკონომიკურ დანაშაულებებში და ავტოსაგზაო შემთხვევებში ბრალდებულებისთვის ალკვეთის ღონისძიების შეფარდება, განსაკუთრებით კი, გადაუდებელი აუცილებლობით, მოსამართლეთა უმრავლესობას არაკანონიერად მიაჩნია. იშვიათად მაგრამ მოსამართლეები ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ ყოფილა შემთხვევა სასამართლოს განჩინების შუამდგომლობა არ დაუკმაყოფილებია დასაბუთებული ვარაუდის არარსებობის გამო, თუმცა ბრალდების მხარეს გადაუდებელი აუცილებლობით პირი მაინც დაუკავებია ან სხვა მოსამართლესთან შეუტანია შუამდგომლობა და წინა მოსამართლის უარი არ გამოუჩინია. თუმცა როგორც მოსამართლეები აღნიშნავენ ამ შემთხვევაში ისინი ხშირად ათავისუფლებენ ამგვარი წესით დაკავებულ პირებს.

ადვოკატები განჩინების გარეშე დაკავების შემთხვევების სიმრავლეს საკანონმდებლო ხარვეზს უკავშირებენ, რომლის მიხედვით, ალკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებული სასამართლოს გადაწყვეტილება (ადვოკატის შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში) არ საჩივრდება. ადვოკატების მითითებით, სწორედ ამ ხარვეზის გამო სასამართლომ გავრცელებულ პრაქტიკად აქცია დაკავების საფუძვლების იგნორირება. განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობას მხარს უჭერს პროკურატურაც და თვლის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შეუძლებლობა ხშირად მათ აიძულებს, დაამკვიდროს გადაუდებელი აუცილებლობით დაკავების პრაქტიკა.

ზოგადად, რომ შევაჯამოთ, განჩინების გარეშე დაკავებების შემთხვევაში თუ სახეზეა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის მეორე პუნქტის ა), ბ), გ) და დ) გარემოებების საფუძველი, პრობლემას ვერ ხედავენ ვერც ადვოკატები და ვერც მოსამართლეები. ძირითადი კრიტიკა მოდის მიმალვის საფრთხეზე, რომელიც, როგორც წესი, ტრაფარეტულად და დაუსაბუთებლად არის გამოყენებული ბრალდების მხარის მიერ. განჩინების გარეშე პირის დაკავების საკითხში პრობლემას ხედავენ პროკურორები და ადვოკატები. ეს ეხება დაკავების საკითხის განხილვის დროს მოსამართლეთა მოუცლევლობას და დატვირთულობას, სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჩივრების შეუძლებლობას. იკვეთება სუბიექტური ფაქტორების გავლენაც, რის გამოც, სასამართლო პროცესზე მოსამართლეთა თუ პროკურორების პოზიტიური განწყობების შენარჩუნების მიზნით, ადვოკატები არ ასაჩივრებენ დაკავებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

დაკავების წესი

დაკავების წესს არეგულირებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 174-ე მუხლი. დაკავების პროცესში არსებულ სამართლადარღვევებზე თითქმის ყველა ადვოკატი საუბრობს, დაკავების პროცესში პრობლემებს ხედავენ მოსამართლეებიც. მხოლოდ პროკურორები ვერ ხედავენ დაკავების პროცესში სამართლადარღვევებს. დაკავების წესების დარღვევის მთავარ მიზეზად ერთ-ერთი ადვოკატი ასახელებს იმას, რომ პოლიცია ადმინისტრაციულ სამართლადარღვევასა და სისხლის სამართლის მატერიალურ დანაშაულს შორის ზღვარს ვერ ავლენს. ხშირად ბრალდების მხარე სასამართლო პროცესსაც მატერიალური დანაშაულის კუთხით უყურებს და ავიწყდება პროცესზე შეჯიბრებითობის და პროცესუალური ნორმების დაცვის პრიმატულობა.

დაკავების პროცესთან დაკავშირებით, პირველ რიგში, განვიხილოთ მირანდას უფლებების განმარტების საკითხი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 174-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „დამკავებელი მოხელე ვალდებულია დაკავებულს გასაგები ფორმით შეატყობინოს ეს, განუმარტოს, რა დანაშაულის ჩადენაშია ის ბრალდებული, და აცნობოს, რომ მას აქვს უფლება ადვოკატზე, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება, უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული, და რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული სასამართლოში“. ადვოკატები მიუთითებენ, რომ ამ სამი ძირეული უფლების განმარტება დაკავებისას ხშირად არ ხდება. თუმცა ამის დამტკიცება, რომ დაკავებულ პირს უფლებები არ განემარტა, თითქმის შეუძლებელია. ადვოკატების მტკიცებით, რეალურად დამკვიდრებულია ასეთი პრაქტიკა: პირს განმარტებების გარეშე, ბრმად აწერინებენ ხელს დაკავების ოქმზე, სადაც მითითებულია, რომ პირს თავისი უფლებები განემარტა. ამ პრაქტიკას აძლიერებს ისიც, რომ ადვოკატები დაცვის პროცესში გვიან, დაახლოებით, დაკავებიდან 24 საათში ერთვებიან, მოქალაქეებს ინფორმაცია დაკავების წესებსა და თავის უფლებებთან დაკავშირებით არ აქვთ.

მოსამართლეების თქმით, დაკავების მომენტში მირანდას უფლებების განმარტება ბრალდებულისთვის შეუძლებელია არ ხდებოდეს, თუმცა მათ ამ ფაქტების

შესახებ ინფორმაცია არ აქვთ იმდენად, რამდენადაც ადვოკატებს სასამართლო პროცესზე ეს საკითხები არ წამოუჭრიათ. გარდა ამისა, მირანდას უფლებების განუმარტებლობასთან დაკავშირებით მსჯელობას აზრი არ აქვს, თუ ბრალდებულს დაკავების ოქმზე ხელი აქვს მოწერილი.

ერთ-ერთი ადვოკატი იხსენებს შემთხვევას, როდესაც გამოაშკარავა მირანდას უფლებების დაკავების პროცესში განუმარტებლობა. დამკავებელმა პირმა სასამართლოს წინაშე თავად ვერ დაასახელა მირანდას უფლებები. ადვოკატების თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოც მიკერძოებულია, რადგან დამტკიცების შემთხვევაშიც მირანდას უფლებების განუმარტებლობას არაარსებით დარღვევად თვლიან. რაც შეეხება პროკურორებს, ისინი დაკავების პროცესში ბრალდებულების უფლებების დარღვევის ფაქტებს უარყოფენ და აღნიშნავენ, რომ ამაზე ადვოკატები, უბრალოდ, პროცესზე აპელირებენ. უფრო მეტიც, ბრალდების მხარე აღნიშნავს, რომ ხშირად დაკავების ოქმს ბრალდებული ხელს არ აწერს, არა იმიტომ, რომ არ განემარტა მირანდას უფლებები, არამედ იმიტომ, რომ ამ დოკუმენტზე ხელის მოწერით ჰგონია, აღიარებით ჩვენებას აძლევს.

დაკავების პროცესთან დაკავშირებით განსხვავებული პრობლემა გვხვდება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, რადგან პირებმა ხშირად სახელმწიფო ენა არ იციან და საჭიროა დაკავების პროცესში თარჯიმნის ჩართვა. მაღალკვალიფიციური თარჯიმანი კი, რომელმაც არა მხოლოდ ენა, არამედ იურიდიული ტერმინების მნიშვნელობებიც იცის, ძნელად საპოვნელია. ენის არცოდნის საკითხი კიდევ უფრო მწვავედ დგას საზღვრისპირა რეგიონებში, სადაც უცხო ქვეყნის პირები შემოდიან, რომელთაც არათუ ქართული, არამედ საერთაშორისო ენებიც კი არ იციან. ერთ-ერთი მოსამართლის თქმით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში იყო შემთხვევა, როდესაც ენის ბარიერის გამო, უცხო ქვეყნის მოქალაქეს ვერ განუმარტეს უფლებები და პირი აღარ დააკავეს.

მირანდას უფლებების განმარტების კუთხით ხარვეზის გამოსწორების ერთ-ერთ საშუალებად ადვოკატებს მიაჩნიათ ბრალდებულისთვის უფლებების განმარტებისას აუდიო ან ვიდეო გადაღება. მათი თქმით, თუ პატრულებს აქვთ ტექნიკური აღჭურვილობა, რომელსაც თავისი სურვილისამებრ რთავენ, მაშინ ტექნიკურად ამ პროცედურის მოგვარება დაკავების დროს უფლებების განმარტების შემთხვევაშიც არის შესაძლებელი, თუ ამის ნება იქნება.

დაკავების ღონისძიების გატარებისას მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 177-მუხლის პირველი პუნქტის განხორციელება, რომლის მიხედვითაც, „პროკურორი ან მისი დავალებით გამოძიებელი ვალდებულია პირის დაკავებიდან, დაპატიმრებიდან ან ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებიდან არა უგვიანეს 3 საათისა შეატყობინოს ეს მისი ოჯახის რომელიმე წევრს, ხოლო თუ ასეთი არ არსებობს – რომელიმე ნათესავს ან ახლობელს, დაპატიმრების ან სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შემთხვევაში კი აგრეთვე შეატყობინოს სამუშაო ან სწავლის ადგილას“. საპროცესო კოდექსის ამ მუხლის დარღვევის შემთხვევებს იშვიათად მიუთითებენ ადვოკატები, პროკურორები მსგავს ფაქტებს უარყოფენ, ხოლო მოსამართლეები, იქიდან გამომდინარე, რომ იმ მტკიცებულებებით და შუამდგომლობებით ხელმძღვანელობენ, რომლებსაც ადვოკატი-

ბი სასამართლოს პროცესზე წარადგენენ, აღნიშნავენ, რომ ოჯახის წევრებისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევებს ვერ იხსენებენ. იმის დამტკიცება, რეალურად მოხდა თუ არა ოჯახის ინფორმირება, შესაძლებელი იქნებოდა სატელეფონო ჩანაწერების ამოღებით, თუმცა ადვოკატების თქმით, 48 საათში ამ მტკიცებულების ამოღებას ისინი ვერ ასწრებენ, განსაკუთრებით მაშინ, თუ ისინი უფრო მნიშვნელოვანი მტკიცებულების მოპოვებაზე მუშაობენ. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ადვოკატს ხელთ აქვს მტკიცებულება 3 საათის განმავლობაში პირის ოჯახის გაუფრთხილებლობის შესახებ, მათი თქმით, სასამართლო პირს არ ათავისუფლებს, რადგან მიაჩნია, რომ ეს არ არის არსებითი დარღვევა.

სამედიცინო შემოწმება: ადვოკატები ასევე ყურადღებას ამახვილებენ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 174-ე მუხლის მეოთხე პუნქტით გათვალისწინებული ნორმის დაცვაზე, რომლის მიხედვითაც, „დაკავების ადგილას მიყვანისთანავე დაკავებული ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის დასადგენად მისი მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა შემოწმდეს ექიმის მიერ და უნდა შედგეს სათანადო ცნობა.“ ამ ნორმის დაცვა მნიშვნელოვანია დაკავებულ პირზე ფიზიკური ზემოქმედების შემთხვევაში მტკიცებულების შესაქმნელად. თუმცა ამ უფლების შესახებ, როგორც წესი, დაკავებულ პირს ინფორმაცია არ აქვს ან სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები უზღუდავენ ამ უფლებას. ამ პრაქტიკის თავიდან აცილების მიზნით, ადვოკატები საუბრობენ სამედიცინო შემოწმების უფლების განმარტების და ამ უფლების განხორციელებაზე უარის თქმის ამსახველი ცალკე ოქმის შედგენაზე. რაც შეეხება პროკურორებს, ისინი დაკავებული პირის სამედიცინო შემოწმების თვალსაზრისით პრობლემებს ვერ ხედავენ. ხოლო მოსამართლეები კი აღნიშნავენ, რომ ადვოკატები ამ საკითხებზე სასამართლოში არ შუამდგომლობენ და აქედან გამომდინარე, მათ მსგავსი ფაქტების შესახებ ინფორმაცია არ აქვთ.

ადვოკატის ხელმისაწვდომობა: დაკავების წესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხია ადვოკატის უფლების შეზღუდვა უზრუნველყოფა. პირველ რიგში, პრობლემას წარმოადგენს ადვოკატის საჭიროებაზე მოქალაქეთა არაინფორმირებულობა, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ადვოკატი მხოლოდ სასამართლო პროცესისთვის არის საჭირო, ამიტომაც ადვოკატები უმეტეს შემთხვევაში საკმაოდ გვიან, დაკავებიდან დაახლოებით 24 საათში ერთვებიან სისხლის სამართლის პროცესში. გარდა ამისა დაცვის მხარე ცდილობს, დაარწმუნოს ბრალდებულები, რომ მათ არ სჭირდებათ ადვოკატები, მათ გარეშეც შეძლებენ ბრალდების მხარესთან მოლაპარაკებას და საპროცესო გარიგების დადებას. ამიტომ პირები თავად აწერენ ხელს დაკავების ოქმზე, სადაც აღნიშნულია, რომ ის უარს ამბობს ადვოკატის უფლებაზე. პროკურორები მსგავს ფაქტებს უარყოფენ და დაკავების ოქმზე პირის ხელმოწერაზე აპელირებენ როგორც ფაქტზე.

ადვოკატები საკმაოდ ხშირად საუბრობენ დაკავებულთათვის ადვოკატის უფლების შეზღუდვაზე. მაგალითად, ისინი მიუთითებენ, რომ პირების დაკავება ძირითადად არასამუშაო დღეებსა და საათებში ხდება, რათა ამგვარი გზით შეაფერხონ პირის მიერ ადვოკატის აყვანის უფლების განხორციელება. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ოჯახის წევრი მყისიერად უკავშირდება ადვოკატს, მას ბრალდებულთან გამოძიების პირველ ეტაპზე არ უშვებენ. ხშირად დაკავებული პირის და ადვოკატის შეხვედრის შეფერხება ხდება

ერთი, ორი, სამი საათით ან იშვიათად მთელი დღითაც კი. პროკურორები ადვოკატის მომსახურების შეზღუდვას მხოლოდ ობიექტურ გარემოებებს უკავშირებენ და მსგავს შეფერხებებს საგამოძიებო ქმედებების განხორციელებას უკავშირებენ. ადვოკატების მიხედვით, ადვოკატთან შეხვედრის დრო დამოკიდებულია ბრალდების ხელში მტკიცებულებების ქონაზე. იმ შემთხვევაში, თუ პროკურატურას ნივთმტკიცება აქვს, ადვოკატს ბრალდებულთან მყისიერად უშვებენ, ხოლო, თუ დაკავებულის რამეში გამოტყვევება უნდათ, მაშინ ადვოკატებს აფერხებენ. თბილისში მომუშავე ადვოკატები მიუთითებენ, რომ ადვოკატის მომსახურების შეზღუდვა ძირითადად ისეთ საქმეებზე ხდება, როგორებიცაა ჩხუბი, სხეულის დაზიანება და ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულები, როდესაც დანაშაულებრივი ქმედების მონაწილე ყველა პირი პოლიციის განყოფილებაშია დაკავებული. ადვოკატები აღნიშნავენ, რომ სწორედ პირველი 15 წუთის განმავლობაში მიმდინარეობს დაკავებულ პირებზე ზეწოლა, რათა გამოძიებამ ოპერატიული ინფორმაცია მოიპოვოს. ამ დროის განმავლობაში, რა თქმა უნდა, დაკავებული პირების ადვოკატთან წვდომაც შეზღუდულია. ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, როდესაც უკვე ერთ ბრალდებულს ტოვებენ, ადვოკატის მომსახურების შეზღუდვა აღარ ხდება. პოლიციის განყოფილებაში დაკავებული პირის ყოფნასთან დაკავშირებით ერთ-ერთ რეგიონში მოქმედი ადვოკატი დაკავების პროცესის განსაკუთრებული დარღვევის ფაქტს იხსენებს: სამართალდამცველებმა პირს თავისუფლება შეუზღუდეს, დაკავებული პირი იმყოფებოდა პოლიციის განყოფილებაში დაკავების ოქმის გარეშე და ადვოკატსაც არ აძლევდა მასთან შეხვედრის უფლებას. ადვოკატების ახსნით, პოლიცია ამ ადამიანს „ამუშავებდა“ და სწორედ ამიტომ ჰყავდა დაკავებული რაიმე სტატუსის გარეშე და არ აძლევდა ადვოკატთან შეხვედრის უფლებას. თუმცა ამგვარ შემთხვევებში ადვოკატებს არანაირი მტკიცებულება არ აქვთ და მათი წარდგენის გარეშე არც სასამართლო თვლის ამ ფაქტებს არსებით დარღვევებად. პროკურორები ძირითადად არ ადასტურებენ იმ ფაქტებს, რომ ისინი დაკავებულ პირებს ადვოკატთან შეხვედრის უფლებას უზღუდავენ ან დაკავებულებზე ზეწოლას ახორციელებენ. მხოლოდ ერთადერთმა პროკურორმა აღნიშნა, რომ იშვიათად არის შემთხვევა, რომ დაკავებულ პირთან შეხვედრას ითხოვენ ისეთი პირები, რომლებსაც ორდერი არ აქვთ და ვერ ადასტურებენ, რომ ადვოკატები არიან.

დროებითი მოთავსების იზოლატორიში გადაყვანის საკითხი - ადვოკატთან თავისუფალი შეხვედრის შეზღუდვა, თავისთავად, უკავშირდება დაკავების წესის მნიშვნელოვან კომპონენტს, რაც არის დაკავებული პირის გადაყვანა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 174-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, „დამკავებულმა მოხელემ დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა მიიყვანოს პოლიციის უახლოეს დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში“. მოსამართლეები და ადვოკატები მიუთითებენ, რომ ადგილი, სადაც დაკავებული დაცულია ყოველგვარი ზეწოლისაგან, სადაც ადვოკატთან თავისუფალი შეხვედრის სივრცეა არის დროებითი მოთავსების იზოლატორი. თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 175-ე მუხლის მესამე პუნქტით, დაკავების ოქმს ხელი უნდა მოაწეროს პოლიციის ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს უფლებამოსილმა პირმა. ერთ-ერთი მიზეზი, რითაც ბრალდების მხარე დაკავებული პირის პოლიციის განყოფილებაში გადაყვანას „ამართლებს“ სწორედ უფლებამოსილი პირის მიერ ოქმზე ხელმოწერის საჭიროებაა. თუმცა როგორც ადვოკატები მიუთითებენ, სწორედ დაკავების პირველი ეტაპი წარმოადგენს „სარისკოს“ დაკავებულ პირზე ზეწოლის განხორ-

ციელების თვალსაზრისით. შესაბამისად, დაკავებული პირის ავტომატურად დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანა არ ხდება.

ადვოკატები აღნიშნავენ, რომ პოლიციის განყოფილებაში მათთვის პრობლემურია როგორც, ზოგადად, დაკავებულ პირთან შეხვედრა, ასევე სივრცის არსებობა, სადაც დაკავებულთან თავისუფლად საუბარს შეძლებენ. ერთ-ერთი ადვოკატის აღნიშვნით, მას თავის კლიენტთან საუბარი ტუალეტში მოუწია, რათა თავისუფალი საუბრის საშუალება ჰქონოდა. სწორედ ამიტომ მიუთითებენ ადვოკატები დაკავების შემდგომ პირის პირდაპირ დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანის საჭიროებაზე, რათა პოლიციის განყოფილებაში დაკავებულ პირებზე ზეწოლის საფრთხე აცილონ და თავის დაცვის ქვეშ მყოფ პირებს თავისუფალ და „უსაფრთხო“ გარემოში შეხვდნენ.

ადვოკატების მსგავსად მოსამართლეებიც აღნიშნავენ, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებული პირის გადაყვანის საკითხი ხშირად პრობლემურია და გამომდინარეობს იქიდან, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ეს არ რეგულირდება. თუმცა მოსამართლეთა თქმით, საკითხზე დაცვის მხარე იშვიათად ამბავილებს ყურადღებას. ამ საკითხის დარეგულირების მიზნით, თუ დროებითი მოთავსების იზოლატორში პირის მოთავსების დრო პროცესუალურად დარეგულირდება და ოქმით გაფორმდება, ეს ბევრად უფრო გაამარტივებს დაკავების წესების დაცვას და დაენმარება დაცვის მხარეს, რომ დაამტკიცოს პირზე ზეწოლა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თუმცა არიან მოსამართლეები, რომლებიც პირის დროებით იზოლატორში მყისიერ გადაყვანას მხარს არ უჭერენ. ისინი მიუთითებენ ბრალდების და დაცვის მხარეთა ინტერესების ბალანსის საჭიროებაზე და ამბობენ, რომ ზოგჯერ ბრალდების მხარეს ესაჭიროება მყისიერი საგამოძიებო ღონისძიებების განხორციელება, მაგალითად დაკითხვა, საგამოძიებო ექსპერიმენტი, ამოცნობა, რის გამოც ყოველ წუთში დროებითი მოთავსების იზოლატორიდან დაკავებული პირის გამოყვანა ბრალდების მხარეს პრობლემას შეუქმნის. პროკურორები დაკავებული პირების დროებითი მოთავსების იზოლატორში მოგვიანებით გადაყვანას სწორედ საგამოძიებო ღონისძიებების გატარების საჭიროებით ხსნიან და ამ პრაქტიკის შეცვლას ეწინააღმდეგებიან.

სავალდებულო დაცვის მახასიათებლები: გამოკითხვაში მონაწილე ადვოკატების და მოსამართლეების უმრავლესობა მიუთითებს, რომ შედარებით მოწესრიგებულია პროცედურები იმ შემთხვევაში, თუ პირი სავალდებულო დაცვას ექვემდებარება. თუ სავალდებულო დაცვის წესის დარღვევას აქვს ადგილი, მოსამართლეები საკმაოდ მკაცრად რეაგირებენ (ერთი მოსამართლე იმასაც კი აღნიშნავს, რომ პირი გაათავისუფლა, რადგან სავალდებულო დაცვა დროულად არ იყო მისთვის უზრუნველყოფილი). აჭარის, ახალციხის და ახალქალაქის ოლქებში კი, სადაც სხვა ქვეყნის მოქალაქეებზე ან სახელმწიფო ენის არმცოდნე პირებზე სავალდებულო დაცვის დანიშვნის შემთხვევები ბევრია, მოსამართლეები და ადვოკატები პრობლემების არარსებობაზე მიუთითებენ. განსხვავებულია იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების პოზიცია, რომლებიც სავალდებულო დაცვას ახორციელებენ. ისინი მიუთითებენ, რომ მათ, როგორც წესი, წინასასამართლო პროცესამდე საქმესთან შეხება არ აქვთ, რაც სერიოზულად ართულებს დაკავებული პირის დაცვის საკითხს. იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების მხრიდან სხვა პრობლემური გარემოებებიც გამოვლინდა. მათი თქმით, ხშირია შემთხვევები,

როდესაც არ ხდება სოციალურად დაუცველი პირებისათვის დაცვის უფლების განმარტება და გამოძიებელი თავისივე ხელით აწერინებს ოქმში, რომ ბრალდებული უარს ამბობდა ადვოკატზე. ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები სოციალურად დაუცველთათვის დამატებითი ოქმის შედგენის საჭიროებაზე მიუთითებენ, სადაც დაკავებული პირისთვის, პირველ რიგში, განმარტებული იქნება სავალდებულო დაცვის უფლება და, თუ პირი მართლაც უარს ამბობს აუცილებელ დაცვაზე, ეს ფაქტი დამოუკიდებელი ოქმით იქნება დადასტურებული.

დაკავების წესის მნიშვნელოვანი დარღვევები გვხვდება დაკავების ოქმში აღნიშნულ დროსა და რეალურად დაკავების დროის შესაბამისობის კუთხით. დროის ეს განსხვავება შეიძლება გამოვლინდეს პირის დაკავების ადგილზე განთავსებული სათვალთვლო კამერების ჩანაწერებით, თუმცა აქ არის მტკიცებულების მოპოვების პრობლემა. სათვალთვლო კამერების ჩანაწერების ამოღების უფლება არ აქვთ ადვოკატებს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მიხედვით, დაცვის მხარეს მტკიცებულების ამოღების შესახებ შეუძლია მიმართოს სასამართლოს. სასამართლო განსაზღვრავს, ვინ უნდა ამოიღოს ეს მასალა. ადვოკატები აღნიშნავენ, რომ, თუ ბრალდების მხარე ამოიღებს მასალას, შემდეგ ობიექტურ ინფორმაციაზე წვდომა ეჭვის ქვეშ დგება. ქუთაისში მოქმედი ერთ-ერთი ადვოკატი მიუთითებს ფაქტზე, რომ პოლიციამ, რომელმაც დაკავების პროცედურები დაარღვია, შემდეგ გარშემო მყოფი ობიექტების სათვალთვლო კამერის ჩანაწერები წაშალა. არის შემთხვევები, რომ თავად ამ ობიექტების მეპატრონეები არ აძლევენ მასალასთან წვდომის უფლებას ადვოკატებს, რადგან არ უნდათ სამართალდამცავ ორგანოებთან პრობლემები შეექმნათ. ადვოკატების ნაწილი მიუთითებს, რომ მათ ხელი არ მიუწვდებათ პოლიციის შენობაში არსებული კამერების ჩანაწერებზე. უმეტესად ისინი არც ითხოვენ ჩანაწერების ამოღებას, რადგან არ უნდათ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა გაღიზიანება.

დაკავების რეალური დროის შეუსაბამობა ოქმში აღნიშნულ დროსთან პრობლემურად იკვეთება მოსამართლეთა ინტერვიუებში. მათი თქმით, დაცვის მხარე ვერ ასწრებს მტკიცებულებების შეგროვებას ალკვეთის ღონისძიებების საკითხების განხილვამდე, რომელიც პირველი 48 საათის განმავლობაშია. მოსამართლეთა თქმით, როდესაც წინა სასამართლო პროცესზე ან არსებითი მსჯელობის დროს დაცვის მხარეს მოაქვს დაკავების წესების დარღვევის შესახებ მტკიცებულებები და ითხოვს ამაზე მსჯელობას, ის არ კმაყოფილდება სასამართლოს მიმდინარეობის სტანდარტებით. როდესაც სასამართლოზე არასაპატიმრო ღონისძიებების შეფარდების საკითხებზე იწყება უკვე მსჯელობა, დაცვის მხარეც ივიწყებს დაკავების დროს არსებულ დარღვევებს და ცდილობს გართულებების გარეშე მიაღწიოს საპროცესო შთანხმებას.

დაკავებამდე მოწმის სახით დაკითხვა: დაკავების წესის პრობლემური საკითხი, რომელზეც სამივე რგოლი საუბრობს, არის პირის მოწმის სახით დაკავება და შემდეგ ბრალის წაყენება. ადვოკატები მიუთითებენ, რომ სამართალდამცავები განგებ არ აკავებენ პირს ბრალდებულის სტატუსით, არამედ მოწმის სახით მიჰყავთ დაწესებულებაში დასაკითხად. დაკითხვის პარალელურად პოლიცია ამზადებს უწყებას სამართალდამცავ ორგანოში მოწმის სახით პირის დაბარების შესახებ, რომელსაც, ვითომდა გაურკვეველი მიზეზით, პირმა ხელი არ მოაწერა, ხოლო დაკითხვის დროს კი გამოვლინდა გარემოებები,

რომელთა საფუძველზეც საჭირო გახდა პირის დაკავება. ადვოკატები და მოსამართლეები მიუთითებენ, რომ გარდა იმისა, რომ მსგავს შემთხვევებში პირს უკანონოდ აქვს შეზღუდული თავისუფლება, ის ვერ სარგებლობს დაკავებულის სტატუსით, ანუ ადვოკატის უფლებით, დუმის უფლებით და, რა თქმა უნდა, არავინ აცნობს მას მირანდას უფლებებს. ამავდროულად, ბრალდების მხარე ბრალის წაყენებისათვის დროს იგებს. ამიტომ მოსამართლეთა ნაწილი უკანონოდ მიიჩნევს პირის მოწმის სტატუსით დაკავებას და იქვე ბრალის წაყენებას, ასევე, მსგავს შემთხვევაში დაკავების დროის ათვლასაც მოწმის სახით პირის დაბარების/ორგანოში მიყვანის პერიოდიდან უჭერს მხარს. თუმცა არის მოსამართლეთა მეორე ნაწილი, რომლებიც თვლიან, რომ მოწმისთვის ბრალის წაყენების საკითხი და დაკავების დროის ათვლა უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, პირი სამართალდამცავი ორგანოების წამომადგენლებს თავისი ნებით გაჰყვა თუ არჩევანის უფლება ჰქონდა. ერთ-ერთი მოსამართლე ამ სიტუაციას ასე აღწერს: „მოგეხსენებათ რომ დაკავება არის თავისუფალი მიმოსვლის შეზღუდვა. ამ თავისუფლების შეზღუდვიდან პირი ითვლება დაკავებულად და კანონმდებლობა მას ბრალდებულის სტატუსს ანიჭებს. შესაბამისად, ის ფაქტი თუ დადასტურდება, რომ ის მისი ნების საწინააღმდეგოდ იქნა იმ მანქანაში ჩასმული, რა თქმა უნდა, მანქანაში ჩასმა იქნება პირის ფაქტობრივი დაკავების დრო. მაგრამ მინდა ხაზი გავუსვა და გავმიჯნო, რომ, როდესაც პოლიციის თანამშრომელი მიდის პირთან და ეუბნება: „თქვენთან გვაქვს საქმე, წამობრძანდით განყოფილებაში და შემდეგ გავარკვიოთ ურთიერთობა“, ეს ადამიანი ჯდება მანქანაში და თავისი ნებით მიჰყვება მათ. ის დაკითხეს მოწმის სახით, შემდეგ ჩატარდა ამოცნობა, ექსპერტიზა, ცნეს ბრალდებულად და დააკავეს. ამ შემთხვევაში დაკავების დრო იქნება პოლიციაში ბრალის წაყენების დრო, ანუ, როცა თავისუფალი მიმოსვლის შესაძლებლობა, მისი ნების საწინააღმდეგოდ, შეეზღუდა“. ამ პოზიციის გასაკრიტიკებლად ადვოკატები შემდეგ კითხვას სვამენ: პირს თავიდანვე რომ ეთქვა უარი პოლიციის განყოფილებაში წასვლაზე ან მანქანაში ჩაჯდომის შემდგომ წასვლის უფლება მოეთხოვა, მისცემდნენ თუ არა ამის უფლებას სამართალდამცავები? რა თქმა უნდა, ამ კითხვაზე პასუხი არავის აქვს.

მსგავს შემთხვევებში, როგორც წესი, პროკურორებს აქვთ მოწმის სტატუსით პირის დაკითხვის ორდერზე ბრალდებულის ხელმოწერა, ხოლო ალკვეთის ლონისძიების განხილვა იმდენად მოკლე დროში ხდება და ადვოკატებიც ხშირად გვიან ერთვებიან, რომ დაცვის მხარეს საშუალება არ აქვს, დაადასტუროს, რომ პირი თავისი ფენით კი არ მივიდა პოლიციის განყოფილებაში, არამედ პოლიციამ მიიყვანა, ანუ თავიდანვე შეუზღუდა თავისუფლება. ადვოკატების მიერ ამის დამადასტურებელი მტკიცებულებების ვერ შეკრების გამო, მსგავსი შემთხვევები ბრალდების სასარგებლოდ წყდება. ადვოკატები მიუთითებენ, რომ სასამართლო პროცესზე ამ საკითხზე აპელირებისას ზოგჯერ მოსამართლეები მოწმის სახით დაკითხვის დროს მიღებულ მტკიცებულებას არ აღიარებენ, თუმცა სხვა მტკიცებულებას (მაგალითად, დანაშაულის ადგილის დათვალიერებას) უკვე საქმეში ტოვებენ, რაც ბრალდებულის დაცვის საკითხს მაინც პრობლემურს ხდის.

სასამართლო ამგვარ ფაქტებზე არ რეაგირებს. არც სასამართლოზე ხდება ამ საკითხის გარჩევა, რადგან ბრალდებული წინააღმდეგია, რომ ეს გამოიყენონ. გარდა ამისა, არის ორი პრობლემატური საკითხი: სასამართლომ წინასასამართლო ან/და არსებითი განხილვის ეტაპზე უნდა იმსჯელოს თუ

ბის დარღვევის მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ, მოსამართლეები შუამდგომლობას ითვალისწინებენ საპროცესო გარიგების კუთხით, თუმცა დაკავებული პირების გათავისუფლება დაკავების წესების დარღვევის გამო ძალზე იშვიათია და სასამართლოს პასუხი ხშირად არის ის, რომ ეს დარღვევა არაარსებითია. ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ დაკავების პროცესში დარღვევებთან დაკავშირებით მოსამართლეები ძირითადად დოკუმენტაციის საფუძველზე მსჯელობენ და ყურადღებას მამინ აქცევენ, როდესაც ადვოკატი აპელირებს ამა თუ იმ საკითხზე.

დაკავების ოქმი

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 175-ე მუხლი არეგულირებს დაკავების ოქმის შედგენის საკითხს. ადვოკატები მიუთითებენ, რომ ოქმების უმრავლესობაში არის პრობლემები. ეს პრობლემები ეხება დაკავებულთათვის თავისი უფლებების გაცნობას, დაკავებისა და ოქმში აღნიშნული დროის შესაბამისობას, ოქმის ასლის ბრალდებულისათვის გადაცემას და ა.შ. პირველივე დებულება განსაზღვრავს, რომ „დამკავებელმა მოხელემ დაკავებისთანავე, დაუყოვნებლივ უნდა შეადგინოს დაკავების ოქმი. თუ დაკავების ოქმის შედგენა დაკავებისთანავე ობიექტური მიზეზით (მიზეზებით) შეუძლებელია, იგი უნდა შედგეს დაკავებულის პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე“. კვლევის შედეგად ჩანს, რომ დაკავების ოქმის შედგენის ადგილი ერთ-ერთი წინააღმდეგობრივი საკითხია, როდესაც ბრალდებისა და დაცვის მხარე სრულიად საწინააღმდეგო ინფორმაციას გვაწვდიან. პროკურორების უმრავლესობა ამბობს, რომ, ძირითადად, დაკავების ოქმის შედგენა დაკავების ადგილზე მყისიერად ხდება, ხოლო თუ დაკავების ოქმი სამართალდამცავ ორგანოებში ივსება, ესე იგი ეს ობიექტური მიზეზებითაა გამოწვეული, თუმცა აქვე ამბობენ, რომ ობიექტური გარემოებები შეფასებითი კატეგორიაა. ობიექტურ მიზეზებში პროკურორები ძირითადად დაკავების დროს ცუდ მეტეოროლოგიურ პირობებს, დაკავების ადგილის ცუდ განათებას, გარშემო შეკრებილი ხალხის დიდ ჯგუფს ან დაკავებული პირის მიერ წინააღმდეგობის გაწევას ასახელებს. ამისგან განსხვავებით, ადვოკატები მიუთითებენ, რომ დაკავების ოქმების უმრავლესობა სამართალდამცავ ორგანოში ივსება და დაკავების ადგილზე ოქმის შევსება სწორედაც რომ გამონაკლისი შემთხვევაა. რეგიონებში მოქმედი მოსამართლეები აღნიშნავენ, რომ დაკავების ოქმები დაკავების ადგილას ივსება, ხოლო თბილისში მოქმედი მოსამართლეები მიუთითებენ, რომ, ძირითადად, ოქმი პოლიციის განყოფილებებში ივსება. თუნდაც არააუცილებლობის შემთხვევაში დაკავების ოქმის პოლიციის განყოფილებაში შედგენა პრობლემურად არ მიაჩნიათ მოსამართლეებს და ვერ იხსენებენ შემთხვევებს, როდესაც დაცვის ოქმი, როდესაც მასში სხვა პრობლემა არ არის, სადავო გამხდარიყო მხოლოდ იმიტომ, რომ ის განყოფილებაში შეივსო. მოსამართლეთა მსგავსი პოზიცია ადასტურებს იმას, რომ გარდა ადვოკატებისა, დაკავების ოქმის შედგენის მანკიერ პრაქტიკას მთელი სამართალდამცავი სისტემა ამკვიდრებს და ამართლებს.

ადვოკატების თქმით, რეალური მიზეზი იმისა, თუ რატომ ივსება სამართალდამცავ ორგანოებში ოქმები, ის არის, რომ დამკავებელ პირებს ინდივიდუალუ-

რად ადგილზე ოქმის შევსება არ შეუძლიათ, ხოლო დაწესებულებაში 2-3 კაცია და ოქმის შევსებას ერთობლივად ახორციელებენ. პრობლემა იქიდანაც მომდინარეობს, რომ ოქმების „კოლექტიური“ შევსების უფლებას დამკავებელ პირებს სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელობაც აძლევს. ერთ-ერთი რეგიონის ადვოკატი იხსენებს კურორტულ შემთხვევებს, როდესაც ოქმის შესავსებად პირი სხვა რაიონიდან ან ქალაქიდან ჩამოჰყავთ. ერთ-ერთი გამოკითხული პროკურორი აღნიშნავს, რომ დაკავების შემთხვევაში პოლიციის წარმომადგენელი ტელეფონით მასთან გადის კონსულტაციას, რომ დაკავების ოქმში შეცდომა არ დაუშვას. ეს ფაქტი მიუთითებს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან დაკავების ოქმის შედგენის პროცედურების უცოდინრობაზე, რაც ადვოკატების მიერაც დასტურდება.

ადვოკატების უმრავლესობა მიუთითებს დაკავების ოქმთან დაკავშირებული ნორმების ხშირ დარღვევებზე, როდესაც არ ხდება ოქმის ასლის ბრალდებულისათვის გადაცემა. ადვოკატები მხოლოდ რამდენიმე შემთხვევას იხსენებენ, როდესაც ასლი რეალურად გადაეცა ბრალდებულს. დანარჩენ შემთხვევებში კი, დაკავებულ პირს უბრალოდ ხელს აწერინებენ, რომ მას ასლი გადაეცა. ასევე, არის შემთხვევები, როცა ბრალდებულს ეუბნებიან, დაკავების ოქმის ასლი შენ რად გინდა, შენს ადვოკატს მივცემთო, რითაც უხეშად არღვევენ დაკავების წესს.

როგორც ადვოკატები მიუთითებენ, უმრავლეს შემთხვევებში ოქმის შედგენის დრო და დაკავების დრო ერთმანეთს არ ემთხვევა, თუმცა ამის დადასტურება შეუძლებელია. ამიტომაც ამ საკითხზე სასამართლოში ძირითადად ზედაპირული მსჯელობით შემოიფარგლებიან, თუ სად მოხდა პირის დაკავება, რამდენ ხანში მივიდოდნენ დაკავების ადგილიდან სამართალდამცავ ორგანოში და ა.შ. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პირის დაკავების ამსახველი ვიდეო ჩანაწერების ამოღება ადვოკატებისათვის თითქმის შეუძლებელია. მოსამართლეები ოქმში აღნიშნული დროის და რეალურად დაკავების დროის შეუსაბამობაზე არ მსჯელობენ და ფიქრობენ, რომ ამ მხრივ პრობლემა არ არსებობს, იქიდან გამომდინარე, რომ ადვოკატები მსგავს დარღვევებზე არ შუამდგომლობენ. სპეციფიკური შემთხვევები ფიქსირდება მაღალმთიან სასაზღვრო ადგილებში, სადაც პირი შეიძლება მესაზღვრეებმა დააკავონ, რომელთაც არც დაკავების ოქმი აქვთ და არც შესაბამისი ტექნიკა, რომ ოქმი გააფორმონ, გაამრავლონ და ასლი დაკავებულს მისცენ. ამ შემთხვევაში პირის გადმოყვანა ცენტრალურ რეგიონულ დაწესებულებაში ხდება, რასაც შეიძლება 2 საათი დასჭირდეს, თუმცა ამ ტექნიკური და ბუნებრივი შეზღუდვების გამო მოსამართლე ამ ფაქტებს არაარსებით დარღვევებს უწოდებს.

დროის ფაქტორი პრობლემურად იკვეთება პირის პოლიციის შენობიდან დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანისასაც და მოიცავს დაკავების პირველი 48 საათის განმავლობაში ბრალდებულის ადგილსამყოფლის საკითხს. ადვოკატები ამტკიცებენ, რომ დაკავების დროსა და იზოლატორში ბრალდებული პირის შეყვანის დროს შორის არსებული დიდი შუალედი, როგორც წესი, გამოყენებულია ბრალდებულ პირზე ზეწოლის განსახორციელებლად. თუმცა ამას მოსამართლეები განხილვის დროს ყურადღებას არ აქცევენ და ადვოკატების იშვიათ შუამდგომლობებსაც კი არ აკმაყოფილებენ. დროის შეუსაბამობის პრობლემა ფიქსირდება მაშინაც, როდესაც სამართალდამცავებს პირი მოწმის სტატუსით სამართალდამცავ ორგანოებში მიჰყავთ

შემთხვევები, რომ პირი დაკავებიდან გაეთავისუფლებინოთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ნორმების გამო, ძალიან იშვიათია. ადვოკატები მიუთითებენ, რომ პროკურატურა არასდროს აღიარებს თავის მხრიდან ნორმების დარღვევას და ამის გამო რომც გაათავისუფლოს დაკავებიდან პირი, საბაზად მიუთითებს, რომ „პირის დაკავება საჭირო არ არის“. რაც შეეხება სასამართლოს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ადვოკატებს საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევის მტკიცებულებები აქვთ, ისინი ამ დარღვევებს არაარსებითაც მიიჩნევენ. ერთ-ერთ რეგიონში მოქმედი ადვოკატი იხსენებს ფაქტს, რომ დაკავების პროცედურების დარღვევის გამო სასამართლომ სწორად იმსჯელა და პირი დარბაზიდან გაათავისუფლა, თუმცა შემდგომ პროცესი გაგრძელდა და ამავე სასამართლომ ჩათვალა, რომ პროკურორის შუამდგომლობა პატიმრობასთან დაკავშირებით საფუძვლიანი იყო და ამავე პროცესზე თავიდან დააკავა პირი. მართალია, ადვოკატის მითითებით, ეს ფაქტი ნონსენსია, მაგრამ მეორე მხრივ, პოზიტიური ცვლილების მანიშნებელია, რომ სასამართლომ სწორად იმსჯელა. თუმცა რამდენიმე მოსამართლე ამგვარ პრაქტიკას მიუღებლად მიიჩნევენ, რადგან წარმოუდგენლად მიაჩნიათ, რომ სასამართლოს ერთ გადაწყვეტილებაში ჩაიწეროს „პირი გათავისუფლდეს დაკავებიდან და პირი დაკავებულ იქნეს“. ის მოსამართლეები, რომლებიც ამ პოზიციას იზიარებენ, თვლიან, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმების დარღვევა არასაპატიმრო გირაოს შეფარდებაში უნდა აისახოს. თუმცა არის მეორე ნაწილიც, რომელიც თვლის, რომ სასამართლოს მიუკერძოებლობის დასამტკიცებლად და სწორი პრაქტიკის დასანერგად კოდექსი უნდა აღსრულდეს და თუნდაც გათავისუფლება იყოს წამიერი, მსგავსი გადაწყვეტილება სასამართლომ უნდა მიიღოს.

დაკავებიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 176-ე მუხლის მეხუთე პუნქტი, რომლის მეხედვითაც, „იმის მიუხედავად, იქნება თუ არა დაკავებული მსჯავრდებული, მას უკანონო და დაუსაბუთებელი დაკავების შედეგად მიყენებული ზიანი სრული მოცულობით აუნაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამოქალაქო სამართალწარმოების წესით“. გამოკითხვის შედეგად დასტურდება, რომ ეს ნორმა მხოლოდ კანონში არსებობს და არაღვეტიმურია. ვერც მოსამართლეები, ვერც პროკურორები და ვერც ადვოკატები ვერ იხსენებენ ფაქტს, როდესაც დაკავებიდან გათავისუფლებულმა პირმა კომპენსაცია მოითხოვა. ამას რესპონდენტები კი ძირითადად ხალხის სამართალდამცავებთან ურთიერთობის ფარულ (ე.წ. ლატენტურ) შიშს უკავშირებენ, რომ იქით რომ უჩივლოს, შემდეგ მის მიმართ ზეწოლა განხორციელდება. მხოლოდ ერთი ადვოკატი თბილისიდან იხსენებს ერთ ფაქტს, როდესაც პირისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდება არასამართლიანად მიიჩნია სასამართლომ და პირი გაათავისუფლა, ხოლო შემდგომ ამ პირმა კომპენსაცია მოითხოვა და მიიღო.

ერთ-ერთი მოსამართლე აღნიშნავს, რომ ძალიან კარგი იქნებოდა, კომპენსაციებს ხშირად ითხოვდნენ დაკავებიდან გათავისუფლებული პირები, რადგან, როდესაც სახელმწიფოს გარკვეული ფინანსური ზიანი მიადგებოდა მისი ორგანოების მიერ ჩადენილი უკანონობის გამო, ეს ავტომატურად გამოიწვევდა საჯარო მოხელეებისა და სხვა უფლებამოსილი პირების ქმედებების კანონიერ ჩარჩოებში მოქცევას, გაზრდიდა მათი მხრიდან მიღებული სიფრთხილის ზომებს და ავტომატურად გამოიწვევდა უფლებების მაღალ დონეზე დაცვას.

დაკავებიდან გათავისუფლების საქართველოში არსებული პრაქტიკა სრულად შეესაბამება, ზოგადად, დაკავებების სტანდარტების დაცვის პრაქტიკას. ის ხასიათდება ძირითადად სამართალდამცავი ორგანოების უპირატეს მდგომარეობაში ყოფნით, რომელსაც შეუძლია ერთი მიზეზით გაათავისუფლოს პირი, მაგრამ სხვა მიზეზი მიუთითოს, ერთ ნორმაში თავად მის მიერ დაშვებული შეცდომის გამო კი არ გაათავისუფლოს პირი, არამედ არასაპატიმრო გირაო შეუფარდოს და ა.შ. სამართალდამცავი ორგანოების უპირატეს მდგომარეობაში ყოფნა იმაშიც გამოიხატება, რომ, მიუხედავად დაკავებიდან გათავისუფლების უამრავი შემთხვევისა, არც ერთ გათავისუფლებულ პირს აზრადაც არ მოსდის, მოითხოვოს კომპენსაცია, რადგან მთავარია სამართალდამცავ ორგანოებს თავი დააღწიოს და მათი მხრიდან რეგანში აიცილოს თავიდან.

დაკავების პროცესთან დაკავშირებული სისტემა

საქართველოში დაკავების პროცესის სტანდარტების და პრაქტიკის ზემოთ წარმოდგენილი დახასიათებისას გამოვლინდა, რომ ამ პროცესში ხშირია პრობლემები, ნორმების დარღვევა, რაც ავტომატურად ადამიანის უფლებების დარღვევას იწვევს.

საკითხის სიღრმისეული ანალიზის და არასწორი პრაქტიკის დამკვიდრების საწყისების გამოვლენის მიზნით, სქემატურად წარმოვიდგინეთ დაკავების პროცესის განხორციელებაში ჩამოყალიბებული სისტემა (იხ. გრაფიკი #1).

დაკავების პროცესთან დაკავშირებული სისტემის მთავარი შემადგენელი ოთხი ელემენტია: **კანონმდებლობა, აქტორები (საპროცესო მოქმედებები მონაწილეები), სამართალდამცავი ორგანოების სტრუქტურა და საზოგადოება**. თითოეული ეს ოთხი ელემენტი თავისი ნიშნებით ხასიათდება, რომლებიც გავლენას ახდენენ დაკავების პროცესის მიმდინარეობაზე. დავახასიათოთ თითოეული ელემენტი თავისი ნიშნებით.

კანონმდებლობა ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც განსაზღვრავს დაკავების პროცესის სამართლებრივ ჩარჩოებს და მისი აღსრულების ნორმებს. დაკავების პროცესთან დაკავშირებული კანონმდებლობა ითვალისწინებს ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის საკითხებს და როგორც რესპონდენტთა უმრავლესობა მიუთითებს, ის საკმაოდ გამართული და პროგრესულია. მიუხედავად ამისა, კანონმდებლობასთან დაკავშირებით იკვეთება სამი საკითხი, რომლებიც ხელს უწყობენ დაკავების პროცესის ხარვეზებით განხორციელების პრაქტიკის ჩამოყალიბებას. ეს სამი საკითხია: კანონში არსებული **სამართლებრივი ხარვეზები, კანონში არსებული „ღია სივრცეები“** და დაკავების პროცესის სამართლებრივი სტანდარტების შეუსაბამო პრაქტიკა. **(მესამე საკითხიც საკითხიც გააშავეთ)**

დაკავების სტანდარტთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში ფიქსირდება შემდეგი ხარვეზები:

- საქართველოს კანონმდებლობით, თუკი პირი დაკავებულია, სასამართლოს არ აქვს უფლება, მას აღკვეთის ღონისძიებად არასაპატიმრო გირაო შეუფარდოს;

- მოსამართლის განჩინება პირის დაკავების თაობაზე არც დაცვის და არც ბრალდების მხარის მიერ არ საჩივრდება.

დაკავების პროცესთან დაკავშირებული კანონმდებლობა არაერთ ხარვეზს მოიცავს, რომელთა გამოსწორება სამომავლოდ დაკავების სტანდარტების და პრაქტიკის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ დაკავების სტანდარტებში არსებობს მთელი რიგი „ღია სივრცეები,“ რომელთა არსებობაც დაკავების პროცესში მონაწილე მხარეებს არასამართლებრივი და მიკერძოებული მოქმედების საშუალებას აძლევს. კერძოდ:

- საქართველოს კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებული პირის გადაყვანის დრო;
- მიუხედავად იმისა, რომ კანონის სწორი ინტერპრეტაციის შემთხვევაში მოსამართლე ვალდებულია, დეტალურად შეისწავლოს დაკავების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მიუხედავად იმისა, ადვოკატი დააყენებს თუ არა შუამდგომლობას, აღნიშნული მოთხოვნა არ სრულდება. ამასთან, ბუნდოვანია, თუ როდის უნდა მოხდეს სასამართლო პროცესზე დაკავების პროცესთან დაკავშირებული საკითხების და ადვოკატთა შუამდგომლობების განხილვა. სასურველი იქნება აღნიშნული გარემოებების დაკონკრეტება საკანონმდებლო დონეზე;
- ჯანმრთელობის შემოწმების უფლებაზე და ადვოკატის უფლებაზე უარის თქმის შემთხვევების ცალკე ოქმით დადასტურების არარსებობა;
- დაკავების ოქმი თუკი გადაეცემა ბრალდებულს, უმეტეს წილად ეს ხდება გვიან (პრაქტიკაში დაკავებული პირი ხელს აწერს უფლებამოსილი პირის ხელის მოწერის შემდეგ სამართალდამცავ ორგანოში, რაც ნიშნავს, რომ მისთვის მირანდას უფლებების გაცნობა ყოვნდება, ოქმი გვიან გადაეცემა და ირღვევა მისი უფლებები), სასურველია ოქმის გვიან გადაცემა გაიგივდეს არგადაცემასთან;
- პირების მოწმის სახით დაკითხვისა და ბრალის წაყენების პროცესის რეგულირება: სასურველია მოწმედ დაკითხვის დრო გათვალისწინებულ იქნეს დაკავების 48 საათიან პერიოდში, თუკი დაკითხვის შემდგომ ხორციელდება პირის ბრალდებულად დაკავება.

დაკავების პროცესთან დაკავშირებული რიგი სტანდარტების დარღვევა დამკვიდრებული პრაქტიკის ნაწილია.

- დაკავების განხორციელება საამისოდ აუცილებელი საფუძვლების (პირი მიიძალება, არ გამოცხადდება, ჩაიდენს ახალ დანაშაულს ან ზეწოლას მოახდენს მოწმეზე) დაუსაბუთებლობა როგორც განჩინებით დაკავებისას, ასევე გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში;
- განჩინების გარეშე დაკავების როგორც გამონაკლისის გამოყენება;

დადებითად აფასებს და აღნიშნავს, რომ, განსაკუთრებით 2013-2014 წლებში ალკვეთის ღონისძიებების შეფარდების სამართლებრივ საფუძვლებთან და დაკავების პროცესთან დაკავშირებით ადვოკატები გააქტიურდნენ და შედარებით ხშირად აკეთებენ ამ საკითხების წინწამოწევას. მოსამართლეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ადვოკატების უმრავლესობა არ არის მაღალკვალიფიციური იურისტი, ისინი ბრალდებაზე დამოკიდებულ მხარედ გამოდიან და არა თანაბარმოქმედ და ბრალდების საპირწონე მხარედ. უფრო მეტიც, ერთ-ერთი მოსამართლის თქმით, მისი პრაქტიკიდან იკვეთება, რომ მაგალითად პირად თავდებობას ადვოკატები თითქმის არ იყენებენ, არ აყენებენ შუამდგომლობას, არ ეძებენ მოწმეს და არ აგროვებენ შესაბამის დოკუმენტაციას. მოსამართლეების თქმით, ადვოკატების ძალიან მცირე ნაწილი იცის სასამართლო პრაქტიკა და ძალიან მცირე ნაწილი ამოწმებს დოკუმენტაციას დეტალურად, სწორედ ამიტომაც ძალიან იშვიათია შუამდგომლობა ალკვეთის ღონისძიების დაუსაბუთებლობასთან დაკავშირებით. მოსამართლეთა თქმით, ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ სასამართლოს ისე გაუთავისუფლებია პირი სასამართლო დარბაზიდან, რომ ადვოკატს გაჰკვირვებია. თუმცა იგივე მოსამართლეები აღნიშნავენ, რომ არიან ადვოკატები, რომლებსაც სასამართლო მსჯელობისას მოჰყავთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების პრეცედენტები, ევროკონვენციის მუხლები, სასამართლო პრაქტიკა, უზენაესის გადაწყვეტილებები და მაღალკვალიფიციურ დაცვას ახორციელებენ.


დაკავების სტანდარტებსა და პრაქტიკაზე გავლენის მექანე მესამე ელემენტი არის სამართალდამცავი ორგანოების **სტრუქტურა**. სამართალდამცავ ორგანოებში სასამართლოს და პროკურატურას როგორც ექსპლიციტურად, ასევე იმპლიციტურად იერარქიული პოზიცია უკავია როგორც დაცვის მხარესთან, ასევე ზოგადად საზოგადოებაში. უფრო მეტიც, ზოგჯერ იერარქიული მიმართება იკვეთება სასამართლოსა და პროკურატურას შორის. რიგ შემთხვევებში იმის მაგივრად, რომ სასამართლო გამოდიოდეს არბიტრი, რომელიც დამოუკიდებელი და ზემდგომია, ის გამოდის მიკერძოებული ბრალდების მხარის სასარგებლოდ, მიჰყვება პროკურატურის ნებას და მისი „შეკვეთის დამკანონებელი“ გამოდის.

შესაბამისად, სამართლებრივი პროცესების მიმდინარეობის მსგავს იერარქიულ სტრუქტურაში, რომლის თავში შეუზღუდავი ძალაუფლებით აღჭურვილი პროკურატურა გვევლინება, სხვა ყველა ინსტანციის მოქმედება შესუსტებულია. ადვოკატების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ისინი ერიდებიან სასამართლოსთან დაკავების წესების დარღვევის შესახებ შუამდგომლობებს, რადგან მიაჩნიათ, რომ გამოიწვევენ სასამართლოსა და ბრალდების მხარის გულისწყრომას, რომელიც ზოგადად გაურთულებს საკითხს ბრალდებულს და საპროცესო გარიგება, რომლის მიღწევა თითქმის ყველა ადვოკატისთვის პრიორიტეტია, ძნელად შედგება. ადვოკატების მეორე ნაწილი აღნიშნავს, რომ, რაც არ უნდა დამოუკიდებელი იყოს სასამართლო, მოსამართლეები რთულად უყურებენ დაკავების უკანონოდ ცნობის საკითხს. ისინი უაპელაციოდ იღებენ დაკავებასთან დაკავშირებით პროკურორების მიერ დაუსაბუთებელ შუამდგომლობებს ან საფუძვლიანი ეჭვის გარეშე გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული პირების დაკავების შემთხვევებს და ახდენენ მათ „ლეგალიზაციას“. სამართალდამცავი ორგანოების იერარქიული სტრუქტურა საზოგადოების წევრებზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ადვოკატები აფიქსირებენ შემთხვევებს, როდესაც ბრალდებულები არიან ძალ-

ზე დაშინებული. ნაცემი ბრალდებულებიც კი უარყოფენ მათზე პოლიციაში ფიზიკური ზეწოლის ფაქტს, რადგან არ გადაიკიდონ პოლიცია, მიაღწიონ საპროცესო გარიგებას და, ნებისმიერ ფასად, თავი აარიდონ სამართალდამცავ ორგანოებს. სწორედ ამიტომ არავის უკვირს ის ფაქტი, რომ გათავისუფლებული პირები სამოქალაქო წესით არ ითხოვენ კომპენსაციას.

ბოლო ფაქტორი, რომელიც სუსტად და ირიბად, მაგრამ მაინც გავლენას ახდენს დაკავების პროცესის სტანდარტებსა და პრაქტიკაზე არის **საზოგადოება**. რესპონდენტების საუბრებიდან იკვეთება, რომ მოქალაქეთა უმრავლესობა არ არის ინფორმირებული თავისი უფლებების შესახებ, აქვს არასწორი ინფორმაცია და ძალზე იოლად ემორჩილება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების ნებას. მეორე მხრივ კი, სწორედ წინა ელემენტის - იერარქიული სტრუქტურის - გავლენით მოქალაქეებს აქვთ ფარული შიში სამართალდამცავი ორგანოების, ამიტომ ნებისმიერ ფასად ცდილობენ პროცესს თავი დააღწიონ ისე, რომ არ გაანაწიყნონ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები და რეალური თუ წარმოსახვითი საპასუხო ქმედება თავიდან აიცილონ.

გრაფიკი #1: დაკავების სისტემა



თავი VI. დასკვნა და რეკომენდაციები

სიღრმისეული მეთოდის გამოყენებით საქართველოს 8 ქალაქში მოქმედ 56 ადვოკატთან, მოსამართლეებთან და პროკურორებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით განხორციელდა საქართველოში პირის დაკავებისას არსებული სტანდარტებისა და პრაქტიკის კვლევა. ზოგადი შეფასებით, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დაკავების სტანდარტები და პრაქტიკები გაუმჯობესებულია და დაახლოებულია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან. თუმცა კვლევის შედეგად გამოვლინდა როგორც დაკავების სტანდარტების ნაკლოვანებები, ასევე მათი განხორციელების პროცესში დამკვიდრებული ნაკლოვანი პრაქტიკა.

დაკავების პროცესი, რომელიც ძირითადად სასამართლო განჩინების საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს, უმეტესწილად გადაუდებელი აუცილებლობის საბაბით განჩინების გარეშე ხორციელდება. პროკურორთა შუამდგომლობები განჩინების მოპოვების დროს, ისევე როგორც გადაუდებელი აუცილებლობის დასაბუთებისას სუსტია და არ პასუხობს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს. საკმაოდ ხშირად ხდება დაკავების წესის აღსრულებისას ნორმების დარღვევა. გვხვდება პრობლემები მირანდას უფლებების განმარტებასთან, დაკავების დროის დაფიქსირებასთან, პირის ზეწოლასთან, ადვოკატის მომსახურების შეზღუდვასთან, დაკავების ოქმის დაკავების ადგილზე შევსებასთან, ოქმის ასლის დაკავებული პირისთვის გადაცემასთან დაკავშირებით. მსგავს ხარვეზებზე იშვიათად მიუთითებენ მოსამართლეები, რადგან მათივე განმარტებით, ამ დარღვევებზე ნაკლებად შუამდგომლობს დაცვის მხარე. ადვოკატების განმარტების თანახმად, ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ალკვეთის ღონისძიების განხილვა ხდება ძალიან მოკლე დროში და ადვოკატებს არ აქვთ დრო მტკიცებულების შესაგროვებლად. როდესაც არსებითი განხილვისთვის უკვე აქვთ მტკიცებულებები, სასამართლო მათ აღარ იხილავს. გარდა ამისა, ადვოკატებს აქცენტი საპროცესო შეთანხმებაზე გადააქვთ და სასამართლოს ან პროკურატურის „არგალიზიანების“ მიზნით, ზედმეტად აღარ აკეთებენ საპროცესო დარღვევებზე აქცენტს.

ზოგადად, საპროცესო მოქმედებებში ჩართულ პირებს (პროკურორებს, მოსამართლეებს და ადვოკატებსაც კი) აქცენტი საქმის არსებით მხარეზე გადააქვთ და ყურადღების მიღმა რჩებათ დაკავების პროცედურული მხარეების დაცვა. მსგავს ვითარებაში ადვოკატები ბრალდების მხარეზე არიან „აწყობილე-

ბი“ და ძირითადად ორიენტაციას იღებენ, რაც შეიძლება მარტივად მიაღწიონ არასაპატიმრო ღონისძიების შეფარდებას. იმ შემთხვევაში, როდესაც კვალიფიციური ადვოკატები ცდილობენ დარღვევებზე ყურადღების გამახვილებას, სასამართლო ხშირად რეაგირების გარეშე ტოვებს მსგავს ფაქტებს და ადვოკატების შუამდგომლობას არ აკმაყოფილებს „არაარსებითი ხასიათის დარღვევის“ გამო.

აბსტრაქტული შეფასების მიზნით დაკავების პროცესთან დაკავშირებულ სისტემაში შეიძლება გამოვყოთ ოთხი ელემენტი: კანონმდებლობა, აქტორები (საპროცესო მოქმედებების მონაწილეები), სტრუქტურა და საზოგადოება. ოთხივე ელემენტს თავისი პრობლემები გააჩნია და მათი ხარვეზები არაერთმნიშვნელოვან გავლენას ახდენს დაკავების სტანდარტებსა და პრაქტიკაზე.

ნეგატიური გავლენის მიხედვით, ყველაზე უფრო პრობლემური სამართალდამცავი ორგანოების იერარქიული სტრუქტურაა, რომელიც გავლენას ახდენს სასამართლო პროცესის წარმართვაზე, ადვოკატების აქტივობაზე, საზოგადოების წევრების ფარულად შიშზე, რის გამოც, მზად არიან, აიტანონ მათი უფლებების დარღვევა. შემდეგ პრობლემურია თავად სამართლებრივი ჩარჩო.

როგორც კვლევის შედეგებიდან გამოვლინდა, დაკავების შესახებ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს აქვს ხარვეზები, გარდა ამისა ის ტოვებს არარეგულირებად საკითხებს, რომლებითაც ხელს უწყობს პირის დაკავების მანკიერი პრაქტიკის დამკვიდრებას. მცირე, მაგრამ მაინც გვხვდება ლეგალური ხარვეზები კანონმდებლობაში, რომელთა შეცვლაც მნიშვნელოვანია.

ნეგატიური გავლენის სიდიდის მიხედვით, მესამე ადგილზე საპროცესო მოქმედებების მონაწილეები დგანან. ზოგადად სამივე რგოლის წარმომადგენელთა კვალიფიკაცია დადებითად ფასდება, თუმცა მოსამართლეთა შემთხვევაში აქცენტირებულია მათი მიკერძოებულობა ბრალდების სასარებლოდ, მათი დაკავებულობა და დატვირთულობა პროკურორების შემთხვევაში ვლინდება მათ მიერ ძალაუფლების გადამეტებაში და ძველი პრაქტიკის გაგრძელებაში ბრალდებულებზე ზეწოლის განხორციელების გზით მტკიცებულებათა და აღიარებათა მოპოვებისათვის.

დაბოლოს, ადვოკატების კვალიფიკაცია ყველაზე ხშირად დგება ეჭვქვეშ, როდესაც ისინი თავისი არაკვალიფიციურობიდან გამომდინარე, არა დამოუკიდებელ და ძლიერ, არამედ ბრალდებაზე დამოკიდებულ მხარედ გამოდიან.

ყველაზე ნაკლები ინტენსივობის, თუმცა მაინც მნიშვნელოვანი მეოთხე ელემენტია საზოგადოება. კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ მოქალაქეებს ზოგადად ადამიანის უფლებებზე და კონკრეტულად დაკავების პროცესებზე ინფორმაცია არ აქვთ. ზეწოლისა და არაინფორმირებულობის გამო დაკავებული პირები ხშირად გაუცნობიერებლად აწერენ ხელს ოქმებს, უარს აცხადებენ ადვოკატის, ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების უფლებებზე. მოქალაქეები ფარულად ატარებენ სამართალდამცავი ორგანოების მიმართ შიშს და მაქსიმალურად ცდილობენ მათთან მშვიდობიანად და სწრაფად „მოაგვარონ“ ურთიერთობა.

დაკავების სტანდარტების და პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა ზოგადი და კონკრეტული რეკომენდაციები.

ზოგადი რეკომენდაციები

- დაკავების პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია, მის განხორციელებაში ჩართული საპროცესო მოქმედებებში მონაწილეების - მოსამართლეების, პროკურორების, დაკავების უფლებამოსილების მქონე პირების, ადვოკატების კვალიფიკაციის ამაღლება (დაკავების საფუძვლების და დაკავების წესის ირგვლივ) და მათი მხრიდან დაკავების მაღალი სტანდარტების პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა;
- აუცილებელია სამოქალაქო ცნობიერების დონის ამაღლება პირის დაკავების საფუძვლებისა და პროცედურების შესახებ. სასურველია, ინფორმაცია დაკავებული პირის უფლებების შესახებ გავრცელდეს საინფორმაციო საშუალებების (საზოგადოებრივი მაუწყებელი, რადიო, და ა.შ.) და სოციალური ქსელების გამოყენებით, რაც შეიძლება განხორციელდეს სახელმწიფოს მიერ არასამთავრობო სექტორთან ერთობლივი თანამშრომლობით;
- გამოცდილების გაზიარების მიზნით მიზანშეწონილია, გარკვეული პერიოდულობით შეხვედრების ორგანიზება მოსამართლეთა, პროკურორთა და ადვოკატების მონაწილეობით.

წარმოდგენილი ზოგადი რეკომენდაციები მეტ-ნაკლებად აბსტრაქტულ ხასიათს ატარებს. ქვემოთ წარმოდგენილი კონკრეტული რეკომენდაციების განხორციელებას კი, მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად, საპროცესო მოქმედებებში მონაწილე ინსტიტუტების კეთილი ნება ესაჭიროება.

რეკომენდაციები დაკავების საფუძვლების შესახებ

1. **პირის დაკავება განჩინების გარეშე ვ. პირის დაკავება განჩინების საფუძველზე** - კვლევის ფარგლებში სამართალდამცავი ორგანოებიდან და სასამართლოდან მოთხოვნილ იქნა სტატისტიკური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა პროცენტული ურთიერთმიმართება არსებობს პირის სასამართლო განჩინებით დაკავებასა და ე.წ. გადაუდებელი აუცილებლობით დაკავებას შორის. სამწუხაროდ, სტატისტიკის გაანალიზება ვერ მოხერხდა, რადგან მიღებული წერილების თანახმად, აღნიშნული ტიპის ინფორმაციის შეგროვება არ ხორციელდება სამართალდამცავი ორგანოების ან სასამართლოს მიერ. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ინტერვიუების დროს გამოვლინდა შემდეგი ტენდენცია, რომლის მიხედვით, ბრალდება და დაცვა ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციას იზიარებენ: პროკურორები ცალსახად მიიჩნევენ, რომ განჩინების საფუძველზე პირის დაკავების ფაქტები ჭარბობს, ხოლო ადვოკატთა მოსაზრებით, დაკავების უდიდესი ნაწილი ხდება გადაუდებელი აუცილებლობის ფარგლებში.

მოსამართლეებს შუალედური პოზიცია უკავიათ. აღნიშნული დამოკიდებულება ცხადყოფს, რომ პირის დაკავება განჩინების გარეშე არ წარმოადგენს საგამონაკლისო შემთხვევას და სამართალდამცავი ორგანოები განჩინებით პირის დაკავების მაგიერ უპირატესობას განჩინების გარეშე დაკავებას უჭერდნენ მხარს.

- 2. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი პირის განჩინებით დაკავების შემთხვევაში** - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის თანახმად, მოსამართლის მიერ ზეპირი მოსმენის გარეშე პირის დაკავების თაობაზე განჩინების გამოტანისთვის ძირითადი საფუძველია დასაბუთებული ვარაუდის არსებობა, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც, სასჯელის სახით, გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა. შესაბამისად, მოსამართლე ვალდებულია, შეამოწმოს აღნიშნული საფუძვლის არსებობა ან არარსებობა და მხოლოდ დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში გადავიდეს დამატებითი საფუძვლების, ე.წ. საფრთხეების (მიმალვა, არგამოცხადება და ა.შ.) შეფასებაზე. განჩინების ოქმების შესწავლამ ცხადყო, რომ პრაქტიკაში პირველ ნაწილთან დაკავშირებით უარყოფითი შეფასების მიუხედავად, რაც ავტომატურად პირის დაკავებაზე უარის თქმის საფუძელია, მოსამართლეები აგრძელებენ დამატებითი საფუძვლის ან/და საფუძვლების შეფასებას. ამასთან, პროკურორები თავიანთ შუამდგომლობებში ისევე როგორც მოსამართლეები, განჩინების დასაბუთებისას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ დაკავების ძირითად საფუძველს და პირდაპირ დამატებითი საფუძვლების დასაბუთებით შემოიფარგლებიან.

ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, პროკურორების მიერ შუამდგომლობის მომზადებისას და მოსამართლეების მიერ განჩინების დასაბუთებისას გათვალისწინებულ იქნეს ძირითადი საფუძველი და მხოლოდ აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდგომ მოხდეს დამატებითი საფუძვლების შეფასება.

- 3. პროკურორის შუამდგომლობა პირის დაკავებაზე** - კვლევის ფარგლებში გამოამკარავდა, რომ ხშირად პროკურორი თავის შუამდგომლობაში შემოიფარგლება დაკავების საფუძველსა და პირობებზე მხოლოდ ზოგადი მითითებით, რომელსაც არ ახლავს არავითარი დასაბუთება, ფაქტებსა და ინფორმაციაზე მითითებით. კვლევის ავტორებს მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მიდგომა არ აკმაყოფილებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული და, ამასთანავე, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი მიიმალება და ა.შ.

თუკი პროკურორი შუამდგომლობაში უთითებს პირის დაკავების სხვადასხვა ან ყველა არსებულ დამატებით საფუძველს, მაგრამ დასაბუთება ახლავს მხოლოდ ერთს, მაშინ სასამართლომ პირის დაკავების აუცილებლობასა და მიზანშეწონილობაზე უნდა იმსჯელოს მხოლოდ ამ ერთი დასაბუთებული დამატებითი საფუძვლის მიხედვით (ესეც მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული).

- 4. მოსამართლის მიერ საფუძვლების შეფასება პროკურორის შუამდგომლობაში დაყენებული მოთხოვნის საფუძველზე** - კვლევის ფარგლებში შესწავლილი განჩინებებით გამოვლინდა, რომ რიგ შემთხვევებში მოსამართლე

განჩინებაში დამატებით მიუთითებს დაკავების ისეთი გარემოების (პირობის) არსებობაზე, რომელიც არ იყო მითითებული პროკურორის შუამდგომლობაში ან პირიქით, მოსამართლე სრულად და ამომწურავად არ მსჯელობს პროკურორის შუამდგომლობაში მითითებული დაკავების ყველა საფუძველსა და პირობის შესახებ, რომელიც გამყარებულია ფაქტებით და მონაცემებით. აღსანიშნავია, რომ მსჯელობა მნიშვნელოვანია, მიუხედავად იმისა, მოსამართლე დააკმაყოფილებს თუ არ დააკმაყოფილებს პროკურორის მოთხოვნას.

თუკი პროკურორის მიერ შეტანილი შუამდგომლობა პირის დაკავებაზე შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს (მაგალითად: მასში მითითებულია დაკავების პირობები, მაგრამ არ არის მითითება დაკავების საფუძველის შესახებ, შუამდგომლობაში მითითებულია დაკავების ისეთ საფუძველზე ან პირობაზე, რომელსაც არ ითვალისწინებს საპროცესო კანონი და სხვა), მოსამართლემ თავის განჩინებაში უნდა მიუთითოს ასეთ ხარვეზზე, მიუხედავად იმისა, აკმაყოფილებს თუ არ აკმაყოფილებს შუამდგომლობას;

პროკურორის შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე არ უნდა დააკმაყოფილდეს მხოლოდ იმის შემოწმებით, რომ საქმეში წარმოდგენილია გარკვეული მასალები, არამედ უნდა დაადგინოს, საქმეში არსებული მასალებით ნამდვილად დასტურდება თუ არა პირის დაკავებისათვის საჭირო საფუძველი და პირობების არსებობა.

5. პირის დაკავების შესახებ სასამართლო განჩინების დასაბუთება - დაუშვებელია, სასამართლოს მხრიდან განჩინების მხოლოდ ზოგადი შინაარსის ფრაზებით დასაბუთება: რომ პროკურორის შუამდგომლობა დასაბუთებულია; რომ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენაზე და ა.შ. სასამართლოს განჩინება პირის დაკავებაზე უნდა ეყრდნობოდეს კონკრეტულ გარემოებებზე მითითებასა და დასაბუთებას. ასეთივე მოთხოვნა წაეყენება სასამართლოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ის არ აკმაყოფილებს შუამდგომლობას.

სასამართლოს განჩინებაში პირის დაკავების საფუძველად მითითებული უნდა იყოს მხოლოდ ის გარემოებები, რომელთა რეალურად არსებობა დასტურდება საქმის მასალებით/ფაქტებით/მონაცემებით და არა ყველა საფუძველი, რაც პროკურორს აქვს მითითებული შუამდგომლობაში დაუსაბუთებლად.

6. დაკავების კანონიერების შეფასება - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 176-ე მუხლი ეხება დაკავებიდან გათავისუფლებას, რომლის თანახმად, დაკავებული უნდა გათავისუფლდეს, თუ არ დადასტურდა ეჭვი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული ან დაკავებისას არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნა. გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი ან მოსამართლე. კვლევის ფარგლებში გამოჩნდა, რომ წამყვანი პოზიციის თანახმად, მოსამართლე უფლებამოსილია, მხოლოდ შეამოწმოს პირის დაკავების წესის პროცედურები და არა დაკავების საფუძველები. აღნიშნული ეწინააღმდეგება დაკავების კანონიერების შეფასების პროცედურულ გარანტიას, რომლის თანახმად, ფასდება როგორც დაკავების საფუძველები (შინაარსი), ასევე დაკავების პროცედურები. შესაბამისად, კვლევის ავტორებს მიგვაჩნია, რომ

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში უფრო ცხადად უნდა განისაზღვროს მოსამართლის ვალდებულება პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობის განხილვისას. შეამოწმოს, ბრალდებულის დაკავებისას ხომ არ იყო დარღვეული მისი უფლებები, არსებობდა თუ არა დაკავების საფუძველი და პირობები, ხოლო თავის განჩინებაში ჯეროვნად იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე შესაბამისი დასაბუთებით. აღნიშნულის ვალდებულება მოსამართლეს უნდა დაეკისროს მაშინაც კი, როცა სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილი ბრალდებული არ არის დაკავებული და მის მიმართ პროკურორი შუამდგომლობს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას, რა დროსაც მოსამართლემ უნდა გაარკვიოს, იყო თუ არა ბრალდებული დაკავებული, კანონიერი იყო თუ არა მისი დაკავება და ხომ არ დაირღვა მისი უფლებები დაკავებისას.

7. სააპელაციო სასამართლოების საგამოძიებო კოლეგიების პრაქტიკა - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მეორე პარაგრაფის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების გასაჩივრებისას „შესაძლოა აგრეთვე მიეთითოს რა არსებითი მნიშვნელობის მექონე საკითხები და მტკიცებულებები არ გამოიკვლია ან არ შეაფასა პირველი ინსტანციის სასამართლომ“. აღნიშნული ჩანაწერი იძლევა საშუალებას, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მიერ მხარის დაკავების კანონიერების შესახებ პირველი ინსტანციის მოსამართლის მიერ დაუკმაყოფილებელი საჩივრის განხილვის შესაძლებლობა. აღნიშნული ფაქტი გავლენას არ მოახდენს აღკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხზე, მაგრამ საშუალებას მისცემს მაგ., დაცვის მხარეს, იდაოს დაკავების უკანონობის შესახებ და საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოითხოვოს კომპენსაცია უკანონო დაკავებისათვის.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოების საგამოძიებო კოლეგიების იმ მოსამართლეებს, რომლებიც იხილავენ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების თაობაზე შეტანილ მხარის საჩივარს. კერძოდ, მხედველობაშია ის გარემოება, რომ ამ დროს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლემ საფუძველიანად უნდა შეამოწმოს – იყო თუ არა ბრალდებული დაკავებული ამ საქმეზე, დაკავების შემთხვევაში დაირღვა თუ არა მისი უფლებები და, რაც მთავარია, პირველი ინსტანციის სასამართლომ იმსჯელა თუ არა ამ საკითხზე და მოახდინა თუ არა რეაგირება აღმოჩენილ დარღვევებზე. ყოველივე ამან კი სათანადო ასახვა უნდა პოვოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის მიერ საჩივრის თაობაზე გამოტანილ განჩინებაში.

განსაკუთრებით დაუშვებელია აღკვეთის ღონისძიების საკითხთან დაკავშირებით მხარის მიერ შეტანილი საჩივრის განხილვისას და განჩინების გამოტანისას საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლემ მხარი აუაროს და არ იმსჯელოს პირის დაკავებისა თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ პირის დაკავებიდან გათავისუფლების კანონიერების შესახებ მაშინ, როდესაც ამ საკითხს პირდაპირ აყენებს დაცვის ან ბრალდების მხარე, ანუ ამ ნაწილში საჩივრის უპასუხოდ დატოვება. ასევე დაუშვებელია აღნიშნულ საკითხზე საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის მიერ თავის განჩინებაში პასუხის გაცემა მხოლოდ ზოგადი ფრაზებით, კონკრეტული და საფუძველიანი მსჯელობისა და დასაბუთების გარეშე.

8. **სასამართლო გადაწყვეტილების/განჩინების განჭვრეტადობა და დასაბუთებულობა** - განჩინებების შესწავლისას გამოვლინდა ტენდენცია, როდესაც ერთი და იგივე მოსამართლის მიერ იდენტურ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებაში მიღებულია განსხვავებული გადაწყვეტილება. ამასთანავე, გვხვდება საქმეები, რომელთა დაკავშირებით ტექსტობრივად იდენტური და დაუსაბუთებული შუამდგომლობები პირის დაკავების მოთხოვნით, შეტანილი აქვს ერთი და იგივე პროკურორს, რომლებიც ასევე განხილულია და დაკმაყოფილებული აქვს ერთი და იგივე მოსამართლეს განჩინებით, რომლის სამოტივაციო ნაწილში იდენტურად გადატანილი აქვს შუამდგომლობის ტექსტობრივი ამონარიდები რაიმე შეფასების გარეშე. აღნიშნული ფაქტი არ არის დამახასიათებელი იმ რეგიონებისათვის, სადაც მოსამართლის და პროკურორის რაოდენობა საკმაოდ მწირია (ერთი მოსამართლე და ერთი პროკურორი).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია პროკურორის მიერ თავისი შუამდგომლობის დასაბუთება ისევე, როგორც მოსამართლის მიერ არსებითად მსჯელობა განჩინების სამოტივაციო ნაწილში ობიექტურობის საკითხთან მიმართებაში, შესაძლო ეჭვის გაქარწყლების მიზნით. ამასთანავე, პირის დაკავების შესახებ განჩინებების და აღვეთის ღონისძიების შეფარდების დროს როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეების, ისე სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეების მიერ პირის დაკავებისა და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებები უნდა იყოს განჭვრეტადი და დასაბუთებული.

დაკავების წესი და დაკავებული პირის უფლებები

9. **დაკავებული პირის დაკავებისთანავე დაუყოვნებლივ დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსება** - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 174-ე (დაკავების წესი) და 175-ე (დაკავების ოქმი) მუხლების თანახმად, დაკავებული პირის გადაყვანა ხორციელდება პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში. აღნიშნულ მუხლებში არსად არ არის მითითებული ის გარემოება, რომ დაკავებული პირის გადაყვანა უნდა მოხდეს დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მისი უსაფრთხოება და არდაქვემდებარება ზეწოლას ან არასათანადო მოპყრობას სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან. ამასთან, არსებული ჩანაწერები დღეისათვის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს აძლევს საშუალებას, რომ დაკავებული პირი პოლიციის დაწესებულებაში იმყოფებოდეს საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში და იქ ის დაექვემდებაროს ზეწოლას და არასათანადო მოპყრობას. ფაქტობრივად შესაძლებელია, რომ პირი პირველი 48 საათის განმავლობაში არც კი მოხვდეს დროებითი მოთავსების იზოლატორში საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მოტივით.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამის მუხლებში პოლიტიკური დაწესებულება/სამართალდამცავი ორგანო შეიცვალოს დროებითი მოთავსების იზოლატორით. ამასთან, დაკონკრეტდეს, რომ დაკავებული პირის გადაყვანა უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ.

10. **დაკავებულისთვის დაკავების ოქმის ასლის გადაცემის საკითხი** - კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ პრაქტიკაში ძალზე იშვიათია შემთხვევა, როდესაც დაკავებულ პირს განემარტა და გადაეცა დაკავების ოქმის ასლი, რაც, თავის მხრივ, დაკავებული პირის დაუყოვნებლივ გათავისუფლების საფუძველია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 175-ე მუხლის მე-4 პარაგრაფის თანახმად. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ, თუ დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებული პირის შესახლებისას აღნიშნულ პირს არ აღმოაჩნდა დაკავების ოქმის ასლი, დროებითი მოთავსების იზოლატორმა არ უნდა მიიღოს აღნიშნული პირი. აღნიშნული ჩანაწერი უზრუნველყოფს დაკავებულზე უფლებამოსილ პირებს, კეთილსინდისიერად მოეკიდონ დაკავების ოქმის ასლის პირისთვის გადაცემას, რაც, თავის მხრივ, საშუალებას მისცემს დაკავებულ პირს, გაეცნოს თავის უფლებებს.

ამასთანავე, ვითვალისწინებთ, რომ გარკვეული ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, შესაძლოა ვერ მოხერხდეს დაკავების ოქმის დაკავების ადგილზე შევსება. ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დაკავებული პირის დროებითი მოთავსების იზოლატორში მიყვანიდან ერთი საათის განმავლობაში დამკავებელმა უზრუნველყოს დაკავების ოქმის შედგენა და ასლის დაკავებული პირისთვის გადაცემა, რაც უნდა დადასტურდეს დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომლის ხელმოწერით.

11. **უფლებამოსილი პირის ხელმოწერა** - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 175-ე მუხლის მესამე პარაგრაფის თანახმად, დაკავების ოქმი სრულყოფილად შევსებულად ითვლება პოლიციის ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერით. მართალია, აღნიშნული ჩანაწერის მიზანი შეიძლება იყოს ხელმძღვანელის მიერ დაკავების დროს არსებული დარღვევების გამოვლინება და შესაბამისი ზომების მიღება. პრაქტიკაში სხვაგვარად ხდება და სწორედ აღნიშნული გარემოების მომიზეზებით ხდება დაკავებული პირის დაკავებისთანავე პოლიციის დაწესებულებაში გადაყვანა. ამასთანავე, აღნიშნული ჩანაწერი ხელს უწყობს დამკვიდრებულ პრაქტიკას, რომლის თანახმად, დაკავების ოქმი ობიექტური მიზეზების არარსებობის მიუხედავად, უმეტესწილად ივსება პოლიციის დაწესებულებაში.

შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია „პოლიციის ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს უფლებამოსილი პირი“ შეიცვალოს შემდეგი ფორმულირებით „დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებისთანავე, ოქმს ხელს აწერს დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომელი, რომლითაც დასტურდება დაკავებული პირისთვის დაკავების ოქმის ასლის გადაცემა“.

12. **საგამოძიებო მოქმედებების დროებითი მოთავსების იზოლატორში განხორციელება პირველი 48 საათის განმავლობაში** - კვლევით გამოვლინდა, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების აზრით, პოლიციის დაწესებულებაში დაკავებული პირის გადაყვანა სავალდებულოა ისეთი საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისათვის როგორც არის დაკითხვა, ამოცნობა და საგამოძიებო ექსპერიმენტი. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არ არის ცალსახად მითითებული, რომ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება

უნდა მოხდეს პოლიციის დაწესებულებაში ან პოლიციის დაწესებულებიდან გაყვანით. შესაბამისად, პირველი ორი საგამოძიებო მოქმედებების შესრულება სრულიად შესაძლებელია დროებითი მოთავსების იზოლატორში, ხოლო საგამოძიებო ექსპერიმენტისთვის პირის გაყვანა შესაძლებელია დროებითი მოთავსების იზოლატორიდან ისევე, როგორც პოლიციის დაწესებულებიდან, თუკი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 174-ე და 175-ე მუხლებში ჩაიწერება, რომ დაკავებული პირის დაკავებისთანავე დაუყოვნებლივ გადაყვანა ხორციელდება დროებითი მოთავსების იზოლატორში.

13. **დაკავებული პირის სამედიცინო შემოწმების გარანტირება** - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მეორე პარაგრაფის თანახმად, დაკავებულ პირს აქვს შესაბამის დაწესებულებაში (დროებითი მოთავსების იზოლატორში) შესახლებისას უფასო სამედიცინო შემოწმების უფლება. კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ ხშირად დაკავებულმა პირებმა არ იციან აღნიშნული უფლების შესახებ. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აღნიშნულ მუხლს დაემატოს დებულება, რომლის თანახმად, დაკავებული პირის მიერ სამედიცინო შემოწმებაზე უარის თქმა უნდა დამოწმდეს ცალკე ოქმით. აღნიშნული პროცედურა ხელს შეუწყობს ამ უფლების ეფექტურ რეალიზებას. ამასთან, ამოსაღები იქნება 174-ე მუხლის მეოთხე პარაგრაფი, რომელიც ითვალისწინებს დაკავებული პირის მიერ პოლიციის დაწესებულებაში მიყვანისას ჯანმრთელობის შემოწმებას, რადგან კვლევის ავტორების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების თანახმად, დაკავებული პირის დაკავებისთანავე გადაყვანა უნდა მოხდეს დროებითი მოთავსების იზოლატორში.
14. **დაკავებული პირისათვის დაცვის უფლების განმარტება** - კვლევის დროს გამოიკვეთა, რომ დაკავებულ პირს არ განემარტება ადვოკატის ყოლის უფლება, მათ შორის, სახელმწიფო ხარჯზე იყოლიოს ადვოკატი, თუ განეკუთვნება სოციალურად დაუცველთა კატეგორიას. აღნიშნულის შესახებ კვლევის ფარგლებში იმსჯელეს უფასო იურიდიული საამსახურის ადვოკატებმა. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად მიზანშეწონილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელდეს ცვლილება და დამკავებელ პირს დაევალოს დაკავებული პირისათვის ადვოკატის ყოლისა და სახელმწიფოს ხარჯზე დაცვის უფლებით სარგებლობის თაობაზე განმარტების შესახებ ცალკე ოქმის შედგენა.
15. **დაკავების უფლებამოსილების მქონე პირის დისციპლინური პასუხისმგებლობა დაკავების პროცედურების არსებითი დარღვევის შემთხვევაში** - კვლევის ავტორებს მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლით გათვალისწინებული დაკავების პროცედურების არსებითი დარღვევის შემთხვევაში დადგეს შესაბამისი დაკავების განმანხორციელებელი პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი. აღნიშნული, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს დაკავებაზე უფლებამოსილების განმანხორციელებელი პირების მიერ დაკავების პროცედურების კეთილსინდისიერად შესრულებას და, მეორე მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების მიერ სამართალდამცავი ორგანოების პასუხისმგებლობის საკითხის მონიტორინგს აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, მინიმუმ, სტატისტიკური მონაცემების გამოთხოვნის და შესწავლის კუთხით.

INTRODUCTION AND METHODOLOGY

Introduction

The Criminal Procedure Code of Georgia of 1999 as well as the new Criminal Procedure Code of 2009 determine the standards applicable to the criminal detainment of a person and the procedures related to detention during first 48 hours' from the moment of arrest. In 2000s, detention practice in Georgia was heavily criticized both by the international mechanisms (UN and European Council Contractual and Monitoring Bodies) as well as the Constitutional Court of Georgia.

In addition, upon entry into force of the new Criminal Procedure Code, the focus has shifted to the application and justification of preventive measures. Consequently, matters of necessity of initial detention and its justification and protection of procedural guarantees during the arrest were given the lesser attention from both the international and domestic human rights monitoring mechanisms.

Considering the mentioned, this study aims at demonstrating current situation of a person being detained based on or without the court ruling by studying practice and analyzing characteristic data of the common courts as well as the challenges related to the detention rules for the years of 2013 and 2014.

The study begins with description of the mandatory international standards regarding the detention of a person in Georgia and then follows with analysis of cases from selected eight city courts. The third part is dedicated to the results of the qualitative study - so called in-depth interviews. The study finally presents general and specific recommendations.

Study Methodology for Analyzing the Case-Law

The study of legality of detention practice and related problems has been conducted in two main directions – detention based on a court ruling and without such ruling *so called* detention in cases of urgent necessity.

For this purpose, while conducting the study, the team has analyzed the ruling issued by city courts in 2013 and 2014 in relation to the detention cases. Namely, the study emphasized on the three regions having distinguishing characteristics, such as: Tbilisi, Autonomous Republic of Adjara, Samegrelo - Zemo Svaneti and Meskhet-Javakheti. Each of these regions are characterized with certain specificities making them interesting subjects of the study – Tbilisi being a capital of Georgia with the most number of cases in the investigation bodies and the court; Adjara region as the autonomous republic; Samegrelo – Zemo Svaneti as having the highest number of population and Meskhet-Javakheti as the multinational region. Hence the study provides for the practice existing in relation to detentions in Tbilisi City Court, Batumi City Court, Zugdidi City Court, Akhaltsikhe and Akhalkalaki City Courts. This method allowed the team to identify common trends and challenges while conducting the research.

For the purposes of the study, following type of information has been requested from the courts of these eight regions:

- Copies of the detention rulings;
- Copies of the court rulings denying the law-enforcement authorities authorization to detain;
- Copies of the rulings regarding the application of the preventive measures by the court that granted accused release from detainment;
- Copies of the rulings finding the personal search conducted in cases of alleged urgent necessity illegal and the obtained information – inadmissible;
- Copies of the rulings adopted by the judges on the preliminary hearing based on which the court found the detention report and/or detention rulings inadmissible.

During the study, each eight courts responded and partially provided the requested documentation:

Namely, the detention rulings were received from Telavi, Gori, Kutaisi, Zugdidi, Batumi, Akhaltsikhe and Akhalkalaki city courts. Tbilisi City Court delivered only part of the requested documents. In total, the number of the obtained rulings amounted to 523. Considering the deficient provision of the detention rulings, it would not be right to use the number to determine total number of ruling based detentions in the mentioned regions in 2013-2014. In addition, for consistent study of the case-law, the obtained rulings were analyzed according to the motions filed from day 1st to day 15th of each month of 2013-2014.

In addition, the city courts only partially provided the remaining information that has also been considered through the case-law analysis: 52 rulings on refusal to detain a person, 2 copies of rulings on detention and search procedure, and 9 rulings finding the urgent personal search illegal.

None of the courts provided copies of the rulings according to which the court found the record of arrest and/or detention ruling inadmissible on the preliminary hearing.

Moreover, the team has requested Tbilisi and Kutaisi Courts of Appeals information regarding the application of preventive measures by the investigation chambers and copies of the rulings revoking or changing the application of the preventive measures issued by lower courts. Both courts provided these documents, in total - copies of 187 rulings.

Protection of personal data given in the copies of the rulings has been secured by the courts by coding the names and last names throughout the study. Furthermore, while presenting the examples identified through the study, the authors of the study refrained from naming specific court, judge or prosecutor for the purposes of protecting data and avoiding disclosure of the factual circumstances of the cases.

For the purposes of collecting the general statistical data, the public information was requested from the analytical services of the Supreme Court of Georgia, Ministry of Internal Affairs, the Chief Prosecutor's Office of Georgia and investigation units of five ministries (Ministry of Justice, Ministry of Internal Affairs, Ministry of Defense, Ministry of Finances, Ministry of Corrections of Georgia). Unfortunately, in most cases, our requests were left without any response, while according to the letters received from some of them (Supreme Court of Georgia, the Chief Prosecutor's Office of Georgia), detention related statistics are not being collected (differentiating between the detentions carried out based on and without the court rulings etc.).

Study Methodology from the Point of Qualitative Analysis

This part of the study has been conducted around the main question – what standards and practice are established in Georgia regarding the detention? In order to answer this question, the team conducted the qualitative study by using in-depth interview and group interview methodology. Object of the study was the persons engaged in the detention process in Georgia such as lawyers, ¹ judges and prosecutors. Unfortunately, the project team was unable to question investigators. Taking into consideration existing legal framework, the team elaborated the research instrument – three different questionnaires for the target groups. For the purposes of comprehensive study of the matter, eight cities/regional centers selected: Tbilisi, Kutaisi, Batumi, Zugdidi, Gori, Telavi, Akhaltsikhe/Akhalkalki. Considering number of the persons engaged in the legal processes of the cities/regional centers, respondents were selected either personally (when the number of the persons engaged in each segment was too low) ² or based on the random selection method ³.

The in-depth interviews were conducted until the difference in the information received through the interviews became peripheral and insignificant. Total of 56 respondents were introduced with each interviews lasting from 40 till 90 minutes. Table #1 provides number of the interviewed judges, prosecutors and attorneys according to their places of work.

1 Lawyers of the Georgia Bar Association, Georgian Law Firms Association and Free Legal Aid Service of Georgia;

2 This principle was used for selection of judges and prosecutors;

3 This principle was used for selection of lawyers;

Table #1: Position and Workplace of the Interviewed Respondents

	JUDGE	PROSECUTOR	ATTORNEY	TOTAL
Tbilisi	3	1	8	12
Kutaisi	2	1	6	9
Batumi	1	1	5	7
Zugdidi	1	1	5	7
Akhaltsikhe/Akhalkalaki	2	1	4	7
Gori	1	1	5	7
Telavi	1	1	5	7
Total	11	7	38	56

After completing the field works, the team prepared transcripts of the conducted interviews. During the analysis, we coded the interviews for the classification purposes, selected thematic blocks and categories, typical and atypical cases from the interviews. As a next stage, the team conducted comparative analysis of the attitudes of the target groups (judges, prosecutors and attorneys), practice and positions. We managed to answer the main question of the study and elaborated recommendations for the purposes of improving standards and practice regarding the detention. For protecting anonymity and confidentiality of the participants of the studies, identification data has been removed from the collected information. Considering the qualitative research characteristics, the results are not representative. However, it does describe the standards and processes that are carried out and viewed from the perspective of judges, prosecutors and attorneys in different regions of Georgia.

Chapter II.

OVERVIEW OF THE PROVISIONS RELATED TO DETENTION UNDER THE CRIMINAL PROCEDURE CODE OF GEORGIA

Detention represents one of the most widely applied and at the same time, much sensitive institute among the coercion measures under the Criminal Procedure Code of Georgia considering its special nature. Therefore, increased attention to this mechanism from not only lawyers but also majority of population is not accidental. In addition to the relevance of the normative regulations of detention as the procedural coercion measures, it is important to understand whether the mentioned procedural – normative regulations and the imperative international legal provisions are observed while using detention in the investigation and court practice. On the other hand, we may have an objective impression on not only existence or non-existence of actual justice in the given country, but also, regarding the quality of democracy of the entire political system.

For determining the above-mentioned, this study will firstly provide the short overview of those normative regulations that exist in the Georgian criminal procedure law for determining legal basis for detention of the accused and other persons during which their rights should be duly observed.

Normative regulations of detention are given in articles 170 through 178 of the Criminal Procedure Code of Georgia. However, for the purposes of this study, we will mainly discuss those procedural regulations of detention that are determined in articles 171 through 174 of the mentioned Code since these articles establish the mandatory procedures that shall be complied and unequivocally observed while detaining the accused person. In addition, we will partially discuss the circumstances covered in some sections of articles 175 and 176 related to the grounds of releasing a person after detention.

Article 171 of the Criminal Procedure Code of Georgia determines the grounds for detention of person based on the court ruling. This is the case when the person may still not be involved in the process as the accused, however, the law allows prosecutor to issue an

order regarding charging such person. For such cases, the mentioned procedural provision determines the mandatory grounds for court ruling based detention. If such grounds do not exist, detention is prohibited. In this part, for the purposes of the present study conducted to identify observance of legality and rights of a person by the courts while discussing the motions filed by the prosecution on detention, the most essential and important aspect is to determine absence or presence of the detention grounds and not the procedures that are to be followed by the prosecutor while filing motion to the court for detaining a person or the accused and rules of hearing such motions by the court.

Section 1 of article 171 of the Criminal Procedure Code of Georgia (CPC) determines the mandatory grounds for detaining a person. In the first place, there should be a probable cause as to commissioning of a crime for which the Criminal Code of Georgia stipulates imprisonment as a punishment. This is a necessary pre-condition, but is not sufficient to detain a person. For detention, there should be one of the additional conditions listed in the same procedural norm. However, before discussing those, we have to determine nature of the mentioned pre-condition. If we conduct close observation, the pre-condition unifies two criteria: first, existence of probable cause as to commissioning of crime and second, the law should stipulate imprisonment as a sanction for the crime. Criterion of a probable cause is very important guarantee for protecting a person from the unreasonable restriction that also includes requirement for some factual data that proves version of commissioning a crime by the person. As to the second criterion mentioned above, such as stipulation of imprisonment as a sanction for the crime, its mandatory nature is self-explanatory. It would be totally unjustified to detain a person even for the interests of investigation and court proceedings and restriction of his or her freedom when the law does not in the end punishes such crime with imprisonment.

At the same time, as mentioned above, there has to be one of the following conditions determined in section 1 of article 171 of CPC – probable cause that the person will:

1. Flee;
2. Not appear before the court;
3. Destroy information important to the case;
4. Commit a new crime.

Existence of each of such condition should be proven with the factual data and should be indicated in the motion submitted by the prosecutor as well as in the relevant court ruling. In other cases, the detention would be illegal.

We have to also consider that the court does not have right to indicate the grounds of the detention that were not included in the prosecutor's motion. However, the court has right to find existence of probable cause and base its ruling on detention of a person in relation to only one of the grounds out of one or more alternative detention grounds indicated by the prosecutor in the motion. This is how the court ruling based detention is regulated in section one of article 171 of the Criminal Procedure Code of Georgia.

Except for the mentioned, the second and third sections of the same article of the Criminal Procedure Code determine grounds for detaining a person without the court ruling. The

second section of the article provides list of the six specific conditions existence of any one of those is sufficient for detention of a person without the court ruling. The conditions are as follows:

1. The person has been caught in action while or immediately after committing a crime;
2. The person has been seen at the crime scene, and a criminal prosecution is immediately initiated to arrest him/her;
3. A clear trace of crime has been found on or with the person or on his/her clothes;
4. The person has fled after committing a crime, but he/she is identified by eyewitness;
5. The person may flee;
6. The person is wanted.

Existence of one of the six grounds is not sufficient for detention without court ruling. Third section of article 171 of CPC determines that detention of a person without court ruling is only allowed if there is a probable cause that the person commissioned a crime and carrying out one of the actions determined in section one of the article (fleeing, failure to appear before the court, destruction of evidence etc.) may not be prevented by an alternative measure that is proportional to the circumstances of the alleged crime and to personal characteristics of the accused. It has to be noted that the Criminal Procedure Code of Georgia does not establish any measure alternative to the detention that may be used against the accused person. Due to this reason, goal of the mentioned text of the third section of article 171 is not clear. The legislature may have meant some preventive measures undertaken by the police or investigator against the accused such as the written warning (personal statement) according to which the person undertakes to hesitate from commissioning the illegal action or other measures of the same nature. However, such measures do not include any obligation for the accused. This is why the text of the provision lacks the sense and significance.

Following fact is also worse of interest: third section of article 171 talks about the need for the probable cause that a person commissioned a crime for detention of such person. However, unlike the first section of the same article, the third section does not speak of commissioning of such crime for which the law stipulates imprisonment. Despite the fact, in the mentioned text of the third section of article 171 we should mean commissioning of such a crime by the person (accused) for which the law stipulates the imprisonment.

From some perspective, considering the goal of the study, we have to mention those procedural formalities that are given in the first section of article 174 that should be observed for legality of detention without a court ruling. This means the following – the detaining official shall notify the detained person in clear manner as to:

- Ground for detention;
- Description of the charge, crime commissioning of which the person is accused for;
- Right to have a lawyer;

- Right to remain silence and not answer the questions;
- Fact that anything that he or she may say may be used against him or her in the court.

Infringement of this formality represents an essential violation of the procedural law, while this is the ground for unconditional release of the accused in accordance with sub-section “e” of section one of article 171 of Criminal Procedure Code of Georgia. In addition, according to section four of article 175 of the Criminal Procedure Code of Georgia, failure to give the record of arrest to the detained person or composing the record with such substantial errors that worsens legal status of the person is a ground for unconditional release.

Apart from the abovementioned, the law requires to determine the persons authorized and required to check legality of the detention and make decision on release in case of need. According to third section of article 176 of the Criminal Procedure Code of Georgia, the detained person shall be released based on the decree of the head of the place of custody (i.e. Temporary Detention Isolator) if the period of detention has expired. This means that control of delivery resolution on charge of the person within 48 hours falls within competence of the head of the said facility. According to second section of the same article, the detained person shall be released based on the decision of prosecutor or the judge if:

1. The suspicion that he/she has committed a crime has not been confirmed;
2. No decision was made regarding application of detention as a preventive measure;
